საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№29 (405)
2 – 8 აგვისტო, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## პუტინმა აშშ გააფრთხილა: ჩვენ უპასუხოდ არაფერს დავტოვებთ!

7

## მგუდავი ბიძინა და მცოცავი ოკუპაცია

6



„რას მოვითხოვდით და მოვითხოვთ რუსეთისგან? მისთვის აშკარად საზიანო, საფრთხის შემცველი მოქმედებები შეგვარჩინოს, არაფერი გვიპასუხოს და პირიქით — გვითხრას, — უი, რა კაი ბიჭები ხართ, ჩემი პირველი მტერი ჩემი ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს რომ მოგყავათ, მიდით, ბიჭებო, აბა, თქვენ იცითო?“

## «დღეს საქართველოს სათავეში ფულით ნაყიდი ადამიანები არიან, რომლებსაც გარკვეულმა გარე ძალამ მართვის სადავეები მისცა»

8



3

## ერთიანი ნაციონალური ბომჟი

ოსტაპ ბენდერის თქმის არ იყოს, „აქ განისვენებს მიხეილ(!) სამუელის ძე პანიკოვსკი — ადამიანი პასპორტის გარეშე“. უფრო სწორად, მან ეს საფლავის ქვაზე დაწერა, ხოლო თქვა შემდეგი რამ: „იყო თუ არა გარდაცვლილი ზნეობრივი პიროვნება? არა, ის ზნეობრივი პიროვნება არ გახლდათ. ის იყო ყოფილი უსინათლო, თვითმარქვია და ბატების ქურდი. მან მთელი ძალისხმევა მოახმარა იმას, რომ საზოგადოების ხარჯზე ეცხოვრა“.

## მიხეილ უმიწაწყლო

13

9

## «რა ჰგონიათ, შემოვიდა რამდენიმე ამერიკული ტანკი, ჩაატარებენ ერთ-ორკვირიან სწავლებას და საქართველო გამთლიანდება?!»

## როცა ძალადობას აპროტესტებენ სააკაშვილის აპოლოგეტი გიგა ბოკერია და «სულს ამოგხდით» გივი თარგამაძე

4





## შარიკოვები და ერთიანი პოლიტპროსტიტუციური მოძრაობა

2





## გაქცეული პრეზიდენტები

13





ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვიზრდებით ჯერ ჩვენ, მერე — ჩვენი შვილები, შვილიშვილები და ზუსტად ისე ვტრიალებთ ერთ წრეზე, როგორც პპმ-ს წევრები ტრიალებენ სტრიპტიზის ბოძის გარშემო ყველა არჩევნების წინ, ფულიან ბიძებს თავი რომ მოაწონონ და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, წინასაარჩევნოდ ტრუსიკში (და არა საცვალში) ფული რომ ჩაატენინონ, რათა მერე ეს ფული ჩვენი საცვლებიდან (და არა ტრუსიკიდან) ამოიღონ და, ყველაფერთან ერთად, პატიოსანი ბოზის სახელიც დაიმსახურონ.**

# შარიკოვები და ერთიანი პოლიტპროსტიტუციური მოძრაობა

**თუ აქამდე ვიცოდით, რომ წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოვებულ მწერლებს შორის ჯორჯ ორუელი ერთ-ერთი გამორჩეული იყო, ახლა ანალოგიური რამის თქმა, ქართული რეალობიდან გამომდინარე, მიხეილ ბულგაკოვზეც შეგვიძლია. ჯერ ორუელზე ვთქვათ: მისი „ცხოველების ფერმა“ და „1984“ ჯერ კომუნისტურ რეალობას მოერგო, შემდეგ — თანამედროვე ცხოვრებას და ახლა ზედ „დააკვდა“ ქართულ სინამდვილეს. აი, ბულგაკოვი, თავის გაადამიანურებული თუ ადამიანადქცეული ძაღლით, ამხანაგი შარიკოვით, ანა დოლიძემ შეგვახსენა, როცა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე შარიკოვად მოიხსენია. კულუარებში უმრავლესობის წევრებიც ქირქილებდნენ, — პუდელივით კი აქვს თმა კობახიძესო. კიდევ კარგი, მხოლოდ პუდელს შეადარეს... პრინციპში, მამაკაცია და იმიტომ, თორემ...**





**ბავშვობაში წაკითხული «ძაღლის გული» და «ცხოველთა ფერმა» დიდობაში სწორედ იმიტომ აღარ გადაიკითხეთ, საკუთარი თავი რომ არ ამოგეცნოთ, და «1984»-ს საერთოდ აღარ ფურცლავთ, მოძველდა უკვე და იმიტომ — ფარული მიყურადების, სხვის საძინებელში შეხედვისა და სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევის პროცესი გაცილებით წინ წაიყვანეთ, ვიდრე ორუელს აქვს აღწერილი, განავითარეთ და დახვეწეთ**

მოკლედ, გასული პოლიტიკური კვირა ისე წარიმართა, ვეჭვობ, ახალი პარტია ჩამოყალიბდება და მას პპმ-ს, ანუ პოლიტიკური პროსტიტუციის მიმდევრებს დაარქმევენ. ყველამ (პოლიტიკოსებმა) თავის გულში ჩაიხედოს (ოხ, ისევ ეს ბულგაკოვი თავისი „ძაღლის გულით“) და აღიაროს, რომ მათ პარტიებს სხვა სახელი ჰქვიათ, თორემ სინამდვილეში ძირითადი ნაწილი სწორედ პპმ-ია თავისი წევრებით, სტრუქტურითა და, ასე განსაჯეთ, მომსახურების ფასებითაც კი. ქართული პოლიტიკისთვის არახალია, რომ პარლამენტში შემსვლელთა სიაში მოხვედრა ფული ღირს და ამ ფულის გადამხდელები იყვნენ, არიან და იქნებიან. ჰოდა, იმას გეუბნებოდით, **ანა დოლიძემ კობახიძეზე, შარიკოვიაო, რომ თქვა, უმრავლესობის უმრავლესობის აღშფოთება გამოიწვია, ანუ უმრავლესობიდან ყველა არ აღშფოთებულა.** ამის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობამ, ანუ ქართველი პარლამენტარების კოჰორტამ (გნებავთ, ქართველი პარლამენტარების კორკოტამ) თუ ავანგარდმა საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„26 ივლისს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე და სესიის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მისი გამონათქვამებით უხეშად დაარღვია ეთიკისა და კონსტიტუციურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის ნორმები. ამ ფონზე, ჩვენთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელია საქართველოს პრეზიდენტის რეაქცია, რომელმაც ძირითადი კონსტიტუციური ორგანოს — საქართველოს პარლამენტის შეურაცხყოფაზე არათუ ადეკვატური რეაგირება მოახდინა, არამედ პირიქით — სესიის მეორე დღეს თავისი წარმომადგენლის დაცვა სცადა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეები არღვევენ საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობის ნორმებს და შეურაცხყოფენ ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტარებს, რაც ცხადყოფს, რომ პროცესი არის წახალისებული და მართული საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ეთიკის ნორმებს არღვევს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურე და ამას არ მოჰყვება სათანადო რეაგირება პრეზიდენტის მხრიდან, ეს არის თანაბრად პრეზიდენტის დამოკიდებულებაც პარლამენტის მიმართ. ვინაიდან ეს გარემოებები საფრთხეს უქმნის სამომავლოდ კონსტიტუციურ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობას, მოვუწოდებთ ბატონ გიორგი მარგველაშვილს, მიიღოს ზომები, რათა შეწყდეს პრეზიდენტის წარმომადგენელთა მხრიდან საქართველოს პარლამენტისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების გამოვლენა“.

ამ განცხადებაში, სიტყვების რახარუხს თუ არ ჩავთვლით, ერთი საინტერესო ფრაზა გვხვდება: **„საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მისი გამონათქვამებით უხეშად დაარღვია ეთიკისა და კონსტიტუციურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის ნორმები...“** ეტყობა, პარლამენტარებს დაავიწყდათ, რა ეპითეტებით ამკობენ ხოლმე მარგველაშვილს, მქსოველს რომ ეძახიან, აგრეთვე, — „შემოულაწუნეს“, ბოთეს და კიდევ რას. ისე არ გაიგოთ, **ანა დოლიძის** დაცვას ვცდილობდეთ, დედაკაცის, რომელმაც პოლიტიკური კარიერა მას შემდეგ გაიკეთა, როცა თინა ხიდაშელს დაუდაქალდა და, რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად, ხმალამოღებული იბრძოდა საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, მაგრამ რაც ალხანა, ის ჩალხ**(ანა)**ო, ხომ გაგიგონიათ და, როგორი პარლამენტიც არის, ისეთი მდივანიც მიუვიდათ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან.

ეს ყველაფერი კი იმას მოჰყვა, რომ პარლამენტმა პრეზიდენტის მიერ რამდენიმე კანონზე დადებული ვეტო უკვე მერამდენედ „მუხლზე გადაიმტვრია“ და მარგველაშვილის შენიშვნები არად ჩააგდო. **პრეზიდენტმა იმდენი კი მოახერხა, რომ მესამე სექტორი და ოპოზიციური პარტიები აიყოლია, მაგრამ ის, ვინც ახლა ოპოზიციაშია, 2012 წლამდე ხელისუფლებაში იყო და, შესაბამისად, ზუსტად იმ ადგილზე დაიკიდა ამჟამინდელმა ხელისუფლებამ წინა ხელისუფლება, სადაც წინას ეკიდა ამჟამინდელი, ანუ: უკუღმა ასინეთა, უკუღმა, მაგრამ დასაკიდებელი ადგილი უცვლელია.**

ძაღლისგულიანი (თუ პირიქით) ადამიანები მართლა მომრავლდნენ. ერთი ეგაა, ძაღლური ერთგულება გაქრა სადღაც და არც კავკასიური ნაგაზივით ცხვრის დარაჯად გამოდგნენ და ეს იმის მიუხედავად, რომ ცხვრად ხალხს თვლიან და ყოველ არჩევნებზე ზვარაკად სწირავენ პარტიულ ინტერესს. მერე კი იწყება მაღალფარდოვანი სიტყვების რახარუხი, განცხადებები, პარლამენტში კუნთებისა და კიდევ რაღაცების დატოლებდაზომება და ამ ყველაფერში გადის დრო, რომელიც თითქოს ჩვენს კეთილდღეობას უნდა მოხმარებოდა. მერე **ვიზრდებით ჯერ ჩვენ, მერე — ჩვენი შვილები, შვილიშვილები და ზუსტად ისე ვტრიალებთ ერთ წრეზე, როგორც პპმ-ს წევრები ტრიალებენ სტრიპტიზის ბოძის გარშემო ყველა არჩევნების წინ, ფულიან ბიძებს თავი რომ მოაწონონ და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, წინასაარჩევნოდ ტრუსიკში (და არა საცვალში) ფული რომ ჩაატენინონ, რათა მერე ეს ფული ჩვენი საცვლებიდან (და არა ტრუსიკიდან) ამოიღონ და, ყველაფერთან ერთად, პატიოსანი ბოზის სახელიც დაიმსახურონ.** ჰო, ქართულ სინამდვილეში ეს ტერმინიც გვაქვს — პატიოსანი ბოზი და არ თქვათ ახლა, ქართველობას გვართმევო. რაც არ აქვს ადამიანს, იმას ვერასდროს წაართმევ და თამამად შეგიძლიათ, ერთი საპროტესტო ნოტა ჩემს რედაქტორთანაც აფრინოთ, გნებავთ — პარლამენტიდან და გნებავთ — საპრეზიდენტო რეზიდენციიდან. **ამასაც ხომ მხოლოდ იმიტომ აკეთებთ, რომ მერე ვინმემ არ თქვას, შეირჩინესო, თორემ სინამდვილეში ზუსტად იცით, რომ 2020 წლამდე კომფორტული ცხოვრება გარანტირებული გაქვთ და ახლა მხოლოდ იმას ფიქრობთ, მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე ვის ბოძზე ჩამოსრიალდეთ ისე, რომ თავი მოაწონოთ და ბოლოში, ბალიშის ნაცვლად, სხვა რამ არ დაგხვდეთ.**

**გვახსოვს,** ყოფილი თანაგუნდელები ერთმანეთს პირდაპირ ეთერში რომ ლანძღავდით და ნაძირალებს ეძახდით სწორედ იმ პოლიტიკური თვალსაზრისის გამო, რომელსაც ცოტა ხნის წინათ თვითონ იზიარებდით. ისიც **გვახსოვს,** ხალხის ფულის მითვისების გამო ერთმანეთს რომ აკრიტიკებდით და მერე იმავე ხალხის ფულს ორმაგად ითვისებდით. ისიც **გვახსოვს,** პარლამენტში მოხვედრის გამო მზად რომ იყავით, სატანას შეკვროდით და მერე სატანებად იქეცით. კიდევ იმდენი რამ გვახსოვს, ყველაფერი რომ ჩამოვთვალოთ, გაზეთის რამდენიმე ნომერი არ გვეყოფა. სწორედ ეს არის „პოლიტიკური პროსტიტუცია“, ტერმინი, რომელსაც ერიდებით და, ქუჩაში რომ მოჰკრავთ ყურს, მალულად, ქურდულად იხედებით ზურგს უკან, შემთხვევით ჩვენ ხომ არ გვეძახიანო. იმიტომ, რომ **ყველაზე კარგად თვითონ იცით, თქვენი რეალური სახე, ბავშვობაში წაკითხული „ძაღლის გული“ და „ცხოველთა ფერმა“ დიდობაში სწორედ იმიტომ აღარ გადაიკითხეთ, საკუთარი თავი რომ არ ამოგეცნოთ, და „1984“-ს საერთოდ აღარ ფურცლავთ, მოძველდა უკვე და იმიტომ — ფარული მიყურადების, სხვის საძინებელში შეხედვისა და სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევის პროცესი გაცილებით წინ წაიყვანეთ, ვიდრე ორუელს აქვს აღწერილი, განავითარეთ და დახვეწეთ.**

ხმამაღლა რომ ამბობთ ხოლმე, საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე ვზრუნავთო, ყველაზე კარგად ხომ თქვენ იცით, საქართველოში აკრედიტებული უცხოელი ელჩები თავიანთ ქვეყნებში გაგზავნილ წერილებში თქვენზე რას წერენ?! ხომ იცით, რომ პოლიტმეძავებად გიცნობთ ცივილიზებული სამყარო და ცივილიზებულად გიყენებთ იმისთვის, რისთვისაც საკუთარი მოსახლეობა არ ემეტებათ?! **ისიც ხომ იცით, რომ თითის ნებისმიერ დაქნევაზე (თუნდაც შუა თითის), მზად ხართ, ევროპელებსა და ამერიკელებს ფეხქვეშ გაეგოთ მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ არ თქვან, ესა თუ ის პოლიტიკოსი არაადეკვატურად იქცევაო და ადეკვატურად გაკეთებინებენ იმას, რასაც ცირკის წინ „მომუშავე“ ქალებიც კი ძნელად კადრულობენ... და ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ყოველ დილით ჰალსტუხი გაინასკვოთ ყელთან, საქმიანი სახით გახვიდეთ ეზოდან, მეზობლებს მძიმედ მიესალმოთ, პოლიტიკურ ოპონენტებს საჯაროდ სიტყვაც არ აპატიოთ, კამერების გარეშე კი ყველაფრის უფლება მისცეთ...**

ამომრჩეველს კი რა?! დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ყოველი არჩევნების შემდეგ, ახლაც ასე იქნება — გამარჯვებული პარტია (ანუ მომავალი პპმ) მანდატების გაფორმების შემდეგ ხმამაღლა და ამაყად იტყვის: „ეგრე იცის ჯაყომა!“ და ამომრჩეველიც თითქოს ისე მიეჩვია ამ ყველაფერს, რომ... „იმ ჩარდახიდან, კივილისა და ტირილის ნაცვლად, დედაკაცის ვნებიანი კვნესა და თავდავიწყებული ბოდვა ისმოდა...“

**თითის ნებისმიერ დაქნევაზე (თუნდაც შუა თითის), მზად ხართ, ევროპელებსა და ამერიკელებს ფეხქვეშ გაეგოთ მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ არ თქვან, ესა თუ ის პოლიტიკოსი არაადეკვატურად იქცევაო, და ადეკვატურად გაკეთებინებენ იმას, რასაც ცირკის წინ «მომუშავე» ქალებიც კი ძნელად კადრულობენ... და ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ყოველ დილით ჰალსტუხი გაინასკვოთ ყელთან, საქმიანი სახით გახვიდეთ ეზოდან, მეზობლებს მძიმედ მიესალმოთ, პოლიტიკურ ოპონენტებს საჯაროდ სიტყვაც არ აპატიოთ, კამერების გარეშე კი ყველაფრის უფლება მისცეთ...**

**ბესო ბარბაქაძე**

**რა თქმა უნდა, პოროშენკოს მოქმედების უკან, როგორც მოქალაქეობის მინიჭების, ისე მისი ჩამორთმევის შემთხვევაში, პოლიტიკური მოტივი იდგა. იმის ალბათობა, რომ ანკეტაში ყალბი ცნობების შეტანის შესახებ არაფერი იცოდნენ, როდესაც პასპორტს აძლევდნენ, ძალზე დაბალია, რადგან ქართული სასამართლოს გადაწყვეტილება მედიაში ფართოდ გაშუქდა. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, პოროშენკოს გადაწყვეტილებას მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ გარკვეული იურიდიული საფუძველი აქვს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიხეილ სააკაშვილი — ერთიანი ნაციონალური ბომჟი

## მიხეილ სააკაშვილი, კარლ მარქსის მსგავსად, ამიერიდან აპატრიდი, ანუ მოქალაქეობის არმქონე პირია

**პოლიტიკოსისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა XXI საუკუნეში ძალზე იშვიათია, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი მსგავსი სკანდალის ეპიცენტრში ზედიზედ ორჯერ აღმოჩნდა: 2011-ში, როდესაც თავის მთავარ ოპონენტს, ბიძინა ივანიშვილს, საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვა, და გასულ კვირას, როდესაც უკრაინის ხელისუფლებამ იგივე თვად სააკაშვილს გაუკეთა. ეს უნიკალური შემთხვევაა, რომელსაც მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში ანალოგი არ აქვს.**

ოსტაპ ბენდერის თქმის არ იყოს, „აქ განისვენებს მიხეილ(!) სამუელის ძე პანიკოვსკი — ადამიანი პასპორტის გარეშე“. უფრო სწორად, მან ეს საფლავის ქვაზე დაწერა, ხოლო თქვა შემდეგი რამ: „გარდაცვლილის მიმართ ხშირად უსამართლო ვიყავი, მაგრამ იყო თუ არა გარდაცვლილი ზნეობრივი პიროვნება? არა, ის ზნეობრივი პიროვნება არ გახლდათ. ის იყო ყოფილი უსინათლო, თვითმარქვია და ბატების ქურდი. მან მთელი ძალისხმევა მოახმარა იმას, რომ საზოგადოების ხარჯზე ეცხოვრა, მაგრამ საზოგადოებას არ სურდა, რომ მის ხარჯზე ეცხოვრა. შეხედულებათა ამ სხვაობის ატანა მიხეილ სამუელის ძეს არ შეეძლო, რადგან ფეთქებადი ხასიათი ჰქონდა. და ამიტომ ის მოკვდა. მორჩა!“

მართალია, ილფისა და პეტროვის ერთ-ერთი გმირისგან განსხვავებით, სააკაშვილი ცოცხალია და თავს მშვენივრად გრძნობს, მაგრამ ვინაიდან ის, დიდი ხანია, გარდაიცვალა, როგორც პოლიტიკოსი, ოსტაპ ბენდერის გამოსამშვიდობებელი სიტყვა მის მდგომარეობას კარგად მიესადაგება, მითუმეტეს, რომ ფიგურანტს პანიკოვსკისთან ბევრი რამ აქვს საერთო.

ზოგს შეიძლება გაახსენდეს გიორგი დანელიას „პასპორტი“, კერძოდ კი სცენა, როდესაც მთავარი გმირი შამპანურის ორი ბოთლითა და რეპატრიანტის დაჭმუჭნილი მოწმობით ცდილობს საბჭოთა საელჩოში შეღწევას; ზოგს — შესანიშნავი ტრაგიკომედია „ტერმინალი“ ტომ ჰენქსის მონაწილეობით. ცხადია, სააკაშვილის ძველი მეგობრები ვაშინგტონში, მიუხედავად იმისა, რომ მისი სისულელეები ყელში ამოუვიდათ, რამეს მოიფიქრებენ და აეროპორტში ცხოვრება არ მოუწევს, მაგრამ ამჯერად მას მთელი რიგი პროცედურების გავლა დასჭირდება რომელიმე სხვა ქვეყნაში ახალი სტატუსის ან მოქალაქეობის მისაღებად. თეორიულად, გამორიცხული არც უკრაინის მოქალაქეობის აღდგენაა, თუმცა იქაური სასამართლოების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით ამ ეტაპზე ეს ნაკლებად სავარაუდოა.

ორიოდე სიტყვით — პრობლემის იურიდიულ ასპექტზე: **მიხეილ სააკაშვილი, კარლ მარქსის მსგავსად, ამიერიდან აპატრიდი, ანუ მოქალაქეობის არმქონე პირია.** აპატრიდების სტატუსს არეგულირებს გაეროს 1954 წლის კონვენცია, აგრეთვე, 1961 წლის კონვენცია „მოქალაქეობის არმქონეთა რაოდენობის შემცირების შესახებ“. როდესაც სააკაშვილის მომხრეები საქართველოში საუბრობენ იმაზე, რომ უკრაინის პრეზიდენტს მათი ბელადისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის უფლება არ ჰქონდა, მათ შეიძლება მიუთითონ 1961 წლის კონვენციის მე-8 მუხლის პირველ პუნქტზე, სადაც აღნიშნულია, რომ კონვენციასთან მიერთებულმა სახელმწიფომ „არ უნდა ჩამოართვას არც ერთ პირს მოქალაქეობა, თუ ეს მას აპატრიდად აქცევს“, მაგრამ მომდევნო პუნქტში ნათქვამია, რომ „ამ მუხლის 1 პუნქტის მიუხედავად... ნებისმიერ პირს შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეობა... თუ მოქალაქეობა მოპოვებული იქნა ცრუ ცნობების მოწოდების ან სიცრუის შედეგად“ (მუხლი 8, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ბ“).

„მოქალაქეობის შესახებ“ უკრაინის კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ უკრაინის მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველი არის მოქალაქეობის მოპოვების პროცესში „ცრუ ცნობების ან ყალბის დოკუმენტების მოწოდება“. უკრაინის საიმიგრაციო სამსახურში დააზუსტეს, რომ სააკაშვილმა ანკეტაში არ მიუთითა, რომ ქართულმა სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა (ეს 2014 წლის აგვისტოში მოხდა). თუმცა აქ არის კიდევ ერთი ნიუანსი: მე-19 მუხლში ნახსენებია მე-9 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ უკრაინის მოქალაქეობა არ შეიძლება მიენიჭოს პირებს, რომლებმაც „სხვა სახელმწიფოში ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც უკრაინის კანონმდებლობის მიერ აღიარებულია მძიმედ ან განსაკუთრებით მძიმედ“. მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართულ სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება სააკაშვილის მიმართ ჯერ არ გამოუტანია, ამიტომ პრეზიდენტყოფილის ადვოკატები, სავარაუდოდ, შეეცდებიან ამ გარემოებას ჩაებღაუჭონ. შესაძლოა, მათი სტრატეგია შემდეგ იდეას დაეფუძნოს — შეცდომა ანკეტაში მოქალაქეობის მინიჭების ეტაპზე შესაბამის უწყებებს უნდა აღმოეჩინათ, მაგრამ მათ ეს ვერ (არ) გააკეთეს, მოქალაქეობის მიღება კი შეუქცევადი აქტია და მისი ჩამორთმევა უკრაინის კონსტიტუციით აკრძალურია. ბოლო დღეებში სააკაშვილი ანკეტის გაყალბებაზეც კი საუბრობს.

**რა თქმა უნდა, პოროშენკოს მოქმედების უკან, როგორც მოქალაქეობის მინიჭების, ისე მისი ჩამორთმევის შემთხვევაში, პოლიტიკური მოტივი იდგა. იმის ალბათობა, რომ ანკეტაში ყალბი ცნობების შეტანის შესახებ არაფერი იცოდნენ, როდესაც პასპორტს აძლევდნენ, ძალზე დაბალია, რადგან ქართული სასამართლოს გადაწყვეტილება მედიაში ფართოდ გაშუქდა. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, პოროშენკოს გადაწყვეტილებას მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ გარკვეული იურიდიული საფუძველი აქვს.**

ანკეტაში ყალბი ცნობების შეტანას (უფრო სწორად, სიმართლის დამალვას) შეიძლება ორი მოტივი განაპირობებდეს. გამორიცხული არაა, რომ სააკაშვილს არ უნდოდა, ვინმეს მისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭება (იმ მომენტში ან მომავალში) იმის საფუძველზე გაეპროტესტებინა, რომ საქართველოში წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს და ამისთვის ფორმალური იურიდიული საბაბი (ჩანაწერი ანკეტაში) არ მიეცა. ამასთანავე, შესაძლოა, სააკაშვილმა ასეთი უცნაური ფორმით კიდევ ერთხელ გამოხატა, რომ ივანიშვილის ხელისუფლებას და ყველა სახელმწიფო უწყებას მისი გავლენის ქვეშ ლეგიტიმურად არ თვლის. ასე იყო თუ ისე, მან საკუთარი ხელით შექმნა (ერთადერთი შესაძლებელი!) საბაბი, რომელმაც პოროშენკოს შესაძლებლობა მისცა, მოქალაქეობა მისთვის კანონის დაცვით ჩამოერთმია.

**ადრე ნაციონალებს პოროშენკოზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ, დღეს კი გამეტებით ლანძღავენ მას, რადგან მათი ბელადი ბომჟად აქცია** (საბჭოთა მილიციის აკრონიმი, რომელიც ნიშნავდა „ბეზ ოპრედელენოგო მესტა ჟიტელსტვა“). ვალში არც უკრაინელები რჩებიან. **„მოხეტიალე ქართული ცირკი ერთობ გაიწელა“,** — წერს რადას დეპუტატი რადიკალური პარტიიდან — იგორ მოსიჩუკი. ცხადია, ეს ორმხრივი ლანძღვა უკრაინა-საქართველოს ურთიერთობას დიდ ზიანს ვერ მიაყენებს, თუმცა აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ: საქართველოს ისტორიაში იყო არაერთი ეპიზოდი, როდესაც მმართველები მარცხდებობდნენ, ტყვედ ვარდებოდნენ, მაგრამ მძიმე მდგომარეობაშიც კი ინარჩუნებდნენ ღირსებას, რაც არაერთმა უცხოელმა ავტორმა აღნიშნა. ყველაზე შეურაცხმყოფელი ეროვნული ღირსებისთვის, ალბათ, ისაა, რომ სააკაშვილი იყო პირველი კლოუნი, რომელიც საქართველს მართავდა და თავისი ქცევით, ხოხვისა და ჰალსტუხის ღეჭვის ცნობილი ეპიზოდებით დაწყებული, მისცა არაერთი საბაბი უცხოელებს, ქართველებისთვის დაეცინათ, მაგალითად, „მოხეტიალე ცირკი“ ეწოდებინათ.

**გასულ კვირას ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ თბილისში ვიზიტისას პეტრე პოროშენკო და ბიძინა ივანიშვილი შეთანხმდნენ, სააკაშვილი და კიევის ყოფილი მერი ლეონიდ ჩერნოვეცკი „გაეცვალათ“.** საუბარი ამ შემთხვევაში შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ ფიზიკურ გაცვლას, ანუ „ექსტრადირებას ექსტრადირების წილ“, არამედ ამ ორი პერსონისთვის პრობლემების შექმნას, რათა უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიებიდან მშობლიური ქვეყნების წინააღმდეგ არ იმუშავონ. საქართველოს მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ მათთან ჩერნოვეცკის გადაცემის მოთხოვნა არ შესულა, თუმცა „ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში ვერ მოხდება მისი გადაცემა, რადგან იგი არის საქართველოს მოქალაქე და, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მოქალაქის სხვა ქვეყნისთვის გადაცემა დაუშვებელია“ (ინტერპრესნიუსი). შესაძლოა, ეს პასუხი არ უნდა განვიხილოთ, როგორც საბოლოო, რადგან ზუსტად იმავეს ამბობდა თავის დროზე სააკაშვილზე უკრაინის პროკურატურა. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ჩერნოვეცკისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურაში შეიძლება რაღაც ხარვეზები აღმოაჩინონ. ალბათ, სააკაშვილთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ კიევის ყოფილი მერი თავს ისე მშვიდად ველარ იგრძნობს, როგორც ადრე; აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის, საქმემ ნათლად აჩვენა, რომ საქართველო უცხოელი დისიდენტებისთვის 100%-ით უსაფრთხო ნავსაყუდელს აღარ წარმოადგენს.



**მოქალაქეობის ჩამორთმევის მიუხედავად, სააკაშვილს მაინც რჩება გარკვეული პოლიტიკური პერსპექტივები უკრაინაში, თუმცა ის იმდენად შთამბეჭდავი არაა, როგორც ეს ნაციონალებს წარმოუდგენიათ.** პარტიის დისტანციური მართვა ძალიან რთულია, ეს ნათლად აჩვენა „ნაცმოძრაობის“ გამოცდილებამ საქართველოში, მიუხედავად ამისა, სააკაშვილის პოლიტიკურ ძალას მაინც შეიძლება უკრაინელი ამომრჩევლების დაახლოებით 4-5%-ის^მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს და სხვა პოლიტიკურ გაერთიანებასთან („სამოპომიჩ“-თან ან რომელიმე სხვა „მეორე რანგის“ პარტიასთან) ალიანსში რადაში გარკვეული რაოდენობის მანდატები მიიღოს, მაგრამ ეს მოკრძალებული შედეგი სააკაშვილის ამბიციებს არ შეესაბამება. მას უკრაინაში, ისევე, როგორც საქართველოში, სავარაუდოდ, ტოტალური გამარჯვება და შურისძიება სწყურია, რისთვისაც სათანადო რესურსი არ აქვს.

**გარემოცვა სააკაშვილს ყოველთვის არწმუნებდა, რომ ის ყოვლისშემძლე ტიტანია. მას სიამოვნებდა და, ალბათ, ვერ ხვდებოდა, რომ ამ დროს მანიპულაციის ობიექტი ხდებოდა, ვერ წარმოედგინა, რომ ვილაც შეიძლება მასზე გონიერი აღმოჩენილიყო (2012) და ჩვარივით მოესროლა (2017), რადგან ეს მის წარმოსახვით სტატუსს არ შეესაბამებოდა. ალბათ, სწორედ ესაა ყველა მისი მარცხის პირველი და მთავარი მიზეზი**

სწორედ ამაში მდგომარეობს სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. **გარემოცვა ყოველთვის არწმუნებდა, რომ ის ყოვლისშემძლე ტიტანია. მას სიამოვნებდა და, ალბათ, ვერ ხვდებოდა, რომ ამ დროს მანიპულაციის ობიექტი ხდებოდა, ვერ წარმოედგინა, რომ ვილაც შეიძლება მასზე გონიერი აღმოჩენილიყო (2012) და ჩვარივით მოესროლა (2017), რადგან ეს მის წარმოსახვით სტატუსს არ შეესაბამებოდა. ალბათ, სწორედ ესაა ყველა მისი მარცხის პირველი და მთავარი მიზეზი. დღეს ის, უბრალოდ, უპასპორტო, ძებნილი ადამიანია, რომელიც ვაშინგტონში, თეთრი სახლის მიდამოებში, დაეხეტება, თუმცა თავს, სავარაუდოდ, ისევ გალაქტიკის იმპერატორად გრძნობს.**

ნაცების ფერმა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლელი „სტრატეგიული პატრონების“ მიერ საქართველოსთვის თავსმოხვეული კოაბიტაციით გათამამებულმა „ნაციონალური მოძრაობის“ ნამსხვრევებმა ქამელეონივით იცვალეს ფერი და იმ იმედით, რომ ყველამ მიივიწყა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები, ახლა კვლავ ცდილობენ, ხალხს თვალში ნაცარი შეაყარონ.**

# «ნაცმოძრაობის» ნამსხვრევების ცინიზმი

## ანუ, როცა ძალადობას აპროტესტებენ სააკაშვილის აპოლოგეტი გიგა ბოკერია და «სულს ამოგხდით» გივი თარგამაძე

**14 ივლისს გამართული აქცია „ქართული მარშის“ გამო, რომლის მონაწილეებმაც ქვეყნიდან არალეგალურად მცხოვრები უცხოელების გაძევება, პროსტიტუციის ბუდეების მოშლა, პროსტიტუციაში არასრულწლოვანთა ჩაბმა და ნარკოტიკებით ვაჭრობის აკრძალვა მოითხოვეს, საქართველოში „მოღვაწე“ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ე.წ. ლიბერალური მედიის წარმომადგენლები გააფთრებით გაჰყვიროდნენ ქვეყანაში ქსენოფობიის არსებობაზე და აქციის მონაწილეებს რასისტებსა და ფაშისტებს უწოდებდნენ. ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილი „ნაციონალური მოძრაობის“ განაყოფის — „ევროპული საქართველოს“ წევრებმა, ლგბტ-თემის რამდენიმე ათეულ წარმომადგენელთან ერთად, აღმაშენებლის გამზირზე 23 ივლისს მსვლელობაც კი მოაწყვეს ლოზუნგებით „არა ძალადობას“ და „არა რუსულ ფაშიზმს“.**



მოძალადე „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრები ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ მსვლელობაზე

არადა, რომის პაპზე მეტი კათოლიკობისა არ იყოს, ამ დასავლელ ლიბერალებზე მეტ „ლიბერალებს“ კრინტი არ დაუძრავთ, 51 წლის ირანელის მიერ ახალციხეში ქართველი მოზარდის გაუპატიურებაზე, ინდოელების მიერ თბილისში 5 მოზარდის მიმართ ჩადენილ გარყვნილ ქმედებაზე, ბათუმისა და თბილისის ცენტრალურ უბნებში საროსკიპოების მოწყობაზე, ე.წ. ინვესტორების მიერ ქართველების ჩაგვრაზე და და ა.შ.

არც ის გაუპროტესტებიათ, როდესაც თურქეთის ხელისუფლების მოთხოვნით საქართველოს პარლამენტმა უარი თქვა 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა 5-6-ჯერ მეტ კოალიციურ ლაშქარზე, დავით აღმაშენებლის მეთაურობით, ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად 12 აგვისტოს „დიადი გამარჯვების დღედ“ გამოცხადებაზე.

თუმცა რაზეა ლაპარაკი, როცა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირი, პრემიერმინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი** მსოფლიოს (უფრო ზუსტად, პატრონების) გასაგონად და ახალგაზრდა ქართველების ტვინში ჩასაჭედად ამბობს, რომ თურქეთი საქართველოს ისტორიული მეგობარია(?). არადა, **საქართველოს ისტორიისთვის ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რომ მიხვდე — ვინ არის ჩვენი ქვეყნის ისტორიული მეგობარი და ვინ — მტერი, რომელმა სახელმწიფომ მიიტაცა ძირძველი ქართული მიწები — ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქები, სამხრეთ-დასავლეთი მესხეთის ისტორიული რაიონები — პარხალი, სპერი (ტაო-კლარჯეთი), სულ 12 ათასი კვ.კმ-ზე მეტი ტერიტორია, ან რომელი სახელმწიფო ცდილობს დღეს ექსპანსიას აჭარაში და, საერთოდ, საქართველოში.** მაგრამ ეს სულაც არ ანაღვლებს არც ვასალის სინდრომით შეპყრობილ საქართველოს ხელისუფლებას, არც დასავლელი ე.წ. სტრატეგიული მოკავშირეების მიერ შეგულიანებულ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის განაყოფებს და, რა თქმა უნდა, არც დასავლეთის მიერვე დაფინანსებულ არასამთავროებს. მათთვის მთავარი პატრონების მითითებების გულმოდგინედ შესრულებაა. ეს მითითებები კი არის დემოკრატიის ნიღბით დასავლური ე.წ. ფასეულობების (ჰომოსექსულიზმის წახალისება და ლგბტ-პირების უფლებების დაცვა, ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების დაკანონება სკოლებში სექსუალური აღზრდის სწავლება, იუვენალური იუსტიცია და სხვ.) დაცვა და ყოველივე ქართულისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ახლახან კი გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ასახულია როგორ ემუქრებიან საქართველოს და ქართველებს თურქული ნაციონალისტური ორგანიზაცია „რუხი მგლების“ წევრები, მაგრამ არც ეს გაუპროტესტებიათ, დემოკრატიისა და ადამიანის (უფრო ზუსტად, ჰომოსექსუალების) უფლებების თავგამოდებულ დამცველ არასამთავრობოებს.

**ცინიზმია,** რომ 23 ივლისს გამართულ ვითომ ანტიფაშისტურ და ძალადობის წინააღმდეგ გამართულ აქციაში, რომლის დაახლოებით ათასამდე მონაწილეს უამრავი პოლიციელი იცავდა, ძალადობის წინააღმდეგ „ხმას იმაღლებდა“ თავის დროზე **მიხეილ სააკაშვილის** აპოლოგეტი და „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი

▶



ასე არბევდნენ ნაციონალები მშვიდობიან მანიფესტაციას 2007 წლის 7 ნოემბერს






2011 წლის 26 მაისი. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მშვიდობიანი აქციის სასტიკად დარბევა





2004 წლის 12 მარტი. გლდანის ეკლესიისა და მისი მრევლის დარბევა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ

**ცინიზმია, რომ 23 ივლისის აქციაში მონაწილეობდა ყოფილი ნაციონალი, ამჟამად საპარლამენტო ფრაქცია «ევროპული საქართველოს» წევრი ოთარ კახიძე, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე შეიარაღებული მივიდა**

საქართველოში განცდილი კრახის შემდგომ სააკაშვილს შეეძლო სიცოცხლის ბოლომდე მშვიდად ეცხოვრა აშშ-ში, მაგრამ შაპიტოსავით მოხეტიალე მიშიკოს „ზემოდან“ მიუთითეს უკრაინაში გადაბარგებაზე. ისე, მისთვის უკრაინაც სახეირო ადგილი იყო — ლამაზი გოგონები, კერძები გემრიელი, მარია გაიდარი თანაშემწედ, მდიდარი მფარველებიც, ოღონდ არავის უნდა დაპირისპირებოდა, მშვიდად მოეწყო პირადი კეთილდღეობა და მომზადებულიყო ახალი ავანტურისთვის.

ნაცების ფერმა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სისხლიანი რეჟიმის მთავარი იდეოლოგი, ამჟამად „დემოკრატიის შუქურის“ უარმყოფელი და მხოლოდ თავის პოლიტიკურ კარიერაზე მზრუნველი **გიგა ბოკერია**, აგრეთვე, მისი განუყრელი მეგობარი და თანამზრახველი **გივი თარგამაძე**, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ გამოსულ და სასტიკად დარბეულ ასი ათას ქართველს სულის ამოხდით ემუქრებოდა. ცინიზმია, რომ 23 ივლისის აქციაში მონაწილეობდა ყოფილი ნაციონალი, ამჟამად საპარლამენტო ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრი **ოთარ კახიძე**, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე შეიარაღებული მივიდა.

**ცინიზმია,** რომ აქციაზე იმყოფებოდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარე ამჟამად „ევროპული საქართველოს“ წევრი **დავით ბაქრაძე**, რომელიც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდა, დანებითა და ჩანგლებით ებრძოლა კბილებამდე შეიარაღებული რუსეთის არმიის წინააღმდეგ;

**ცინიზმია,** რომ ამ მსვლელობაში მონაწილეობდა „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთი „სახე“ — **ხათუნა გოგორიშვილი**, რომელსაც ხალხმა არჩევნების გაყალბების დიდოსტატი შეარქვა;

**ცინიზმია,** რომ ძალადობის წინააღმდეგ მსვლელობაში მონაწილეობდა თბილისის ყოფილი მერი, თავის დროზე მიხეილ სააკაშვილის მარჯვენა ხელი **გიგი უგულავა,** რომელმაც სასჯელი მოიხადა საბიუჯეტო თანხების მითვისებისთვის, ანუ ბიუჯეტზე ძალადობისთვის.

ამ ადამიანებს დიდი წვლილი მიუძღვით 2004 წლის გლდანის ეკლესიისა და მისი მრევლის დარბევაში, 2007 წლის 7 ნოემბერსა და 2011 წლის 26 მაისის მშვიდობიანი აქციების სასტიკად დარბევაში, ქუჩაში ქართველი ახალგაზრდების მკვლელობაში, ბიზნესმენების ტერორში, ქართული კულტურისა და განათლების განადგურებაში, ახლა კი ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილი ყოფილი ნაციონალები ძალადობის წინააღმდეგ „იბრძვიან“. დასავლელი „სტრატეგიული პატრონების“ მიერ საქართველოსთვის თავსმოხვეული კოაბიტაციით გათამამებულმა „ნაციონალური მოძრაობის“ ნამსხვრევებმა ქამელეონივით იცვალეს ფერი და იმედით, რომ ყველამ მიივიწყა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები, ახლა კვლავ ცდილობენ, ხალხს თვალში ნაცარი შეაყარონ...

**ნიკა კორინთელი**

**P.S.ცინიზმია, როდესაც ქართველ ხალხზე, ქართულ ეროვნულ ტრადიციებსა და მართლმადიდებლობაზე მოძალადეები აწყობენ ძალადობის წინააღმდეგ აქციას და ამას აკეთებენ უამრავი პოლიციელის თანხლებით, რათა დამნაშავეების თავხედობით აღშფოთებულ ხალხს თვითონ აქციის მონაწილეებზე არ ეძალადა. საზოგადოდ კი, ცინიზმია, სააკაშვილის პარტიას „ნაციონალური მოძრაობა“ რომ ჰქვია, რადგან ამ პარტიის არც ერთ წევრს ნაციონალურის, ანუ ქართულის არაფერი სცხია.**

# მიხეილ უმიწაწყლო

## «კიდევ დასჭირდება თუ არა ვაშინგტონს «თავისი ძაღლიშვილი»?

**1199-1216 წლებში ინგლისში მეფობდა პლანტაგენეტების დინასტიის წარმომადგენელი, აკვიტანიის ჰერცოგი ჯონი. ის ძმის, რიჩარდ ლომგულის, გარდაცვალების შემდეგ ავიდა ტახტზე. მამამ, ჰენრი მეორემ, ჯონის დაბადებამდე გაუნაწილა ინგლისის სამფლობელოები უფროს ვაჟებს, ჯონი კი უმიწოდ დატოვა, ამიტომ უწოდეს მას ჯონ უმიწაწყლო. გამეფების შემდეგ ჯონ უმიწაწყლოს უაზრო გადაწყვეტილებებმა ბევრი ტერიტორია დააკარგვინა ინგლისს, სიცოცხლის ბოლოს კი ბარონები აუჯანყდნენ, რასაც შეეწირა კიდეც. ეპითეტი „უმიწაწყლო“ კი დღეს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტსა და ოდესის ოლქის ექსგუბერნატორ მიხეილ სააკაშვილზეა ზედგამოჭრილი.**




**მედიასა და სოციალურ ქსელებში ბევრს ბჭობენ, სააკაშვილის ბედსა და მის მომავალ საცხოვრებელ ადგილზე; ზოგი მას ლიტვაში გადაბარგებას სთავაზობს, მაგალითად, ევროპარლამენტარი პეტრას აუშტრევიჩუსი; ზოგიც პოლანდიაში გზავნის სიდედრ-სიმამრთან; ზოგი კიდევ — სამხრეთ პოლუსზე, ანტარქტიკაში პინგვინებთან, რომლებიც პასპორტს არ მოსთხოვენ. მაგრამ, ალბათ, უკეთესი იქნება, ტანზანიაში, დარ-ეს-სლამში, ჩავიდეს, სადაც ერთი თვის წინათ კორუფციასთან ბრძოლის რეცეპტის გასაზიარებლად მიიწვიეს**

მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ორიოდე კვირის წინათ დუჟმორეული გაჰყვიროდა უკრაინელი ოლეგარქების ბოგინის, რინატ ახმეტოვის კლანის აღსასრულსა და მრავალტანჯულ უკრაინაში ახალი ერის დასაწყისზე, როგორც ჩანს, თავი მოაბეზრა ადგილობრივი პოლიტელიტის წარმომადგენლებს, მათ შორის, პრეზიდენტ **პეტრე პოროშენკოს** და გადაწყვიტეს, თავიდან მოეშორებინათ უკრაინის „მთავარი რეფორმატორი“.

თანამედროვე უკრაინაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, სააკაშვილის თავიდან მოშორების გზა, ალბათ, ბევრი იყო, მაგრამ ოდესის ყოფილი გუბერნატორისთვის ყველაზე უმტკივნეულო აირჩიეს — უკრაინის საიმიგრაციო სამსახურმა იმ მიზეზით, რომ მოქალაქეობის მიღებისას სააკაშვილმა ყალბი ინფორმაცია ჩაწერა ანკეტაში, ანუ არ მიუთითა, რომ მასზე საქართველოში სისხლისსამართლებრივი ძებნა იყო გამოცხადებული, გადაწყვიტა, ამერიკაში მყოფი სააკაშვილისთვის მოქალაქეობა ჩამოერთმია. ეს გადაწყვეტილება კი პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ ბრძანებულებით გაამყარა.

უკრაინაში ახლა ისეთი ვითარებაა, რომ ადვილია ელექტორატის აყოლიება და კიდევ ერთი რევოლუციის მოწყობა. ავანტურიზმის მეთოდების შესანიშნავად მცოდნე სააკაშვილს კი შეეძლო თავის რეფორმატორულ უნარებში გულუბრყვილო ადამიანების დარწმუნება, ამერიკელი პატრონებისა და ეკონომიკური სიდუხჭირით გაწამებული ადამიანების მხარდაჭერიდან პრეზიდენტობამდე კი, როგორც ეს მოხდა საქართველოში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, ერთი ნაბიჯია.

**საქართველოში განცდილი კრახის შემდგომ სააკაშვილს შეეძლო სიცოცხლის ბოლომდე მშვიდად ეცხოვრა აშშ-ში, მაგრამ შაპიტოსავით მოხეტიალე მიშიკოს „ზემოდან“ მიუთითეს უკრაინაში გადაბარგებაზე. ისე, მისთვის უკრაინაც სახეირო ადგილი იყო — ლამაზი გოგონები, კერძები გემრიელი, მარია გაიდარი თანაშემწედ, მდიდარი მფარველებიც, ოღონდ არავის უნდა დაპირისპირებოდა, მშვიდად მოეწყო პირადი კეთილდღეობა და მომზადებულიყო ახალი ავანტურისთვის,** ანუ მოქცეულიყო ისე, როგორც, რამდენიმე ექსპერტის შეფასებით, მოიქცა ზოგიერთი ლიტველი და ესტონელი მინისტრი-გასტერბაიტერი (გასტერბაიტერი — დაქირავებული უცხოელი მუშაკი), რომლებიც ამ ქვეყნებში საბიუჯეტო თანხების ასათვისებლად ჩავიდნენ. მაგრამ სააკაშვილმა მყისვე მოიკიდა მტრად უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები, თანაც — მძიმეწონოსანი მაღალჩინოსნები, რომლებსაც მინისტრთა კაბინეტის სხდომებზეც კი ეკამათებოდა, და მალე ცხადი შეიქნა, რომ უკრაინაში სააკაშვილის ყოფნა მხოლოდ დროის საკითხი იყო.

სააკაშვილს, რომელმაც უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე და, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული, მხოლოდ ერთი პასპორტი ჰქონდა — უკრაინის მოქალაქის და ისიც ჩამოართვეს. არ არის გამორიცხული, მისი საქართველოში ექსტრადიციაც, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ სააკაშვილის „დამსახურებებს“ ქართველი ხალხის წინაშე, როგორც იტყვიან, მის ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს.

„სააკაშვილს შიშისა და ნერვიულობის მიზეზი ნამდვილად აქვს. აშშ-ის ისტებლიშმენტთან მჭიდრო კავშირები გარანტიას არ იძლეოდა, რომ საქართველოდან გაძევების შემდეგ უზრუნველყოფილად იცხოვრებდა პენსიაზე, გუბერნატორობის წარუმატებელმა გამოცდილებამ და ოპოზიციურმა მოღვაწეობამ უკრაინაში კი აიძულა, აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დასასწრებად ვაშინგტონში გადაფრენილიყო და მიწა ეტკეპნა კაპიტოლიუმიდან კილომეტრ-ნახევრის დაშორებით. მას პრეზიდენტობის პერიოდში გადაღებული აქვს ფოტოები **დონალდ ტრამპთან**, სენატორ **მაკეინთან**, ფინანსისტ **სოროსთან** და სხვებთან, მაგრამ აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტისთვის ამის შეხსენება არ ღირს.

ამასთანავე, უკვე აღარავინ ენდობა მხდალ, ცრუპენტელა და „გადამგდებ“ მიშას, რომელიც **ედუარდ შევარდნაძის** ბუდეში გამოიჩეკა, დაფრთიანდა და შემდეგ „სახლში“ გაისტუმრა პოლიტიკური მამა. მოგვიანებით **ბადრი პატარკაციშვილის** ფული ჭამა და ისიც „გადააგდო“, ასევე მოექცა **ბიძინა ივანიშვილს**, რომელიც წლების განმავლობაში აფინანსებდა მის რეჟიმს. ბოლოს კი დამხობა დაუპირა პეტრე პოროშენკოს, რომელმაც შეიფარა და ოდესის გუბერნატორად დანიშნა.

რაც შეეხება სააკაშვილის კივილს, ჩემთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევა ანკეტაში ყალბი მონაცემების ჩაწერის საბაბით, პოროშენკოს მხრიდან პოლიტიკური დევნაა, რადგან მან მშვენივრად იცოდა, რომ საქართველოში ჩემზე ძებნა იყო გამოცხადებულიო, როგორც ჩანს, მიშიკო იმას იმკის, რაც დათესა — ზუსტად ასევე ჩამოართვა მან საქართველოს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს, როცა დაინახა, რომ მის ხელისუფლებას ემუქრებოდა. ახლა კი, როცა მასაც ანალოგიურად მოექცნენ, პოროშენკოს პოლიტიკურ მოტივებზე წუწუნებს და თანაც წუწუნებს ამერიკელი პატრონების გასაგონად.

კიდევ დასჭირდება თუ არა ვაშინგტონს „თავისი ძაღლისშვილი“, უახლოეს პერიოდში გამოჩნდება. ამერიკელი გლობალისტებისა და ნეოკონსერვატორების ლოგიკით, შეიძლება, ის გაგზავნონ მიგდებულ, უპატრონო ქვეყანაში, სადაც იქაურ აბორიგენ მოსახლეობას „მართებულ“ დემოკრატიას მიაჩვევს და მიწისა და ბეტონისგანააშენებს იაფ თეჯირს სიღარიბისა და მივარდნილი ადგილების შესანიღბავად, თუმცა არავინ იცის, დაბრუნდება თუ არა იქიდან ცოცხალი!“ — წერს ჟურნალისტი **პავლე დულმანი** სტატიაში „Міхась из Georgia“ შეიძლება თუ არა კვლავ გამოადგეს მაკეინსა და სოროსს?“ და ძნელია, არ დაეთანხმო დულმანის თვალსაზრისს სააკაშვილის ბედზე, რომელიც უკრაინაში პერსონა ნონ გრატად არის გამოცხადებული, საქართველოში კი მასზე სისხლისსამართლებრივი ძებნაა გამოცხადებული.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დღეებში სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას დიდი ყურადღება დაუთმო დასავლურმა მედიამ — გერმანულმა „დოიჩე ველემ“, ბრიტანულმა „ბი-ბი-სიმ“, აზერბაიჯანულმა „კასპიიმ“. ამერიკულმა „სი-ენ-ენმა“ კი ინტერვიუ ჩამოართვა და „პუტინთან მებრძოლად“(?) წარუდგინა საზოგადოებას.

მედიასა და სოციალურ ქსელებში ბევრს ბჭობენ სააკაშვილის ბედსა და მის მომავალ საცხოვრებელ ადგილზე, ზოგი მას ლიტვაში გადაბარგებას სთავაზობს, მაგალითად, ევროპარლამენტარი **პეტრას აუშტრევიჩუსი**; ზოგიც ჰოლანდიაში გზავნის სიდედრ-სიმამრთან; ზოგი კიდევ — სამხრეთ პოლუსზე, ანტარქტიკაში პინგვინებთან, რომლებიც პასპორტს არ მოსთხოვენ. მაგრამ, ალბათ, უკეთესი იქნება, ტანზანიაში, დარ-ეს-სლამში, ჩავიდეს, სადაც ერთი თვის წინათ კორუფციასთან ბრძოლის რეცეპტის გასაზიარებლად მიიწვიეს...

**ნიკა კორინთელი**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სახელმწიფო, რომელმაც წაილო საქართველოს ტერიტორიის ნაწილი 100 წლის წინათ, აკრძალა ამ ტერიტორიაზე ქართული ენა, გააპარტახა ეკლესიები, აიძულა მოსახლეობა, შეეცვალა რელიგია და მიტაცებული ქართული ტერიტორია საკუთარ ტერიტორიად გამოაცხადა, 100 წლის შემდეგ არის საქართველოს „ისტორიული მეგობარი“, „სტრატეგიული პარტნიორი“ და „მოკავშირე“; ხოლო სახელმწიფო, რომლის სტრატეგიულმა სამხედრო და თუნდაც იმპერიალისტურმა მისწრაფებებმა გამოიწვია დანაწევრებული საქართველოს გაერთიანება, არ მოუთხოვია მოსახლეობისთვის რელიგიის შეცვლა, ხოლო ეკლესია-მონასტრებს ბოლშევიკური მმართველობის მხოლოდ პირველ წლებში ანგრევდა, შემდეგ კი მათ სპეციალური სამსახურები იცავდა და უფრთხილდებოდა, გამოცხადდა ნომერ პირველ მტრად.**

# მგუდავი ბიძინა და მცოცავი ოკუპაცია

**პატარძალი თამაშ-თამაშ რომ დაორსულდა — ეს ამბავი ჩვენმა წინაპრებმა მრავალი საუკუნის წინათ იცოდნენ. ეს ცნობილი ქართული ანდაზა ახალ ქართულ რეალობაში, თუ დავაკვირდებით, ძალიან აქტუალურია და ბევრი მიმართულებით იჩენს თავს. მაგალითად, თამაშ-თამაშ გვიპყრობს რუსეთი, რომელსაც ეს, რა თქმა უნდა, ერთბაშადაც შეუძლია და ნამდვილად არ ეშინია არანაირი „საერთაშორისო თანამეგობრობის“.**

მთლიანად საქართველოს ანექსია რუსეთმა უკვე სცადა ორიოდე საუკუნის წინათ და შედეგი მისთვის ისეთი არასახარბიელო გამოდგა, რომ აღარ მგონია, მსგავსი შეცდომა გაიმეოროს. მანამდე დანაკუწებული „საქართველოები“, რუსეთის მიერ დაპყრობამ, ფაქტობრივად, კვლავ გააერთიანა, მთლიან საქართველოდ აღადგინა და ისევ და ისევ რუსეთს დაუპირისპირა. ხოლო საქართველოსგან მოწყვეტილი „მცირე საქართველო“, ანუ **კლარჯეთი, ლაზეთი და სხვა ძირძველი ქართული მიწები, რომლებიც იმდროინდელი სამხედრო პერიპეტიების შედეგად თურქეთმა დაინარჩუნა, დღეს აღიარებული თურქული ტერიტორიაა, მასზე საქართველოს პრეტენზია არ აქვს, იქ მცხოვრები ქართველები რჯულშეცვლილები, მენტალობაშეცვლილები, ენაშეცვლილები არიან და „გურჯისა“, მხოლოდ სახელიღა აქვთ შერჩენილი. თურქეთს საქართველოს ოფიციალური წრეები „ისტორიულ მეგობრად და მოკავშირედ“ აღიქვამენ, ხოლო რუსეთს პირველ მტრად, ოკუპანტად და იმ სახელმწიფოდ, რომელთანაც, უბრალოდ, მოლაპარაკებაც კი სამშობლოს ღალატი და დანაშაულია.**

ლოგიკა ასეთია: **სახელმწიფო, რომელმაც წაილო საქართველოს ტერიტორიის ნაწილი 100 წლის წინათ, აკრძალა ამ ტერიტორიაზე ქართული ენა, გააპარტახა ეკლესიები, აიძულა მოსახლეობა, შეეცვალა რელიგია და მიტაცებული ქართული ტერიტორია საკუთარ ტერიტორიად გამოაცხადა, 100 წლის შემდეგ არის საქართველოს „ისტორიული მეგობარი“, „სტრატეგიული პარტნიორი“ და „მოკავშირე“;** ხოლო სახელმწიფო, რომლის სტრატეგიულმა სამხედრო და თუნდაც იმპერიალისტურმა მისწრაფებებმა ჩვენს ტერიტორიაზე გამოიწვია დანაწევრებული საქართველოს გაერთიანება, არ მოუთხოვია მოსახლეობისთვის რელიგიის შეცვლა, ხოლო ეკლესია-მონასტრებს ბოლშევიკური მმართველობის მხოლოდ პირველ წლებში ანგრევდა, შემდეგ კი მათ სახელმწიფოს სპეციალური სამსახურები იცავდა და უფრთხილდებოდა, გამოცხადდა ნომერ პირველ მტრად.

რაც მთავარია, რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე არ აკრძალულა მშობლიურ ენაზე საუბარი. ახლა ვინმე იტყვის — ამის მცდელობა ხომ იყოო, მაგრამ მცდელობა და შესრულება სხვადასხვაა! და ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთთან ჩვენ ჩვენი ყოველთვის გაგვქონდა, სხვა მტრებთან, თუნდაც იმავე თურქეთისგან განსხვავებით.

ამის შემდეგ, მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც გამოთქვამენ გულისწყრომას — რატომ წაგვართვა რუსეთმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები? არადა, პასუხი უმარტივესია: თუკი ქართველები 100 წლის წინათ ტერიტორიების წამრთმევ, დამანგრეველ და გამანადგურებელ სახელმწიფოებს 100 წლის შემდეგ „ისტორიულ მეგობრებად“ ვაცხადებთ, მაშინ რუსეთიც მიიერთებს იმ ტერიტორიებს, რომლებიც მისთვის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესია, და დაელოდება 100 წლის ჩავლას. შემდეგ კი ისიც ჩვენი „უერთგულესი მეგობარი“ იქნება თურქეთივით.

აი ასე და ამიტომ, ამგვარად „მოცოცავს“ რუსეთი საქართველოს იმ ტერიტორიებისკენ, რომლებიც მის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ინტერესებში შედის.

**რას ვუპირისპირებთ ჩვენ, ანუ საქართველოს სახელმწიფო „მცოცავ რუსეთს“? — ვერაფერს, გარდა „მხოხავი ამერიკისა“. დიახ, ამ დღეებში ფოთიდან თბილისისკენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალების კუთვნილი ტანკების „გადმოხოხება“ ქართველი საზოგადოების ნაწილმა დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა და მეტიც, ზოგმა ტვინდაზიანებულმა ქართველმა ეს „საბოლოო გამარჯვებადაც“ კი აღიქვა.**

„აჰა! ახლა კიდევ იტყვით, ამერიკა მხოლოდ შეშფოთებას გამოხატავს და პამპერსებს გვიგზავნისო? ფოთიდან თბილისისკენ ამერიკული ტანკები დაიძრნენ!“ — გახარებული გვამცნობს ერთი ქართველი ფეისბუქმომხმარებელი.

„დიახ! ამერიკული დროშების ფრიალით, ამერიკულმა ტანკებმა ცხვირწინ, სულ რაღაც 500 მეტრში, ჩაუარეს რუსულ ჯარებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არიან შემოჭრილი!“ — სიხარულისგან გიჟდება მეორე ქართველი ფეისბუქმომხმარებელი.

საუბარია საქართველოში დაწყებულ ნატოს სამხედრო წვრთნებზე, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა ნაწილს რატომღაც მართლა „დიად გამარჯვებად“ მიაჩნია.

არადა, **თუკი დღეს ამერიკულმა ტანკებმა ამერიკის დროშების ფრიალით 500 მეტრში ჩაუარეს რუსულ არმიას, იცით კი, რა მოხდება ხვალ, როდესაც რუსული არმია საქართველოს ცენტრალურ ავტომაგისტრალთან 400 მეტრში გადმოიწევს? — აი მერე მოხდება ის, რომ ამერიკული ტანკები რუსულ არმიას უკვე 400 მეტრში ჩაუვლიან ამაყად!**

ხოლო, როდესაც ოკუპანტი ჩვენი ცვენტრალური ავტომაგისტრალიდან უკვე 300 მეტრში იქნება, ჩვენი „დიადი სტრატეგიული“ პარტნიორი, მას თავისი ტანკებითა და დროშების ფრიალით 300 მეტრში ჩაუვლის ამაყად. დარწმუნებული ვარ, ამერიკელები საქართველოს გასაჭირში არ მიატოვებენ და ასევე წარმატებით ჩაუვლიან რუსულ არმიას 200 მეტრში, 100 მეტრში და, თქვენ წარმოიდგინეთ, 50 მეტრშიც კი.

აი ასე უპირისპირდება „მხოხავი ამერიკა“ „მცოცავ რუსეთს“ საქართველოს ტერიტორიაზე და აი ასე, შტერი ბავშვებივით, გვიხარია ჩვენ ყოველივე ეს.

ჩნდება კითხვა: **რას მოვითხოვდით და რას მოვითხოვთ რუსეთისგან? აკი რუსეთმა თავის დროზე გასაგებად გვითხრა, რომ იგი ჩვენს მოქმედებებში ხედავდა მცდელობას, მის ტერიტორიასთან უშუალოდ მიგვეახლოვებინა ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები, რაშიც რუსეთი მისთვის სასიცოცხლო საფრთხეს ხედავდა და არაფრით დაუშვებდა ამას. „თუნდაც ეს ომის ფასად დაგვიჯდეს!“ — ზუსტად ეს განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების შეფმა სერგეი ლავროვმა იმხანად და დღემდე ვერ ვხვდები, რომელი „ნიღაბი“ ჩამოგლიჯა სააკაშვილმა რუსეთს, რომელიც არასდროს კეთებია?**

მიუხედავად ამისა, ქართული მხარე მუდამ დაჟინებით ამტკიცებდა, რომ არ აპირებს, რუსეთს საფრთხე შეუქმნას და არც იმისთვის არის მოწოდებული, რომ საკუთარი ტერიტორია ამერიკულ სამხედრო შენაერთებს დაუთმოს. დღეს კი სხვა სურათს ვხედავთ და რას ვაკეთებთ ამით? ვამართლებთ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს? მას უკვე აქვს სათქმელი, მე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები ამერიკული სამხედრო ბაზებისაგან დავაზღვიეო. და მას უკვე ვეღარავინ შეეკამათება.

მოდი, კიდევ ერთხელ დავსვათ შეკითხვა და ვუპასუხოთ კიდეც: **რას მოვითხოვდით და მოვითხოვთ რუსეთისგან? მისთვის აშკარად საზიანო, საფრთხის შემცველი მოქმედებები შევარჩინოს, არაფერი გვიპასუხოს და პირიქით — გვითხრას, — უი, რა კაი ბიჭები ხართ, ჩემი პირველი მტერი ჩემი ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს რომ მოგყავთ, მიდით, ბიჭებო, აბა, თქვენ იცითო?**

ტლიკინი, რომ „ეს ჩვენი, ქართველების, ტერიტორიაა და იქ, ვისაც გვინდა, იმას შევიყვანთ, ხოლო რუსეთს საერთაშორისო ნორმებით არ აქვს უფლება, ამის გამო ტერიტორიები წაგვართვას და მიიტაცოს“, პირდაპირ გეტყვით და, ცხონებული ბაბუაჩემისა არ იყოს, „გრამაფონშია“! აბა, სცადოს და, დავუშვათ, მექსიკამ თავის ტერიტორიაზე რუსული ტანკები შეიყვანოს! უკვე წართმეულ ტეხასის შტატს, აუცილებლად მიემატება ნახევარი მექსიკა, რომელიც ამერიკის ტერიტორია გახდება „უსაფრთხოების მიზნით“!

**მსოფლიოზე გავლენის მქონე ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის წინააღმდეგ „საერთაშორისო სამართლის ნორმებზე“ აპელირება ძალიან დიდი სისულელეა და „დათვისა და ბაბაიას“ ანდაზის აბუჩად აგდებაც სწორედ მის ინტერესში შედის, ვისაც „დათვის“ უკიდურესად გაღიზიანება სურს, რათა ეს გაღიზიანებული დათვი შენ დაგეტაკოს, შენ შეგალიოს ენერგია, ხოლო წამქეზებელი უვნებლად გადარჩეს, თანაც „დათვის“ შესაძლებლობები შენი გაწირვის ხარჯზე კარგად შეაფასოს და აწონ-დაწონოს.**

აი სულ ესაა „მხოხავი ამერიკის“ მთელი ფილოსოფია „მცოცავ რუსეთთან“ ჭიდილში.

ამ გლობალურ პოლიტიკურ ამბებში, არ მინდა, კიდევ ერთი წმინდა ქართული ამბავი გამომრჩეს — „მგუდავი ბიძინა“.

როდესაც მიხეილ სააკაშვილს „ბანანის ქერქზე“ ფეხი აუცურდება, ბიძინა ივანიშვილის ფანატები ჟვილ-ხივილს ატეხენ ხოლმე — „აი რას უშვება მგუდავი („უდავ“) ბიძინა მიშას, ახლაც ვერ ხვდებით, რა მაგარია ივანიშვილი?!“

ასეთი აჟიოტაჟი ატყდა, მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ, როდესაც ცნობილი შეიქნა, რომ უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოს ექსპრეზიდენტს უკრაინის მოქალაქეობა გაუუქმა.

„აი, რას ნიშნავს ბიძინა ივანიშვილი! მოგუდა ნელ-ნელა!“ — აღფრთოვანდნენ და ჭკუიდან გადავიდნენ „ბიძინმადიდებლები“. ყველაზე სასაცილო კი ნიშნისმოგებები ტონია მათ მიმართ, ვინც ბიძინა ივანიშვილის „უდავ“-ობას („მარხჩობელა გველი“) სკეპტიკურად უყურებდა და უყურებს.

„აჰა, ახლაც არ აღიარებთ ბიძინას მაგრობას? ახლა რაღას იტყვით?“ — გვეკითხებიან აჟიტირებული ბიძინისტები.

მშვიდად და ირონიულად ვუპასუხებთ: რას ვიტყვით და იმას, რომ, ჯერ ერთი, **უკრაინული პასპორტის ჩამორთმევა დიდი ვერაფერი „გამარჯვებაა“ სააკაშვილზე და მეორეც — როდესაც ქვეყნიდან გაქცეულ, გარემოცვაშემოძარცვულ, ჭკუიდან გადასულ და გაფარჩაკებულ მიშა სააკაშვილს, ლამის 6 წელიწადია, „გუდავ“, უკვე, „უდავი“ კი არა, კოჭლი კუც აღარ ხარ, ძმაო!**

ან საერთოდ, რატომ ამტკიცებენ ბიძინისტები სააკაშვილის ნებისმიერი წაბორძიკებისას, რომ აქ „უდავი-ივანიშვილის“ ხელი ურევია? მიშას კუჭი რომ აეშალოს, იმწამს აჟიოტაჟი ატყდება, — ნახეთ, რა უქნა ბიძინამ! მიშას ქუჩაში დაგდებულ ბანანის ქერქზე რომ აუცდეს ფეხი, ამასაც „უდავის“ ოინებად ასაღებს „ქოც-მადიდებელთა“ არმია.

ალბათ, ასე 50 წლის შემდეგ, როდესაც მიშა სააკაშვილი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვლება, „ქოცების“ ფანები ისევ იმას იტყვიან — აი, ბოლოს და ბოლოს, ხომ მოგუდა მაინც „უდავმა“ ბიძინამ, არც ახლა დაიჯერებთო? არადა, იმხანად თვითონ ბიძინა ივანიშვლი კაი 10 წლის გარდაცვლილიც რომ იყოს, ისინი მაინც ამას იტყვიან ჯიუტად.

ზუსტად ისეთი სიჯიუტით, როგორითაც ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილი, 30 წელიწადია, „მცოცავი რუსეთის“ წინააღმდეგ „მხოხავი ამერიკის“ გამოყენებას უკრავს ტაშს და აღფრთოვანებით ხვდება.

არადა, ერთადერთი, ვინც „მხოხავი ამერიკის“ უტიფრობითაც, „მცოცავი რუსეთის“ აგრესიულობითაც და „მგუდავი“ ბიძინას შტერული ქებადიდებითაც გამოუსწორებელ ზარალს განიცდის, ისევ და ისევ ჩვენი ბედკრული საქართველოა...




**რას მოვითხოვდით და რას მოვითხოვთ რუსეთისგან? აკი რუსეთმა თავის დროზე გასაგებად გვითხრა, რომ იგი ჩვენს მოქმედებებში ხედავდა მცდელობას, მის ტერიტორიასთან უშუალოდ მიგვეახლოვებინა ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები, რაშიც რუსეთი მისთვის სასიცოცხლო საფრთხეს ხედავდა და არაფრით დაუშვებდა ამას. «თუნდაც ეს ომის ფასად დაგვიჯდეს!» — ზუსტად ეს განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების შეფმა სერგეი ლავროვმა იმხანად და დღემდე ვერ ვხვდები, რომელი «ნიღაბი» ჩამოგლიჯა სააკაშვილმა რუსეთს, რომელიც არასდროს კეთებია?**

**„ამერიკულმა მხარემ უკანონო შეზღუდვების დაწესებით, სხვა ქვეყნებზე ზემოქმედებით, მათ შორის, თავის მოკავშირეებზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის შენარჩუნებითა და განვითარებით, ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობის გასაუარესებლად არაფრით პროვოცირებული ნაბიჯი გადადგა. ჩვენ საკმაო ხანს ველოდებოდით, რომ რაღაც შეიცვლებოდა უკეთესობისკენ, გვქონდა იმედი, რომ ვითარება შეიცვლებოდა, მაგრამ ჩანს, ეს უახლოეს ხანში არ მოხდება“.**

პოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პუტინმა აშშ გააფრთხილა: ჩვენ უპასუხოდ აღარაფერს დავტოვებთ!

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვეყნის მართვის სადავეები, როგორც ჩანს, ხელთ უპყრია არა პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რომელსაც დღეს, პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდომიდან 6 თვის შემდეგ, იმპიჩმენტით ემუქრებიან, არამედ კონგრესის წევრებს, რომლებიც გააფთრებით ეწინააღმდეგებიან ურთიერთობის ოდნავ მაინც დათბობას და სანქციას სანქციაზე უწესებენ რუსეთს, მიუხედავად იმისა, რომ ეს, როგორც ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟან-კლოდ იუნკერმა განაცხადა, ევროკავშირის ეკონომიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორ ანჯელა სტენტის აზრით კი, ამ სანქციებს თვით აშშ-ისთვის ექნება სავალალო შედეგები. ამას ადასტურებს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტ ვლადიმერ სოლოვიოვისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრებები აშშ-ის მიმართ კონტრაქციების დაწესებაზე:**



„ამერიკულმა მხარემ უკანონო შეზღუდვების დაწესებით, სხვა ქვეყნებზე ზემოქმედებით, მათ შორის, თავის მოკავშირეებზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის შენარჩუნებითა და განვითარებით, გადადგა არაფრით პროვოცირებული ნაბიჯი ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობის გასაუარესებლად.

ჩვენ საკმაო ხანს ველოდებოდით, რომ რაღაც შეიცვლებოდა უკეთესობისკენ, გვქონდა იმედი, რომ ვითარება შეიცვლებოდა, მაგრამ, ჩანს, ეს უახლოეს ხანში არ მოხდება. ამჟამად არ ვლაპარაკობ პოლიტიკური ხასიათის მიზეზებზე თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ საჭიროა, მე ასე მივიჩნიე, ვუჩვენოთ, რომ **ჩვენ უპასუხოდ უკვე არაფერს დავტოვებთ!**

რაც შეეხება სხვა შესაძლო ზომებს ან იმას, ბევრია ეს თუ ცოტა, დიპლომატიური უწყების მუშაობის თვალსაზრისით, ეს საკმაოდ საგრძნობია. იმიტომ, რომ **ათასზე მეტი დიპლომატიდან და ტექნიკური მუშაკიდან, რომლებიც ჯერ კიდევ მუშაობენ რუსეთში, 755-მა უნდა შეწყვიტოს მოღვაწეობა რუსეთის ფედერაციაში.**

საქმე ის არის, საჭიროა თუ არა კიდევ სხვა რამის გაკეთება და ჩვენ რა შეგვიძლია. ჩვენი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების მოცულობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მცირეა; ვერც კი შეედრება სავაჭრო ურთიერთობას, ვთქვათ, ჩინეთთან ან ევროკავშირის ქვეყნებთან, მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან. ამერიკასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობა ბევრია, მაგრამ, სხვადასხვა გარემოების გამო, მოცულობა მცირეა, თუმცა არის ჩვენი ურთიერთქმედების ძალიან მნიშვნელოვანი სფეროები. ეს არის მასობრივი განადგურების იარაღის შეზღუდვა (აქ ჩვენ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, პირველი ვიოლინოს როლს ვთამაშობთ) და ამ რეჟიმის გამყარება, ტერორიზმთან ბრძოლა. იმის გათვალისწინებით, რაც ბოლო პერიოდში გაკეთდა, შევხედავთ, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ბოლო ხანს სირიაში დეესკალაციის სამხრეთი ზონის შექმნა კონკრეტული ნაბიჯი, ერთობლივი მუშაობის კონკრეტული შედეგია. ეს არა მხოლოდ სირიის ან რუსეთის, არამედ იორდანიის, ისრაელის, ანუ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებშიც არის, ვგულისხმობ, რომ ამ რეგიონით არის დაინტერესებული აშშ და აშშ-ის ძირითადი მოკავშირე — ისრაელიც.

ასე რომ, ამ საკმაოდ რთულ ვითარებაშიც კი ჩვენ ვმუშაობთ და ვაღწევთ შედეგს. გვაქვს, აგრეთვე, ისეთი თემა, როგორც არის ბრძოლა უკანონო მიგრაციასთან, ორგანიზებულ დანაშაულთან. ბოლოს და ბოლოს, გვაქვს კიბერუსაფრთხოების საკითხები.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამაზე, **ამერიკის მხარეს არაერთხელ შევთავაზეთ, მოგვეგვარებინა ურთიერთქმედების საკითხები ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით — ჩვენი და ამერიკელების ინტერესების. და, საერთოდ, მსოფლიოში კონტროლი დაგვეწესებინა ისეთ უარყოფით საქმიანობაზე, როგორიც არის კიბერდანაშაული, მაგრამ, კონსტრუქციული მუშაობის ნაცვლად, მხოლოდ გვესმის უსაფუძვლო ბრალდებები ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო საქმეებში ჩარევის შესახებ.**

თუმცა ჩვენ ურთიერთობა გვაქვს სხვა სფეროებშიც, იმავე ეკონომიკაში, მაგალითად, ენერგეტიკის სფეროში. სხვათა შორის, ჩვენი კომპანიები, დიდი ხანია, თანამშრომლობენ და მათ ურთიერთობის გაღრმავების ძალიან კარგი პერსპექტივა აქვთ. კარგად ვმუშაობთ და საკმაო მოცულობითაც ავიაციის სფეროში, კოსმოსის ათვისების სფეროში. არ ვლაპარაკობ ჩვენი ძრავებით აღჭურვილი ამერიკული რაკეტების კოსმოსში გაშვებაზე, არც საერთაშორისო კოსმოსურ პროგრამაზე, მაგრამ ვიტყვი, რომ კარგი გეგმები გვაქვს შორეულ კოსმოსში მუშაობაზე. მაგალითად, ჩვენი და ამერიკელი მეცნიერები დიდი ინტერესით განიხილავენ პლანეტა ვენერას გამოსაკვლევად ერთობლივი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობას.

საქმე ბიზნესშიც კი არ არის — საქმე არის მრავალმხრივ თანამშრომლობაში ბევრი მიმართულებით. და **ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს შესაძლებლობა, შევზღუდოთ ჩვენი მოღვაწეობის ერთობლივი სფეროები, რომლებიც მტკივნეული იქნება ამერიკული მხარისთვის, მაგრამ, ვფიქრობ, ამის გაკეთება საჭირო არ არის. ეს ავნებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებასაც და ავნებს არა მხოლოდ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობას, როგორც ასეთს, არამედ გარკვეულ ზარალსაც ვნახავთ.**

მხოლოდ თეორიულად შეიძლება წარმოდგენა, რომ, შესაძლოა, ოდესმე დადგეს მომენტი, როცა რუსეთზე ზემოქმედების მცდელობების შედეგად გამოწვეული ზარალი შესაბამისი იქნება იმ ნეგატიური შედეგებისა, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი თანამშრომლობის შეზღუდვასთან. და, თუ ასეთი მომენტი ოდესმე დადგება, პასუხის სხვა ვარიანტების მოძებნასაც შევძლებთ, მაგრამ ვიმედოვნებ, საქმე აქამდე არ მივა. დღეს ამის წინააღმდეგი ვარ“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

**საქართველოში უცხო ქვეყნების სამხედროებისა და ტექნიკის გამოჩენას ისეთი დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ პროდასავლურად განწყობილი პოლიტიკოსები და არასამთავრობოები, თითქოს დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნეთ, არადა, საქართველო ორი ზესახელმწიფოს — რუსეთისა და აშშ-ის სამხედრო დაპირისპირების პოლიგონად შეიძლება იქცეს, რადგან საქართველოში ნატოს ტექნიკისა და ცოცხალი ძალის შემოსვლას რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიასა და ცხინვალის რეგიონში ახალი ტექნიკისა და ცოცხალი ძალის გადასროლით უპასუხა**

აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობის გამწვავების ფონზე გაუგებარია ის ხბოს აღტაცება, რომელიც გამოიწვია ფოთიდან თბილისში (ვაზიანში) ამერიკული სამხედროებისა და ტექნიკის მარშმა და აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ **მაიკ პენსის** ვიზიტმა.

მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებაში „ღირსეული პარტნიორი — 2017“, რომელიც ვაზიანისა და ნორიოს ბაზებზე 30 ივლისს დაიწყო, 1600 ამერიკელი, 800 ქართველი, 400 ბრიტანელი, გერმანელი, სლოვენიელი, უკრაინელი, თურქი და სომეხი ჯარისკაცი (სულ 2800 კაცი) მონაწილეობს. ამ წვრთნას დაესწრო აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსი.

საქართველოში უცხო ქვეყნების სამხედროებისა და ტექნიკის გამოჩენას ისეთი დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ პროდასავლურად განწყობილი პოლიტიკოსები და არასამთავროები, თითქოს დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნეთ, არადა, **საქართველო ორი ზესახელმწიფოს — რუსეთისა და აშშ-ის სამხედრო დაპირისპირების პოლიგონად შეიძლება იქცეს, რადგან საქართველოში ნატოს ტექნიკისა და ცოცხალი ძალის შემოსვლას, რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიასა და ცხინვალის რეგიონში ახალი ტექნიკისა და ცოცხალი ძალის გადასროლით უპასუხა.** ამ რეგიონებში ამჟამად მიმდინარე მასშტაბურ სამხედრო სწავლებაში რუსეთის არმიის 16 000 ჯარისკაცი და ასეულობით ერთეული სამხედრო ტექნიკა მონაწილეობს, აფხაზეთში კი ბოლო დღეებში რუსეთმა მოდერნიზებული ტანკები (Т-72Б3) და ჯავშანტრანსპორტიორები გადაისროლა. მანამდე კი რუსეთმა და ჩინეთმა ერთობლივი სამხედრო სწავლება ჩაატარეს ბალტიის ზღვაში — „საზღვაო ურთიერთქმედება — 2017“, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსული ატომური წყალქვეშა ნავები და, როგორც გერმანული გამოცემა Die Welt-ი წერს, მსოფლიოში ყველაზე დიდმა სუბმარინა „დიმიტრი დონელმა“, აგრეთვე, ატომურმა სარაკეტო კრეისერმა „პეტრე დიდმა“ სამხედრო ექსპერტებზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

აი ამ მწვავე ვითარების ფონზე, რომელიც საქართველოს გარშემო შეიქმნა, ზოგიერთი პოლიტიკოსი და არასამთავრობო ორგანიზაციები ხბოს აღტაცებას ვერ მალავენ თავიანთი პატრონების სამხედრო ნაწილების საქართველოში შემოსვლის გამო და არ ფიქრობენ (არ უნდათ, იფიქრონ), რომ, ღმერთმა ნუ ქნას და, თუ სამხედრო კონფლიქტი დაიწყო, ქართველების ნაცვლად რუსეთთან არავინ იომებს — არც ამერიკელები, არც ბრიტანელები, არც გერმანელები, არც სლოვენიელები, არც უკრაინელები, არც თურქები და არც სომხები.

სამხედრო კონფლიქტში რუსეთთან პირისპირ დარჩენამ კი რაც მოუტანა საქართველოს 2008 წლის აგვისტოში, ყველამ ვიცით.

მოამზადა
**ლუკა მაისურაძე**

მოკლედ



## «აშშ-ის მიერ ანტირუსული სანქციების დაწესება საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევს»



**„რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ის ახალი სანქციები საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევს, ამიტომ ევროკომისიამ საპასუხო ზომები უნდა შეიმუშაოს“, — განაცხადა გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრმა ბრიჯიტ ციპრისმა.**

ციპრისმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ გერმანიას არ სურს სავაჭრო ომი, მაგრამ ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია, ევროკომისიამ საპასუხო ზომებზე იმსჯელოს.

**„ჩვენ მიგვაჩნია, რომ აშშ-ის ახალი სანქციები საერთაშორისო სამართლის დარღვევაა“,** — განაცხადა მინისტრმა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოში მოქმედი უკლებლივ ყველა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერაა დაქირავებული და მათი ყველა ქმედება, ყველა ნაბიჯი შეთანხმებულია გარე ძალებთან, რომელთა მიზნებიც ჩვენი სახელმწიფოს მიმართ არც ისე მეგობრული და პარტნიორულია. ნაწილი ამ ორგანიზაციებისა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან ფინანსდება, ნაწილი — სახელმწიფო დეპარტამენტს დაქვემდებარებული უწყებებიდან“.**



## ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# დღეს საქართველოს სათავეში ფულით ნაყიდი ადამიანები არიან, რომლებსაც გარკვეულმა გარე ძალამ მართვის სადავეები მისცა

**ბოლო პერიოდში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი.**

**— ბატონო ჰამლეტ, ამას წინათ საქართველოში მოქმედმა 23-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ აშშ-ს ვიცეპრეზიდენტ მაიკლ პენსს ვრცელი წერილით მიმართა. წერილში გამოყოფილია ის „პრობლემური“ საკითხები, რომელთა მოსაგვარებლად, მათი აზრით, ვაშინგტონმა საქართველოს დახმარება უნდა განაგრძოს. კერძოდ, საუბარია ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების, სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის, თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და სხვა მიმართულებებით მხარდაჭერის გაგრძელებაზე... რა მიზანს ემსახურება რეალურად ეს მიმართვა და რა ქვეტექსტებია მასში ჩადებული?**

— ეს არის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინება იმისა, რომ საქართველოში მოქმედი უკლებლივ ყველა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერაა დაქირავებული და მათი ყველა ქმედება, ყველა ნაბიჯი შეთანხმებულია გარე ძალებთან, რომელთა მიზნებიც ჩვენი სახელმწიფოს მიმართ არც ისე მეგობრული და პარტნიორულია. ნაწილი ამ ორგანიზაციებისა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან ფინანსდება, ნაწილი — სახელმწიფო დეპარტამენტს დაქვემდებარებული უწყებებიდან. აქედან გამომდინარე, ისინი თავს ვალდებულად თვლიან, მსგავსი სახის „პატაკებით“ თავიანთ მამა-მარჩენალს შეატყობინონ აქ არსებულ ვითარებაზე. ამაში გასაკვირი არაფერია, პირიქით — გასაკვირი ის იქნებოდა, რომ არაფერი გაეკეთებინათ. ისინი ყოველთვის განსაკუთრებულად ემზადებიან ამერიკელი მაღალჩინოსნების დასახვედრად და ეს დახვედრა ყოველთვის მოგვაგონებს ხოლმე ბატონისა და ყმის, მბრძანებლისა და ლაქიის ურთიერთობას... სხვათა შორის, ეს ორგანიზაციები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს უკრაინაში მოქმედ არასამთავრობოებს. მათი საქმიანობა იქაც ანალოგიურია — ხელისუფლების მუდმივი კრიტიკა, დითირამბები — „დემოკრატიულ დასავლეთს“ და, რაც მთავარია, რუსეთი გამოცხადებულია მონსტრად, რომელიც თურმე საფრთხეს უქმნის „თავისუფალ“, „ცივილიზებულ“ მსოფლიოს.

**— ქართული და უკრაინული არასამთავრობოები უბრალოდ ჰგვანან ერთმანეთს?**

— ცხადია, ეს შემთხვევითი მსგავსება არ არის. **უკრაინაშიც, ისევე, როგორც საქართველოში, არასამთავრობოების მეხუთე კოლონას ერთი ძალა ხელმძღვანელობს — ამერიკის შეერთებული შტატები.** სწორედ ვაშინგტონი დგას დღეს რეალურად იმ პროპაგანდის უკან, რომ თურმე „ცივილიზებული მსოფლიო“ რუსეთისგან მუდმივად დარტყმის საფრთხის ქვეშ იმყოფება, თურმე საქართველო ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოა დღევანდელ მსოფლიო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე და ისე აღიზიანებს მოსკოვს ჩვენი ნატოში შესვლის პერსპექტივა, რომ პუტინს ერთი სული აქვს, მიწასთან გაგვასწოროს. ეს რომ აბსურდია, დიდი მიხვედრა არ სჭირდება. ჯერ ერთი, ვინ გიღებს ნატოში ან ევროკავშირში და მეორე — რა უშლის ხელს რუსეთს, თუ საქართველოს დაპყრობა სურს? — ამერიკა? მერწმუნეთ, პუტინს წყლითა და პამპერსებით დატვირთული ხომალდების არ ეშინია. ევროპა? ევროპას ჭერი ენგრევა თავზე, ანუ არც ერთს სცალია საქართველოსთვის და არც — მეორეს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ რუსეთი დაინტერესებული არ არის საქართველოზე თავდასხმით. არაფერს ნიშნავს ის რაღაც სასაზღვრო ინციდენტები, რომლებიც პერიოდულად ხდება ხოლმე სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვართან; ასევე არაფერს ნიშნავს ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები, რომლებსაც რუსეთი რეგულარულად ატარებს ჩრდილოეთ კავკასიაში. კიდევ ვიმეორებ: **საქართველოს „პატრიოტების“ მთელი ეს რიტორიკა, რომ რუსეთი გარდაუვალი საფრთხეა და თურმე პუტინს ბალისტიკური რაკეტები აქვს თბილისისკენ მოშვერილი, არის ამერიკის მონობა და გაგრძელება იმ მონური, მაამებლური პოლიტიკისა, რომელსაც საფუძველი ძალიან დიდი ხნის წინათ ჩაეყარა. ამ პოლიტიკის შედეგად დღეს საქართველო არც თავისუფალია და არც სუვერენული.** ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა სწორედ იმ 23 არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართვა ამერიკის ვიცეპრეზიდენტისადმი. აი ეს არის მთავარი პრობლემა. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არ არსებობს რეალური სახელმწიფო პოლიტიკა, ისევე, როგორც არ არსებობენ პოლიტიკოსები. საქართველოს დღეს სათავეში ჰყავს უცხოელების მიერ ფულით ნაყიდი, დაქირავებული ადამიანების ჯგუფი, რომელსაც გარკვეულმა გარე ძალამ მისცა მართვის სადავეები. ეს ჯგუფი კი დღეს პატარა ბავშვივით მისჩერებია თავის პოლიტიკურ გარანტორს — ამერიკის შეერთებულ შტატებს და თვალის დახამხამებასაც კი ვერ ბედავს მასთან შეუთანხმებლად. არადა, ამერიკას აქვს ძალიან სერიოზული საშინაო პრობლემები, რომელთა გამოც ის, პრაქტიკულად, ვერ იქნება ორიენტირებული ვერც ერთი სატელიტი თუ სრულფასოვანი მოკავშირე ქვეყნის დაცვასა და უსაფრთხოებაზე...

**— რას ფიქრობთ ამერიკის კონგრესის მიერ მიღებულ დოკუმენტზე რუსეთისთვის სანქციების გამკაცრების შესახებ? ის, ალბათ, კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას არა მხოლოდ რუსეთ-ამერიკას შორის, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზეც...**

— სწორედ ამას ვგულისხმობდი საშინაო პრობლემებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში დღეს ძალიან არაჯანსაღი პოლიტიკური ატმოსფეროა, რომელიც გამოიხატება დაპირისპირებაში კონგრესსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის. ეს დაპირისპირება, ცხადია, კარგად არ დასრულდება და, თუ გაჭიანურდა, გაჭიანურდება, სულ ცოტა, მომდევნო ოთხ წელიწადს. ამ პერიოდის განმავლობაში ამერიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტის და თუნდაც ვიცეპრეზიდენტის სახით, შანსი არ ექნება, სერიოზული ყურადღება დაუთმოს საქართველოს საკითხებს.

რაც შეეხება კონკრეტულ დოკუმენტს, რომელიც სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებს, ძალიან მალე მას წარუდგენენ **ტრამპს** და ისიც იძულებული იქნება, ხელი მოაწეროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონგრესი დაძლევს ვეტოს. ეს იქნება მისი, როგორც პირველი პირის, სრული „გაფარჩაკება“. სხვათა შორის, ეს დოკუმენტი ყველაზე ნათლად წარმოაჩენს ამერიკის შეერთებული შტატების რეალურ სახეს. ეს არის მტაცებელი სახელმწიფო, რომელიც გაშმაგებით იბრძვის იმისთვის, რომ რუსეთის ენერგომატარებლები არ იყოს ევროპაში. კიდევ ვიმეორებ: **ეს არის დიდი ეკონომიკური ომის დასაწყისი, რაც, რა თქმა უნდა, რუსეთისგან არ დარჩება უპასუხოდ და მას, ბუნებრივია, მსოფლიოში სერიოზული რყევები მოჰყვება.**

**«რა უშლის ხელს რუსეთს, თუ საქართველოს დაპყრობა სურს? — ამერიკა? მერწმუნეთ, პუტინს წყლითა და პამპერსებით დატვირთული ხომალდების არ ეშინია. ევროპა? ევროპას ჭერი ენგრევა თავზე, ანუ არც ერთს სცალია საქართველოსთვის და არც — მეორეს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ რუსეთი დაინტერესებული არ არის საქართველოზე თავდასხმით»**

**— ეს დაძაბულობა როგორ აისახება საქართველოზე? ხომ არ არსებობს საფრთხე, რომ, 2008 წლის მსგავსად, ისევ შექმნან აქ კონფლიქტის ახალი კერა?**

— ამას ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ ამ პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანია ერთი რამ: **საქართველო არ უნდა იქცეს რომელიმე მხარის ბრმა იარაღად, ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების ხელში, როგორც 2008 წელს იყო. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად გამოიყენებენ ჩვენს ქვეყანას რუსეთის წინააღმდეგ და ეს შეიძლება იმაზე გაცილებით ცუდი ფორმით მოხდეს, ვიდრე 2008 წლის აგვისტოში ვნახეთ.** მერე გინდ ვიცეპრეზიდენტი **პენსი** ჩამოვიდეს ვიზიტით და გინდ თვითონ **ტრამპი**, არაფერი შეიცვლება. მით უფრო, რომ ტრამპი დღითიდღე სულ უფრო ხელ-ფეხ შეკრული ხდება — პრეზიდენტი, რომელსაც რეალურად ბევრი არაფერი შეუძლია. მაგრამ ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა და უბედურება არის ის, რომ არ გვყავს ადეკვატური ხელისუფლება.

**— რაში გამოიხატება ეს არაადეკვატურობა?**

— ისინი აბსოლუტურად გაურკვევლები არიან საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში, ფეხებზე ჰკიდიათ, რა ხდება რუსეთში, რა ძვრები, რა პროცესები მიმდინარეობს. უბრალოდ, მათთვის რუსეთი არის ცარიელი ადგილი და წარმოდგენაც არ აქვთ, რა პოლიტიკას აწარმოებს ეს სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, მათ არ იციან რეაქცია, რომელიც არის ამერიკის შეერთებულ შტატებში და რატომღაც ჰგონიათ, რომ მსოფლიო ტრიალებს ამ ციდა სახელმწიფოს ირგვლივ, რომელსაც საქართველო ჰქვია. ცხადია, ეს აბსურდია, მაგრამ მაღალ თანამდებობებზე მოკალათებულ ცხელ თავებს აქვთ ამის ილუზია. სწორედ ეს ილუზიაა ჩვენი მთავარი საფრთხე დღეს და, ღმერთმა ნუ ქნას, თუ რამე ცუდი მოხდა, ვგულისხმობ დაძაბულობის ესკალაციას რუსეთთან, ისევ და ისევ ამ ილუზიით, ამ ცრუ პოლიტიკური წარმოდგენებით იქნება გამოწვეული. თუმცა ამერიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ასევე არიან ძალები, რომლებიც საღად უყურებენ მიმდინარე მოვლენებს და ხვდებიან, რომ ეს დაძაბულობა მათთვის შეიძლება ცუდად დამთავრდეს...

**— დავუბრუნდეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს. თავის დროზე, როცა ტრამპმა არჩევნები მოიგო, მისი საჯარო განცხადებებიდან გამომდინარე, გაჩნდა მოლოდინი, რომ ამ ორგანიზაციებს დაფინანსება შეუწყდებოდათ, რომ მათ აღარ ექნებოდათ „თეთრი სახლიდან“ ადრინდელივით მძლავრი მხარდაჭერა და, შესაბამისად, დაკარგავდნენ გავლენას. ასრულებს კი დღეს ტრამპის ადმინისტრაცია ამ დაპირებას?**

— ტრამპი მსგავსი დაფინანსების წინააღმდეგია, რადგან მას, როგორც ბიზნესმენს, მიაჩნია, რომ ამერიკას არ სჭირდება ზედმეტი ხარჯები. ამასთანავე, ის ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიისას ამბობდა, რომ ამერიკამ არავის არ უნდა მოახვიოს თავს საკუთარი პოლიტიკა, მაგრამ ერთია განცხადებები და მეორე — მათი განხორციელება. რეალურად ტრამპს არ აქვს საშუალება, შეასრულოს თავისი დაპირებები და, თუ მაინცდამაინც შეეცდება ამის გაკეთებას, შეიძლება „თეთრი სახლის“ გარეთაც აღმოჩნდეს. მოგეხსენებათ, ახლა იმპიჩმენტის საკითხიც დგას და კაცმა არ იცის, ეს რით დამთავრდება, ანუ ტრამპს წინ ელოდება რთული შიგა პოლიტიკური ბრძოლები, რომლებსაც ან გაუძლებს, ან ვერა.

რაც შეეხება არასამთავრობოების დაფინანსებას, ტრამპმა ბოლომდე პრინციპული პოზიცია რომც დაიკავოს, სულ რომ გადაუკეტოს მათ დაფინანსების ყველა წყარო, დარწმუნებული ვარ, კონგრესი კბილებით შეინარჩუნებს. ამ ორგანიზაციებს მათთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ორგანიზაციებია მთავარი პლაცდარმი ახალი რევოლუციებისთვის.

**— თუკი ეს ორგანიზაციები გარედან იმართება, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ფინანსდება და შესაბამის დავალებებს ასრულებს, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა მათი საქმიანობა ძირფესვიანად შესასწავლი და, საერთოდ, შესაძლებელია დღეს რაიმე ფორმით მათ შეზღუდვაზე საუბარი?**

— სამწუხაროდ, დღეს საქართველოს არ აქვს შესაბამისი კანონმდებლობა ამ ორგანიზაციების საქმიანობა რამენაირად შეზღუდოს ან გააკონტროლოს. ეს ერთი. მეორე: მთელი პოლიტიკური სპექტრი, არა მხოლოდ ხელისუფლება, დაკომპლექტებულია იმ ადამიანებით, რომლებიც გუშინ არასამთავრობოებში „მოღვაწეობდნენ“, ვინ შეზღუდავს მათ? საკუთარ თავს შეიზღუდავენ?! ეს არ მოხდება, მით უმეტეს, ზედმეტია საუბარი აკრძალვაზე. **დღეს მთელი საქართველო ამერიკასაა მიყიდული.** არავინ არის განმკითხავი, სად რომელი ორგანიზაცია ვის მიერ ფინანსდება და რა მიზნით. ან ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ აიკრძალოს ეს ორგანიზაციები?..

**«საქართველო არ უნდა იქცეს რომელიმე მხარის ბრმა იარაღად, ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების ხელში, როგორც 2008 წელს იყო. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად გამოიყენებენ ჩვენს ქვეყანას რუსეთის წინააღმდეგ და ეს შეიძლება იმაზე გაცილებით ცუდი ფორმით მოხდეს, ვიდრე 2008 წლის აგვისტოში ვნახეთ»**

**ესაუბრა ჯაბა ჟვანია**

„დღეს ამერიკის შეერთებული შტატები დგას იდეოლოგიური კრიზისის წინაშე, რომლის გამწვავებითაც უნდა ველოდოთ იქ ძირფესვიან ცვლილებებს. სანამ ეს მომენტი დადგება, რამდენი პრეზიდენტიც უნდა შეიცვალოს და რა დაპირებებიც უნდა მოვისმინოთ მათგან, რეალურად მაინც არაფერი შეიცვლება, ეს ქვეყანა ისევ დარჩება იმ ტერორისტულ სახელმწიფოდ, რომელიც, ერთი მხრივ, სხვა რეგიონებში ქმნის ტერორისტულ ბუდეებს და, მეორე მხრივ, თავს აცხადებს მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ პირველ ძალად“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ვალერი კვარაცხელია: რა ჰგონიათ, შემოვიდა რამდენიმე ამერიკული ტანკი, ჩაატარებენ ერთ-ორკვირიან სწავლებას და საქართველო გამთლიანდება?!

**რამდენიმე დღის წინათ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მრავალეროვნული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი — 2017“ დიდი ზარ-ზეიმით, ტაშისკვრის ფონზე საქართველოში ამერიკული სამხედროების შემოყვანით დაიწყო. როგორც თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული, „სწავლება მიზნად ისახავს სტაბილურობის გაზრდას, თავდაცვითი და შეტევითი ოპერაციების უნარ-ჩვევების ამაღლებას, ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების საბრძოლო შესაძლებლობების გაუმჯობესებას და მასში მონაწილე დანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის გაღრმავებას“. მოგვიანებით წვრთნის თაობაზე განცხადება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა იან კელიმაც გააკეთა. მან აღნიშნა, რომ სწავლება მიმართული არ არის რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომ ვაშინგტონი ამით კიდევ ერთხელ გამოხატავს საქართველოს, როგორც პარტნიორი სახელმწიფოს, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერას და ეს მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება.**



## «ეს არის წმინდა წყლის პროვოკაცია ამერიკელების მხრიდან და, რა თქმა უნდა, საქართველოს მხრიდანაც»

**კარდინალურად განსხვავებული იყო ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელთა განცხადებები. კერძოდ, საპარლამენტო უმცირესობის წევრების აზრით, რუსეთი თურმე უკიდურესად შეშფოთებული და თავზარდაცემულია ვაზიანში მიმდინარე სამხედრო სწავლებით. მეტიც, დეპუტატ რომან გოცირიძის შეფასებით, ამერიკელი სამხედროების ყოფნა საქართველოში და ვიცეპრეზიდენტ პენსის ვიზიტი მკაფიო სიგნალია მოსკოვისთვის, რომ „მას არავინ ეკითხება ჭკუას ნატოს გაფართოების საკითხებზე“. გოცირიძის აზრით, ამ ორ მოვლენას, განსაკუთრებით — პენსის ვიზიტს თბილისში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების თვალსაზრისით.**

**რას ნიშნავს რეალურად საქართველოსთვის ვაზიანში მიმდინარე ერთობლივი სამხედრო წვრთნები, რა გზავნილია ის რუსეთისთვის და რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს მომავალში ამ ყველაფერს? ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ექსპერტი ვალერი კვარაცხელია ესაუბრება.**

**— ბატონო ვალერი, მრავალეროვნულ სამხედრო წვრთნა „ღირსეული პარტნიორი 2017“-ზე პოლიტიკურ სპექტრში საკმაოდ თამამი განცხადებები და შეფასებები კეთდება. ამ შეფასებების თანახმად, „თეთრი სახლი“ ოფიციალურ მოსკოვს მკაფიო სიგნალს უგზავნის, რომ ნატოს გაფართოების საკითხი მისი საქმე არ არის. ხომ არ გაგონებთ ეს ვითარება 2008 წლის ომის წინა პერიოდს, როცა დაახლოებით ამგვარი ქმედებით ხდებოდა რუსეთთან კონფრონტაციის გამოწვევა?**

— ამ ყველაფერს ორ რამეს ვადარებ: მეფისტოფელის ხარხარს, რომელიც ბოროტების ზეიმია, მაგრამ ძალა აქვს და ჭინკების ხორხოცს, რომლის უკანაც არანაკლები ბოროტებაა, მაგრამ უძლური. საქართველოში, უკვე ათეული წლებია, სწორედ ეს ხორხოცი ისმის და დასასრული არ უჩანს. ახლა — სად ჩანს ეს ყველაფერი: უწინარესად, ამერიკულ მედიასაშუალებებში. ე.წ. პროდასავლური პოლიტიკოსები, უგუნურთა, უწიგნურთა, რეგვენთა, ხეპრეთა, ბრიყვთა, გამყიდველთა და სამშობლოს მოძულეთა საიდანღაც მოვარდნილი მასა, რომლებიც მიეტმასნენ ამ ყალბ პოლიტიკას, წლებია, ანგრევენ, აჩანაგებენ სახელმწიფოს...

რაც შეეხება კონკრეტულად ამერიკული სამხედრო ტექნიკის შემოყვანასა და სწავლებას, **ეს არის წმინდა წყლის პროვოკაცია ამერიკელების მხრიდან და, რა თქმა უნდა, საქართველოს მხრიდანაც.** თუმცა აქ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ არის ეს პროვოკაცია გაფორმებული. ესენი ისე ზეიმობენ და ხარობენ, გეგონება, ამ მამაძაღლებმა რუსეთს რამე წაართვეს. მიჩნდება კითხვა: კი მაგრამ, გუშინ აქ რამდენიმე ამერიკული ტანკის შემოხრიგინების მეტი ვერაფერი დაინახეს?! რუსეთმა საზღვაო ფლოტის როგორი წვრთნები ჩაატარა და ეს არაფერია?!

**— რას გულისხმობთ?**

— რას და ეს ყველაფერი ერთმანეთთან ძნელი დასაკავშირებელია?! ან რა ჰგონიათ: შემოვიდა რამდენიმე ამერიკული ტანკი, ჩაატარებენ ერთ-ორკვირიან სწავლებას და საქართველო გამთლიანდება?! პირიქითაა — ეს ყველაფერი იქით მიგვაქანებს, რომ სამუდამოდ დაიკარგება არათუ ის ტერიტორიები, რომლებსაც დღეს ვერ ვაკონტროლებთ, კიდევ სხვა ტერიტორიებიც მიჰყვება მას. აი, ამისთვისაა ეს ყველაფერი გამიზნული და რა ახორხოცებთ ამ ქართველ ჭინკებს, რა უხარიათ და რას ზეიმობენ, გაუგებარია.

**— რუსეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო იძაბება და შეიძლება, რომ საქართველო ამ ორი ქვეყნის დაპირისპირების, თუნდაც ეკონომიკური ჭიდილისა და კონფრონტაციის, ეპიცენტრში მოექცეს?**

— რა თქმა უნდა, ეს საფრთხე ძალიან რეალურია, მაგრამ არ ვიცი, ჩვენი პოლიტელიტა რა პრინციპებით ხელმძღვანელობს, როგორ გამოაქვს დასკვნები. მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ **ვლადიმერ პუტინმა** სანქციების მიმართ ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილებაზე განაცხადა, რომ ეს გზა ჩიხისკენ მიდის და რომ ეს ყველაფერი რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებს საბოლოოდ გართულებს და გააფუჭებს. ანუ იმის თქმა მინდა, რომ, მართალია, მან იმედი გამოთქვა, ბოლოს მაინც გონიერება გაიმარჯვებს იმ უგუნურებაზე, რომელსაც ამერიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობა სჩადის, მაგრამ ცხადია — თუ ეს დაპირისპირება გამწვავდა და უფრო რთულ ფორმებში გადავიდა, საქართველოს დაანგრევს. თქვენ მართებულად გაავლეთ პარალელი, როცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების წინა პერიოდი გაიხსენეთ და დღევანდელ ვითარებას შეადარეთ. დიახ, ჰგავს ისინი ერთმანეთს. **როგორც კი მწვავდება ურთიერთობა ამერიკასა და რუსეთს შორის, მაშინვე წამოყოფენ თავს ეს ბნელეთის მოციქულები და ცდილობენ, როგორმე ამ მოვლენების მიღმა არ დარჩნენ. ასე ხდება ხოლმე საქართველოს ჩათრევა ორი ზესახელმწიფოს სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში, რომლებთან შედარებით ჩვენი ქვეყანა არის ჭიანჭველა...**

**— ამას მიზანმიმართულად აკეთებენ თუ ეს ყველაფერი, უბრალოდ, პროდასავლური პოლიტიკის უნებლიე შედეგად უნდა მივიჩნიოთ?**

— პოლიტიკაში უნებლიეთ არაფერი ხდება და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის უკან საქართველოში თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი გარკვეული ძალების კონკრეტული გათვლა, კონკრეტული ამოცანა დგას. კიდევ ვიმეორებ: **ღმერთმა ნუ ქნას, რუსეთ-ამერიკას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება მოხდეს, თორემ ეს იქნება პლანეტის კატასტროფა.**

რაც შეეხება იმ ქართველ ვაიპოლიტიკოსებს, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, თავიანთი უგუნურებით საქართველოს აყენებენ რუსულ-ამერიკული კონფლიქტის ეპიცენტში და სახელმწიფოს, ფაქტობრივად, აღსასრულს უმზადებენ, ისინი დაქირავებული ლაქიები არიან, ნესტოებდაბერილი მეძებრები, რომლებიც ენაგადმოგდებული დასდევენ ფულს და იმის იქით ვერაფერს ხედავენ. მათი საქციელი გასაგებია, მაგრამ **ხალხმა, საზოგადოებამ ხომ უნდა გამოიღვიძოს, ხომ უნდა დაინახოს და მიხვდეს, რომ არ შეიძლება ამის გაკეთება, არ შეიძლება ამ პროვოკაციაზე წამოგება და საქართველოს ჩართვა დიდ სახელმწიფოთა კონფლიქტში, რომელიც საბოლოოდ დაანგრევს ამ ისედაც დანგრეულ-გაუბედურებულ ქვეყანას.**

**— დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებამ გააჩინა მოლოდინი, რომ ამერიკის და გარკვეულწილად ევროპის პოლიტიკაც მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა. ამის ნაცვლად ჩვენ იმავე პოლიტიკას ვხედავთ, ფაქტობრივად, ვისმენთ იმავე განცხადებებსა და რიტორიკას. ვიცეპრეზიდენტ პენსის ვიზიტიც ამის დასტურია. რა არის ამის მიზეზი?**

— მოლოდინი, რომ ტრამპი მოკლე პერიოდში ძირფესვიანად შეცვლიდა ამერიკას და მთლიანად დასავლეთს, იმთავითვე უსაფუძვლო იყო. სხვათა შორის, ამის თაობაზე **პუტინმა** სწორად შენიშნა, რომ ამერიკას პრეზიდენტი კი არა, მართავენ შავჰალსტუხიანი, შავპიჯაკიანი და კეისიანი ადამიანები, რომლებიც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას მიდიან „თეთრ სახლში“ პირველ პირთან და ეუბნებიან, რა, როგორ, რანაირად უნდა გაკეთდეს. აი ეს არის რეალურად ამერიკის პოლიტიკა და იმ შავი პიჯაკის, ჰალსტუხისა თუ კეისის მიღმა დგას სისტემა, რომელიც უჩინრად მართავს ყველაფერს. ამის ფონზე ტრამპის განცხადებები და დაპირებები, ცხადია, იმთავითვე განწირული იყო. ასე რომ, ცვლილებებს იქ განახორციელებს არა რომელიმე პრეზიდენტი, არამედ კრიზისი, რომელიც გადავა სხვა ფაზაში; ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიზისი რომ ყოველდღიურად მწვავდება, ცხადია.

**— კონკრეტულად სად ჩანს ამ კრიზისის ნიშნები?**

— ეს კრიზისი მოიცავს პოლიტიკასაც, ეკონომიკასაც, სამხედრო სფეროსაც და იდეოლოგიასაც. დღეს ამერიკის შეერთებული შტატები დგას იდეოლოგიური კრიზისის წინაშე, რომლის გამწვავებითაც უნდა ველოდოთ იქ ძირფესვიან ცვლილებებს. სანამ ეს მომენტი დამდგარა, რამდენი პრეზიდენტიც უნდა შეიცვალოს და რა დაპირებებიც უნდა მოვისმინოთ მისგან, რეალურად არაფერი შეიცვლება, ეს ქვეყანა ისევ დარჩება იმ ტერორისტულ სახელმწიფოდ, რომელიც, ერთი მხრივ, სხვა რეგიონებში ქმნის ტერორისტულ ბუდეებს და, მეორე მხრივ, თავს აცხადებს მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ პირველ ძალად.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## «ეს ყველაფერი იქით მიგვაქანებს, რომ სამუდამოდ დაიკარგება არათუ ის ტერიტორიები, რომლებსაც დღეს ვერ ვაკონტროლებთ, სხვა ტერიტორიებიც მიჰყვება მას. აი, ამისთვისაა ეს ყველაფერი გამიზნული და რა ახორხოცებთ ამ ქართველ ჭინკებს, რა უხარიათ და რას ზეიმობენ, გაუგებარია»



ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩემთვის ცნობილი შეიქნა, რომ გასულ კვირას ქალბატონ თაკო ჩარკვიანს ბატონი ჯანსულის სწორედ იმ მეგობრისთვის დაურეკავს, რომლის ხათრითაც 2 წლის წინათ ის წერილი არ დავბეჭდე. დაურეკავს და ჩემთვის გადმოსაცემად დაუბარებია: „მამაჩემს თუ რამე დაემართა, დათო მხეიძეს არ ვაცოცხლებო"! იქვე თვითონ ბატონი ჯანსულის მეგობარიც დაუდანაშაულებია, — იმ წერილის გამოქვეყნებაში შენი ხელიც ურევიაო. იქიდან გამომდინარე, რომ მოკვლას მიპირებს ჯანსულ ჩარკვიანის ასული, გარკვეული მუქარა ეკუთვნის ბატონი ჯანსულის მეგობარსაც.**

**„საქართველო და მსოფლიოს" წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენ სიყვარულით დიდ თვალებში ვუყურებთ ლენინს" ნათქვამი სიმართლე საზოგადოებაში დიდ ვნებათაღელვას რომ გამოიწვევდა, იმთავითვე ვიცოდი და მასმედიასა თუ სოციალურ ქსელებში მძაფრი პოლემიკისთვისაც მზად ვიყავი, ამიტომაც, ერთი ქართული ანდაზის სიბრძნის საწინააღმდეგოდ, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული არ მყავდა.**

# დაიცავით ჩემი სიცოცხლე, რომელსაც ჯანსულ ჩარკვიანის ასული მოსპობით ემუქრება!

## თუ საქმეს არ აღძრავთ, ის მაინც გაარკვიეთ, თვითონ მოიყვანს სისრულეში განაჩენს ქალბატონი თაკო თუ კილერების დაქირავებას აპირებს

ჩემი სიმართლე კი იმ უტიფარი ტყუილის მხილება იყო, რომელიც ცნობილმა პოეტმა, ბატონმა **ჯანსულ ჩარკვიანმა** 2 წლის წინათ პირდაპირ ეთერში იკადრა: — ლენინზე ლექსები არასოდეს დამიწერია, აი, სტალინი კი ერთი-ორგან მყავს ნახსენებიო.

ცოტა ხნით დავანებოთ ლენინს თავი...

ბატონ ჯანსულს, კაცს, რომელიც 1930 წელს არის დაბადებული, პირველი ლექსი 1947 წელს გამოუქვეყნებია; 1953-ში (სტალინის გარდაცვალების წელს) დაუმთავრებია თბილისის უნივერსიტეტი, ანუ სტალინის ზეობის ჟამს დაკაცდა (აღარაფერს ვამბობ 1956 წლის 9 მარტზე, როცა, ალბათ, ბატონი ჯანსულიც ერთ-ერთი მონაწილე იქნებოდა იმ ტრაგიკული მოვლენებისა, ისევე, როგორც მამაჩემი, **ნუგზარ მხეიძე**, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ბაბუა, ანუ მამაჩემის მამა 37-ში დახვრიტეს. აი, როგორი მაგია ჰქონდა სტალინის ფენომენს), ვინმე საღად მოაზროვნე დაიჯერებს, რომ ბატონ ჯანსულს სტალინზე ერთი ლექსიც არ დაუწერია და მხოლოდ ერთი-ორჯერ ჰყავს ნახსენები?..

არადა, ვიმეორებ წინა წერილში თქმულს: **იყო კი საბჭოეთში დიდი თუ პატარა მწერალი, პოეტი, მხატვარი, საზოგადოდ, შემოქმედი, რომელსაც გულწრფელად (და ასეთები, განსაკუთრებით დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ, უმრავლესობა იყო. მხოლოდ იოსებ ნონეშვილის „მამავ ძვირფასო" რად ღირს) თუ ფარისევლურად დითირამბები არ მიეძღვნა გენიალური სტალინისთვის?**

რაც შეეხება ლენინს, პროლეტარიატის ბელადი არასოდეს ეხატებოდათ გულზე ქართველებს, მით უმეტეს — სტალინის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ვიმეორებ: უკლებლივ ყველა დიდ საბჭოთა ხელოვანს, კლასიკოსს, თავისი წილი ხარკი აქვს გადახდილი ვლადიმერ ილიჩისთვის, მაგრამ ამით მათ დიდ შემოქმედებას ოდნავი ჩრდილიც არ მისდგომია.

გამახსენდა ანეკდოტად ქცეული ერთი ნამდვილი ამბავი:

თუ არ ვცდები, ცხონებული **ვახტანგ გოგუაძისთვის** უკითხავთ:

— რა ჰქენი, ვახტანგ, დაამთავრე დისერტაციაზე მუშაობა?

— დავამთავრე, ოღონდ მომარქსიზმ-მოლენინიზმებალა დამრჩაო.

ანუ იუმორით თქვა ის, რომ მარქს-ლენინის გარეშე დისერტაციას ვერ დაიცავდი, თუნდაც სადისერტაციო თემა კიბოს დამარცხება ან მთვარეზე მანდარინის პლანტაციების აღმოჩენა ყოფილიყო.

ჰოდა, ბატონ ჯანსულს რა გაუჭირდა ისეთი, რომ პროვოკატორი **შალვა რამიშვილისთვის** ეპასუხა: — ლენინზე არ დაწერდი ლექსებს და შენი აჯობებდაო.

ახლა მავანი, ალბათ, დამამუნათებს, 2 წლის განმავლობაში რით ვერ მოინელე ბატონი ჯანსულის ტყუილი, შენი სიმართლით მოხუცს სიბერე რომ გაუმწარეო?!

წინა წერილში ვთქვი, რომ მონელებულიც მქონდა და მიტევებულიც — 2 წლის წინათ დასაბეჭდად გამზადებული წერილის გამოქვეყნებისგან მისი ერთი მეგობრის თხოვნით შევიკავე თავი და წინა ოთხშაბათს, 26 ივლისს, გამოქვეყნებული წერილიც „ჩვენ სიყვარულით დიდ თვალებში ვუყურებთ ლენინს" არ დაიწერებოდა, რომ არა **ინგა გრიგოლიას** ეთერში ბატონი ჯანსულის ბაგეთაგან ართქმული არც ერთი მხარდამჭერი ფრაზა იმ დღეებში ჩატარებულ გრანდიოზულ „ქართული მარშზე".

მხოლოდ მისთვის ჩვეული ეფემერული საუბარი ერთობასა და სიყვარულზე, რომელიც, თურმე, ეგ გადაგვარჩენს თუ გადაგვარჩენს, აღტყინების ნაცვლად რიტორიკულ კითხვებს აჩენს:

ვინ შევიყვარო: **გიგა ბოკერია** თუ **თამარ ჩერგოლეიშვილი? გივი თარგამაძე** თუ **გიგი უგულავა?** კაპიტანი **გიგაური** თუ ეფრეიტორი **ეკა ლომჯარია?** და ა.შ.

ბოლოს კი ფუნაგორიული კვინტესენცია:

**„ადრე გვებრძოდნენ მუსულმანები, ახლა გვებრძვიან რუსულმანები"...**

ბატონი ჯანსულის ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი, ფუნაგორია სინამდვილეში საქართველოს გადამრჩენელი რუსეთის შეურაცხყოფაა, რადგან ეს, პირდაპირ თუ ირიბად, ასე იკითხება:

თურმე **ვორონცოვზე** უკეთესები (თუ ასე თქმა შეიძლება) იყვნენ: **თემურ ლენგი, შაჰ-აბასი,** ოსმალეთის სულთნები და ქართველთა სისხლისმსმელი და ცრემლის მნთხეველი სხვა მრავალი ურჯულო, რომელთაგან ზოგს ჩვენი ხელისუფლება ისტორიულ მეგობარს უწოდებს, ხოლო რუსეთს — ისტორიულ მტერს.

26 ივლისიდან, წერილის გამოქვეყნების შემდეგ, რომ იტყვიან, ჩემი ტელეფონი ადუღდა — საიდან და ვინ აღარ მირეკავდა და მირეკავს, მათ შორის, პოეტის ნაცნობ-მეგობრები, და ყველა ერთად მადლობას მიხდიან ხსენებული წერილის გამო.

რატომ?

რატომ და **იმ წერილში ვერ იპოვით მისხალ სიცრუეს, პირად შეურაცხყოფას. მასში მხოლოდ დოკუმენტებით დადასტურებული სიმართლეა და არაფერი პირადული.**

მხოლოდ „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება"...

ჰოდა, სიმართლის საწინააღმდეგო როგორ და რა შეიძლება ჰქონდეს ბატონი ჯანსულის უახლოეს მეგობარსაც კი?!



**ახლა, ამ სიბერეში, რადგან ჟურნალისტ-პუბლიცისტი გავხდი, ჩემი პროფესია ძველბიჭობასთან შეუთავსებელია და 60 წლის კაცი იძულებული ვარ, სამართალდამცავ ორგანოებს (არ ვიცი ზუსტად, ვის კომპეტენციაშია მსგავსი საქმე — პროკურატურის თუ პოლიციის), არასამთავრობო სექტორს, სახალხო დამცველს და რა ვიცი, კიდევ ვის მივმართავ კითხვებით: არის თუ არა ეს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა, რომელიც იმ ევროპაში, რომლისკენაც «მივისწრაფვით», მკაცრად ისჯება? არის თუ არა ეს სიცოცხლის მოსპობის მუქარა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ასევე ისჯება?**

მათი ერთადერთი „რკინისებური არგუმენტი" შეიძლება იყოს ის, რომ მოხუცდა და აღარ იცის, რას ლაპარაკობს.

მაგრამ, თუ მოხუცდა და აღარ იცის, რას ლაპარაკობს, მაშინ ტელეეკრანებზეც ნუ გამოჰყავთ, თორემ რა გამოდის? თუ ჭკვიანური დასცდა რამე — აპლოდისმენტები, ხოლო, თუ „რუსულმანები" — მაშინ მოხუცდა და ვაპატიოთ?..

სოციალურ ქსელშიც ვერ ვნახე ვერც ერთი უარყოფითი კომენტარი.

ერთი სიტყვით, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პოლემიკა, რომლისთვისაც მზად ვიყავი, ბატონი ჯანსულის მომხრეებსა და ჩემ შორის არ შედგა, რადგან მომხრეები ვერსად ვიპოვე და წერტილის დასმასაც აქ ვაპირებდი, მაგრამ...

**ჩემთვის ცნობილი შეიქნა, რომ გასულ კვირას ქალბატონ თაკო ჩარკვიანს ბატონი ჯანსულის სწორედ იმ მეგობრისთვის დაურეკავს, რომლის ხათრითაც 2 წლის წინათ ის წერილი არ დავბეჭდე. დაურეკავს და ჩემთვის გადმოსაცემად დაუბარებია: „მამაჩემს თუ რამე დაემართა, დათო მხეიძეს არ ვაცოცხლებო"!**

ბატონ ჯანსულს გულწრფელად ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, მაგრამ ბიბლიური მათუსალა ხომ არ არის, რომ 969 წელიწადს იცოცხლოს?

მის წლოვანებამდე, ნეტავ, ყველამ მოიყაროს. ჰოდა, მის ასაკში თუ ინსულტი(?) ან სურდო შეეყრება, ჩემი ან ვინმეს ბრალია?!

ის კი არა, 60 წლის კაცმა 12 აპრილს გულის შუნტირების ურთულესი ოპერაცია გავიკეთე და ძლივს დავუძვერი მიქელ-გაბრიელს და ახლა ეს ვის დავაბრალო?

18-20 წლის ქუჩის ბიჭი აღარ ვარ, რომ ჩარკვიანების მუქარას წავუყრუო ან მუქარითვე ვუპასუხო. არადა, მილიციაში საჩივლელადაც არასოდეს წავსულვარ...

მაგრამ **ახლა, ამ სიბერეში, რადგან ჟურნალისტ-პუბლიცისტი გავხდი, ჩემი პროფესია ძველბიჭობასთან შეუთავსებელია და 60 წლის კაცი იძულებული ვარ, სამართალდამცავ ორგანოებს (არ ვიცი ზუსტად, ვის კომპეტენციაშია მსგავსი საქმე — პროკურატურის თუ პოლიციის), არასამთავრობო სექტორს, სახალხო დამცველს და რა ვიცი, კიდევ ვის მივმართავ კითხვებით:**

**არის თუ არა ეს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა, რომელიც იმ ევროპაში, რომლისკენაც „მივისწრაფვით", მკაცრად ისჯება? არის თუ არა ეს სიცოცხლის მოსპობის მუქარა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ასევე ისჯება?**

რაც შეეხება მოთხოვნას:

**დაიცავით ჩემი სიცოცხლე, რომელსაც ჯანსულის ასული მოსპობით ემუქრება!**

თუ ზემოჩამოთვლილი უწყებები მხოლოდ ლგბტ-პედერასტებსა და **თათია დოლიძის** უფლებებს არ იცავთ, დოლიძის, რომლის გამოც აბსურდული ბრალდების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე აღძარით და უაზრო დაკითხვებზე ატარეთ „ქართული მარშის" ბიჭები, მაშინ ახლაც აღძარით საქმე და მოწმის სახით დამკითხეთ. **მე დაგისახელებთ ქალბატონ თაკოს მიერ ჩემდამი მუქარის მოწმეებს, აგრეთვე, სხვა უტყუარ მტკიცებულებებსაც წარმოგიდგენთ.**

**დავით მხეიძე**

**P.S. ისევ მივმართავ სამართალდამცავებს, არასამთავრობოებსა და სახალხო დამცველს:**

**მე უკვე ერთხელ, 20 წლის წინათ, შემეშინდა, როდესაც 13 წლის ბიჭი ჩავდე მიწაში. ასე რომ, აღარაფრის მეშინია!**

**მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს: თუ საქმეს არ აღძრავთ, ის მაინც გაარკვიეთ, თვითონ მოიყვანს სისრულეში განაჩენს ქალბატონი თაკო თუ კილერების დაქირავებას აპირებს.**

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი და ირანი სირიაში მოკავშირეები არიან, მათ შორის, ისევე, როგორც აშშ-სა და ქურთებს შორის, არსებობს მთელი რიგი უთანხმოებები, როგორც ტაქტიკურ საკითხებში, ისე სირიის მომავალზე. ბაშარ ასადის ხელისუფლება სარგებლობს ამით და, სისუსტის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში ახერხებს, მისთვის სასურველი პოლიტიკა გაატაროს. ზავმა „ზომიერ ოპოზიციასთან“ ასადს შესაძლებლობა მისცა, დაეწყო შეტევა ალეპოს აღმოსავლეთით, გაეწმინდა ტერიტორია „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებისგან და გაეკონტროლებინა ნავთობსადენი, რომლის მეშვეობით შეუძლია ქურთებით დასახლებული რაიონებიდან მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნავთობი მიიღოს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვის აძლევს ხელს სირიის დაშლა?

**აქვს თუ არა მომავალი ერთიან სირიას? — პასუხი ამ კითხვაზე მნიშვნელოვანია „ცხელ“ თუ „გაყინულ“ კონფლიქტებში ჩართული ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, რადგან სირიის საკითხის გადაწყვეტა შექმნის პრეცედენტს, რომლითაც საერთაშორისო საზოგადოება შემდგომ წლებში იხელმძღვანელებს.**



25 ივნისს „ნეშნლ ინტრესტ“-ში გამოქვეყნდა ავსტრალიელი მკვლევარის — **დენის დრაგოვიჩისა** და ბრიტანელი პოლკოვნიკის — **რიჩარდ აირონის** (ამაჟამად ოქსფორდის სტრატეგიული კვლევების ჯგუფში მოღვაწეობს) ვრცელი წერილი სათაურით **„დადგა დრო, დავემშვიდობოთ სირიას“**. ისინი ამტკიცებენ, რომ მშვიდობისა და რეგიონის სტაბილიზაციის ყველაზე მოკლე გზა ერთიანი სირიული სახელმწიფოს დაშლაზე გადის. ეს მოსაზრება დასავლეთში ბოლო დროს სულ უფრო პოპულარული ხდება.

წერილის ავტორები სამართლიანად მიუთითებენ იმაზე, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხება არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც პანაცეა. „თავის დროზე, — წერენ დრაგოვიჩი და აირონი, — ამერიკელებმა კონცენტრირება მოახდინეს სადამ ჰუსეინის დამხობაზე, მაგრამ ძალიან ცუდად დაგეგმეს ის, რაც უნდა გაეკეთებინათ ამის შემდეგ“ (იგივე შეიძლება ითქვას ავღანეთსა და თალიბებზე). ისინი წერენ, რომ გაეროს სამშვიდობო გეგმა, რომელიც სამ ძირითად პოსტულატს ეფუძნება — გარდამავალი მთავრობის შექმნას, ახალი კონსტიტუციის მიღებასა და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას, რეალიზებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მძლავრი უცხო სახელმწიფოები ზეწოლას მოახდენენ დაპირისპირებულ მხარეებზე და მშვიდობისმყოფელების როლს შეასრულებენ. ეს კი შეუძლებელია, ვინაიდან აშშ-ს, რუსეთსა და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებს ერთიანი პოზიცია არ გააჩნიათ. ავტორები ვარაუდობენ, რომ სამშვიდობო ოპერაცია სირიაში მინიმუმ 150 ათასი უცხოელი მშვიდობისმყოფელის შეყვანას მოითხოვს, რომელთაც ადგილობრივი, დაახლოებით 300-ათასიანი (ნოლიდან შესაქმნელი) უსაფრთხოების ძალები უნდა შეურთდნენ.

**დრაგოვიჩი და აირონი წერენ, რომ უნიტარულმა სახელმწიფომ, ბევრი ეთნიკური და კონფესიური ჯგუფის თვალში ლეგიტიმურობა დაკარგა და მისი ერთიანობა არაფერში აინტერესებთ — ქურთებს დამოუკიდებლობა სურთ, სუნიტები და ალავიტები ერთმანეთს ისეთი გააფთრებით ხოცავენ, ძნელი წარმოსადგენია, შეხების წერტილები იპოვონ და ა.შ. ავტორები მიუთითებენ, რომ საუკეთესო გამოსავალი ამ შემთხვევაში ბოსნიის მოდელის გამოყენებაა, ერთიანი სახელმწიფოს მხოლოდ ფორმალური შენარჩუნებით, ან, სულაც, მისი დაშლის დაშვებით, ვინაიდან ქვეყნის დაყოფა ავტონომიურ რაიონებად არა მხოლოდ შეუწყობს ხელს ომის შეჩერებას, არამედ ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებს მასში ჩართული უცხო სახელმწიფოების ამბიციებს.**

აქ, ალბათ, მიზანშეწონილია იმის გახსენება, რომ 20-იან წლებში, როდესაც სირიასა და ლიბანს საფრანგეთი აკონტროლებდა, ფრანგი ადმინისტრატორები ეძებდნენ მოდელს, რომელიც დიდი, ეთნიკურად და კონფესიურად ჭრელი ტერიტორიის მართვაში დაეხმარებოდა. 1920 წელს გენერალმა **ანრი გურომ** ექვსი ავტონომიური რაიონი შექმნა — დამასკის სახელმწიფო, ალეპოს სახელმწიფო, ალავიტების სახელმწიფო, დრუზების სახელმწიფო, დიდი ლიბანი (მომავალი ლიბანის რესპუბლიკა) და ალექსანდრეტას სანჯაყი (იგივე ჰატაი, რომელიც 1939-ში თურქეთის შემადგენლობაში შევიდა). ექსპერიმენტები შემდგომ წლებშიც გაგრძელდა — ფრანგული ადმინისტრაცია ამ ოლქებს ფედერაციაში აერთიანებდა, ზოგიერთს ისევ გამოყოფდა, ერთიანი რესპუბლიკის შემადგენლობაში შეჰყავდა და ა.შ. ფრანგები, მათი სახელმწიფოებრივი ტრადიციების საპირისპიროდ, არ ცდილობდნენ, მკაცრი უნიტარიზმის იდეებით ეხელმძღვანელათ. განსხვავებულ რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის მათ მიერ გავლებული საზღვრების ნაწილი ბოლო წლებში ისევ აქტუალური გახდა.

**დრაგოვიჩი და აირონი მიიჩნევენ, რომ დღეს შეუძლებელია კონსენსუსის მიღწევა ძველი უნიტარული მოდელის ფარგლებში, ამიტომ სირია ავტონომიური რაიონების ერთობლიობად უნდა გადაიქცეს. მათი აზრით, მხოლოდ ამ პირობებში მოხერხდება მშვიდობის შენარჩუნება და გარე მოთამაშეების თუნდაც ნაწილობრივი დაკმაყოფილება. თუ მსგავსი რამ მართლაც მოხდება, ეს იქნება მეორე პრეცედენტი, ბოსნია-ჰერცოგოვინის შემდეგ, როდესაც კონფლიქტის გადაწყვეტის საუკეთესო გზად ჩათვლიან ეთნიკურ და კონფესიურ დაყოფას სახელმწიფოს ერთიანობის მხოლოდ ფორმალური შენარჩუნებით, ეს კი საქართველოსთვის კარგი ნამდვილად არ არის**



**რა მოხდება სირიაში, თუ, „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხების შემდეგ უცხო სახელმწიფოები „ბოსნიურ ვარიანტზე“ და გავლენის ზონების გაყოფაზე შეთანხმდებიან?**

თურქეთი აკონტროლებს შედარებით მცირე, ეთნიკურად მონათესავე ჯგუფებით დასახლებულ ტერიტორიას სირიის ჩრდილოეთში. ის ერთმანეთისგან ჰყოფს ქურთების მიერ დაკავებულ რაიონებს. ერთ-ერთი მათგანი, შედარებით მცირე აფრინის რაიონი, რომელიც დასავლეთით მდებარეობს, შეიძლება თურქების შემდეგი სამიზნე გახდეს. ეს, ერთი მხრივ, განამტკიცებს მათ კონტროლს სირია-თურქეთის საზღვარზე და, მეორე მხრივ, შესაძლებლობას მისცემს, გამოიყენონ იდლიბის პროვინციასთან დამაკავშირებელი ტრასა, რომელსაც ბაშარ ასადის მოწინააღმდეგეთა რაზმები აკონტროლებენ. ამ ეტაპზე თურქები ცდილობენ, მიიღონ პრეზიდენტ ასადისა და მისი მოკავშირეების თანხმობა ერთობლივ მოქმედებაზე აფრინის ანკლავის წინააღმდეგ და მის ფაქტობრივ გაყოფაზე.

აშშ აკონტროლებს სირიის ქურთისტანს ჩრდილოეთში და, როგორც ჩანს, იქ ისეთივე ავტონომიური, ფაქტობრივად კი დამოუკიდებელი, სახელმწიფო წარმონაქმნის დაფუძნებას აპირებს, როგორიც თავის დროზე ერაყის ქურთისტანში შექმნა. „ამერიკულ ზონაში“, აგრეთვე, შედის რაიონი სირია-იორდანიის საზღვრის სიახლოვეს, რომელსაც დაჯგუფება „სირიის ახალი არმია“ იკავებს. ამ ეტაპზე ამერიკელები და მათი ქურთი მოკავშირეები ცდილობენ, გააგრძელონ წინსვლა სამხრეთით და სირია-ერაყის საზღვრის ზონა გააკონტროლონ, რადგან ეს, სხვა ყველაფერთად ერთად, შესაძლებლობას მისცემს, კონფლიქტის კიდევ ერთი მონაწილის, ირანის, პოზიციები შეასუსტოს.

ირანი დომინირებს ზონაში დამასკის აღმოსავლეთით, მას სირიაში საკმაოდ ძლიერი დაჯგუფება ჰყავს, მაგრამ მისი მთავარი პრობლემა კომუნიკაციებია. ერაყსა და სირიას ორი ტრასა აკავშირებს, ერთ-ერთს ჩრდილოეთით ამერიკელები აკონტროლებენ, მეორე — „ისლამური სახელმწიფო“ და დღეს ირანელები ცდილობენ, ის ამერიკელებზე ადრე დაიკავონ.

რუსეთი აკონტროლებს ზონას ლატაკიის გარშემო, რომელიც თითქმის სრულად ემთხვევა ფრანგების მიერ დაფუძნებული „ალავიტების სახელმწიფოს“ ტერიტორიას, აგრეთვე, პლაცდარმს პალმირასთან, რომელიც შესაძლებლობას აძლევს, გავლენა მოახდინოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სირიაში განვითარებულ პროცესებზე.

აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი და ირანი სირიაში მოკავშირეები არიან, მათ შორის, ისევე, როგორც აშშ-სა და ქურთებს შორის, არსებობს მთელი რიგი უთანხმოებები, როგორც ტაქტიკურ საკითხებზე, ისე სირიის მომავალზე. ბაშარ ასადის ხელისუფლება სარგებლობს ამით და, სისუსტის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში ახერხებს, მისთვის სასურველი პოლიტიკა გაატაროს. ზავმა „ზომიერ ოპოზიციასთან“ ასადს შესაძლებლობა მისცა, დაეწყო შეტევა ალეპოს აღმოსავლეთით, გაეწმინდა ტერიტორია „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებისგან და გაეკონტროლებინა ნავთობსადენი, რომლის მეშვეობით შეუძლია ქურთებით დასახლებული რაიონებიდან მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნავთობი მიიღოს (თუ ამერიკელები ქურთებს ამ შეთანხმების დადების შესაძლებლობას მისცემენ, რაც ჯერჯერობით სათუოა).

**დღეს „ისლამური სახელმწიფო“, გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, თანდათან კარგავს ტერიტორიებს ერაყსა და სირიაში და, დიდი ალბათობით, მალე პარტიზანულ მოქმედებაზე გადავა.** ამის შემდეგ ასადი, მისი მოწინააღმდეგე მეამბოხეები და ქურთები, აგრეთვე, ამ ძალების უცხოელი მოკავშირეები, ერთმანეთის პირისპირ დარჩებიან. კონფლიქტის ალბათობა ყველაზე დიდია სამხრეთ-აღმოსავლეთში, სადაც აშშ-ის (ამასთანავე, ისრაელის) და მეორე მხრივ, ირანისა და ასადის ხელისუფლების ინტერესები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში შედის. იქ მდებარეობს არა მხოლოდ ირანისთვის მნიშვნელოვანი ტრასა, არამედ ნავთობის საბადოები; მარაგი კოლოსალური ნამდვილად არაა, თუმცა ასადის ხელისუფლებისათვის ის უაღრესად მნიშვნელოვანია. **მეორე პოტენციური კონფლიქტის ზონა სირიის ქურთისტანია; ქურთები შიშობენ, რომ თურქები და ასადი მათ წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდებიან. გამორიცხული არაა, დეტონატორის როლი სირიის ჩრდილოეთისთვის შეასრულონ მოვლენებმა ერაყის ქურთისტანში, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებას გეგმავს.**

დღეს სირიაში ხდება ბევრი ისეთი რამ, რის პროგნოზირებაც შეუძლებელია. მაგალითად, გასულ კვირას იდლიბის პროვინციაში რადიკალურმა დაჯგუფება „ტაჰრირ აშ-შამმა“ „შიდაოპოზიციური ომი“ წამოიწყო. მისი მოწინააღმდეგეა „აჰრარ აშ-შამი“ — ექსპერტები, რომ არ შეეშალოთ, „ტაჰრირელებს“ „შავებს“ უწოდებენ, „აჰრარელებს“ კი — „მწვანეებს“. პირველნი ორიენტირებულნი არიან ასტანის შეთანხმების ტორპედირებაზე და ასადის ჯარებთან საბრძოლო მოქმედებების განახლებაზე. მათ დაიკავეს ქალაქი იდლიბი, ცდილობენ, გაჭრან დერეფანი ჩრდილოეთით, თურქეთის საზღვრამდე და ანკარას თანამშრომლობას სთავაზობენ.

**დრაგოვიჩი და აირონი მიიჩნევენ, რომ დღეს შეუძლებელია კონსენსუსის მიღწევა ძველი უნიტარული მოდელის ფარგლებში, ამიტომ სირია ავტონომიური რაიონების ერთობლიობად უნდა გადაიქცეს. მათი აზრით, მხოლოდ ამ პირობებში მოხერხდება მშვიდობის შენარჩუნება და გარე მოთამაშეების თუნდაც ნაწილობრივი დაკმაყოფილება. თუ მსგავსი რამ მართლაც მოხდება, ეს იქნება მეორე პრეცედენტი, ბოსნია-ჰერცოგოვინის შემდეგ, როდესაც კონფლიქტის გადაწყვეტის საუკეთესო გზად ჩათვლიან ეთნიკურ და კონფესიურ დაყოფას სახელმწიფოს ერთიანობის მხოლოდ ფორმალური შენარჩუნებით, ეს კი საქართველოსთვის კარგი ნამდვილად არ არის.**

დრაგოვიჩი და აირონი პრაგმატიზმის მიმართ აპელირებენ და ირწმუნებიან, რომ ნებისმიერი სხვა ვარიანტი გაცილებით დიდ მსხვერპლსა და ხარჯს დაუკავშირდება. მსგავს იდეებს დასავლეთში საკმაოდ ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ზოგიერთი გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ადგილი აქვს მიზანმიმართულ პროპაგანდისტულ კამპანიას, რომლის მიზანია, დაარწმუნოს ყველა დაინტერესებული მხარე, რომ სირიის ფაქტობრივი დანაწევრება საუკეთესო ვარიანტია, მაგრამ სანამ ეს მოხდება, უნდა დასრულდეს საბრძოლო მოქმედებები „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, კონფლიქტის ახალი სტადია ან ნაკლებად სავარაუდო სამშვიდობო პროცესი მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება.

**ლუკა ნემსაძე**

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინაში, რომელიც სავსეა ასეთი ლაბორატორიებითა და სადგურებით, „ვერ მიაკვლიეს“ ქვეყანაში მოდებული უმძიმესი ეპიდემიების წარმოშობის წყაროს. პრესაში გაჟონა მხოლოდ იმ სკანდალმა, რომელიც დაკავშირებული იყო ხარკოვის მახლობლად ბიოლოგიური ლაბორატორიის მშენებლობასთან და ისიც ხალხის საპროტესტო გამოსვლების გამო, რომელთა დამალვაც ვერ მოახერხეს. სხვა ყველაფერი საიდუმლოების ბურუსითაა მოსილი, მიუხედავად იმისა, რომ აფრიკულმა შავმა ჭირმა არაერთხელ გაწყვიტა ღორი, ქათმის გრიპმა მოკლა ქათმის ხორცისა და კვერცხის ექსპორტი, ხოლო უკრაინის მოქალაქეების სიცოცხლე „უცნობ ვირუსებს“ ემსხვერპლა.**

# რისთვის სჭირდება პენტაგონს «ანაკონდას ბიოლოგიური მარყუჟი»?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №27 (404)

**ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მიერ დაარსებული ბიოლაბორატორიების შესახებ ორი მყარი მოსაზრება არსებობს.**

**პირველი:** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეერთებული შტატები (უწინარესად, პენტაგონი) შეშფოთებულია პათოგენების შენახვის პირობებით და არ გამორიცხავს ბიოლოგიურ თავდასხმას ამერიკაზე. გლობალურ ამერიკულ პროექტს მიზნად აქვს დასახული, მინიმუმამდე შეამციროს ეს მუქარა. ამიტომაც ახარჯავენ ათობით და ასობით მილიონ დოლარს სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, საქართველოს, უზბეკეთის, მოლდოვისა და უკრაინის ლაბორატორიებს.

ამასთანავე, არავის სურს, ახსნას, როგორ შეძლებს, მაგალითად, სომხეთი ან უზბეკეთი ბიოლოგიური შეტევის განხორციელებას აშშ-ის წინააღმდეგ, ან რატომ არის ეს ლაბორატორიები განლაგებული მაინცდამაინც დიდი ქალაქების მეზობლად, რომლებიც მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვით არის გამორჩეული?! განა გაცილებით ლოგიკური არ იქნებოდა ასეთი ლაბორატორიების აშენება უდაბურ ადგილებში, თუკი არსებობს პათოგენების გაჟონვის მინიმალური საშიშროება?! ამას გარდა, ამერიკის სამხედრო უწყების მონაწილეობა პროექტში „თოვლის მუქარა“ სამართლიანად აჩენს ეჭვს, რომ რეფერენს-ლაბორატორიების საქმიანობას შეიძლება ორმაგი მიზანი ჰქონდეს.

სწორედ ეს არის **მეორე** მოსაზრება: **პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში ამერიკული ბიოლოგიური პროგრამების არსებობა არის ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის დამუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მათი განადგურების 1972 წლის კონვენციისთვის გვერდის ავლის საშუალება.**

„პენტაგონს ამჟამად გაშლილი აქვს რეფრენს-ლაბორატორიების შექმნის დიდი პროგრამა“, — ამბობს სამხედრო ექსპერტი, გაეროს გენერალური მდივნის ყოფილი მრჩეველი ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის საკითხებში — **იგორ ნიკულინი.**

უზბეკეთში პირველი რეფრენს-ლაბორატორია გაიხსნა ტაშკენტში 2007 წელს; 2011 წელს — კიდევ ორი ანდიჟანსა და ფერგანაში; 2016 წელს — ურგენჩში (ხორეზმის რეგიონული დიაგნოსტიკური ლაბორატორია). ყველა შეიქმნა ომის საშიშროების შემცირების სააგენტოს სახსრებით, რომელიც აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფია. ლაბორატორიების ქსელი უზბეკეთში გაცილებით ფართოა, ბიოლაბორატორიები არის ბუხარასა და სურხანდარიაში, ყარაკალპაკეთში, სამარყანდისა და ტაშკენტის ოლქებში. მაგრამ მათ შესახებ ცოტა რამაა ცნობილი, მათი საქმიანობა საზოგადოებისთვის დაფარულია.

2011 წლის აგვისტოში ტაშკენტის ოლქში მოულოდნელად იფეთქა უცნობმა დაავადებამ, რომელიც სიმპტომატურად ძალიან ჰგავდა ქოლერას. ექიმები სიტუაციის შეფასებას თავს არიდებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ 31 აგვისტოს დღე-ღამის განმავლობაში პატარა ქალაქ იანგიულის საავადმყოფოში 70 დაავადებული მოხვდა. „ზოგიერთი პაციენტი ისე მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ წნევის მკვეთრი ვარდნის გამო სუნთქვა არ შეეძლო. ექიმები ყველაფერს აკეთებდნენ, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ და რაც იცოდნენ, ამ ურთულესი მდგომარეობიდან მათ გამოსაყვანად“, — ყვებოდნენ მედიკოსები ანონიმად დარჩენის პირობით. ამ ლოკალური ეპიდემიის შესახებ ინფორმაციის გაცემა მკვეთრად იყო შეზღუდული.

**2012 წელს** უზბეკეთს ახალი დაავადება მოედო, რომელმაც ერთდროულად 10 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მაშინ უზბეკეთის მეთაურის ქალიშვილი **გულნარა ქარიმოვა** მედიცინის მალალმოხელეებს უმოქმედობის გამო საყვედურობდა — ისინი პრაქტიკულად არ ეძებდნენ უცნობი დაავადების წარმომშობ მიზეზებს, ვირუსებს, რომლებმაც ადამიანები იმსხვერპლეს.

**2017 წელს** ტაშკენტში დაიწყო „სუვ-ჩეჩაკის“ (ყვავილის) ეპიდემია, მაგრამ საავადმყოფოებში ექიმები სხვა დიაგნოზს მიუთითებდნენ — „ალერგიული დერმატიტი“, რათა დაემალათ იმ დაავადების გავრცელება, რომელიც ბავშვებსაც და მოზრდილებსაც ერთნაირად აყენებდა ზიანს.

ინფექციური დაავადებების რეალური სტატისტიკა უზბეკეთში არ არსებობს, საშიში უცნობი დაავადებების აფეთქებები ქაღალდზე დატანილია, როგორც „ცალკეული შემთხვევები“, რაც, სულ ცოტა, უცნაურია „ომის საშიშროების შემცირების“ პროექტის აქტიური განხორციელების პირობებში და, უწინარეს ყოვლისა, „ბიოლოგიური საშიშროების აღკვეთას“ უნდა ემსახურებოდეს. მაშინ, როცა ქვეყანაში არსებობს რეფრენს-ლაბორატორიების ფართო ქსელი, ადამიანები „უცნობი“ პათოგენებით ინფიცირდებიან.

2005 წლის სექტემბერში ამერიკულ გაზეთში „ჩიკაგო ტრიბიუნი“ გამოქვეყნდა სტატია — „აშშ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან იღებს პათოგენურ ორგანიზმებს“. ავტორი წერდა, რომ სასიკვდილოდ საშიში ბაქტერიების 60-ზე მეტი სახეობაა, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ბიოლოგიური იარაღის მასშტაბური პროგრამის ნარჩენებია. ისინი აზერბაიჯანიდან აშშ-ში გადაიტანეს. „ეს იყო ორი ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯი ბიოლოგიური ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საქმეში. ბაქტერიების ნიმუშები, მათ შორის, შავი ჭირისა და ციმბირის წყლულის გამომწვევი სახეობები, საიდუმლო მისიის ჩარჩოებში განხორციელებული ოპერაციით ბაქოდან აშშ-ში სამხედრო თვითმფრინავით ჩამოიტანეს“, — იუწყებოდა „ჩიკაგო ტრიბუნი“.



**ბიოლოგიური დასნებოვნების წყაროს დადგენის სირთულეს თუ გავითვალისწინებთ, ყოველთვის შეიძლება ეპიდემია დავაბრალოთ მიმომფრენ ფრინველებს, გარეულ ცხოველებს, მწერებს ან გაბინძურებულ წყალს. ხოლო ხელისუფლებაში სხვა ძალების მოსვლის შემთხვევაში (გავიხსენოთ შეიარაღებული გადატრიალება უკრაინაში 2014 წელს და სიტუაციის შერყევის მცდელობა სომხეთსა და ყაზახეთში), შეიძლება გამოგვადგეს კიდეც ამოქმედებული ბიოქსელების ორმაგი დანიშნულება. ამერიკელები, რომლებიც დღეს გულუხვად აფინანსებენ ბიოლაბორატორიებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ხვალინდელ დღეზეც ფიქრობენ, ზეგისაზეც**

სინამდვილეში **აზერბაიჯანმა აშშ-ს არა 60, არამედ შავი ჭირის, ციმბირის წყლულის, ქოლერისა და სხვა საშიში დაავადების 62 უნიკალური სახეობის 124 ნიმუში გადასცა. ყველა აშშ-ის შეიარაღებული ძალების პათოლოგიის ინსტიტუტში (ვაშინგტონში) შეიტანეს. აზერბაიჯანი ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ არის: ცნობილია, რომ თავიანთი ბიოლოგიური კოლექციები შეერთებულ შტატებს გადასცეს სსრ კავშირის სხვა ყოფილმა რესპუბლიკებმაც, კერძოდ, უკრაინამ და საქართველომ.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანმა მემკვიდრეობით მიიღო „შავი ჭირის“ ქსელის ობიექტები, რომლებიც შედგებოდა 6 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისგან, 29 რეგიონული და 53 საველე ლაბორატორიისგან. აქ მუშაობდნენ არა მარტო შავი ჭირის, არამედ — ციმბირის წყლულის, ბრუცელოზის, ტულარემიისა და პათოგენების პრობლემატიკაზე. უპატრონოდ და უყურადღებოდ მიტოვებული ამ სტრუქტურით აშშ-ში ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაინტერესდნენ. 2005 წელს თავდაცვის სამინისტრომ, აზერბაიჯანთან ერთად, ხელი მოაწერა ბევრისმთქმელ შეთანხმებას „ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიებისა და პათოგენების სფეროში თანამშრომლობისა და ამ სფეროში ინფორმაციის გაუვრცელობის შესახებ“. და გაჩაღდა მუშაობა „ბიოლოგიური საშიშროების შემცირების მიმართულებით.

ცენტრალური რეფრენს-ლაბორატორიის მშენებლობა ბაქოში 2013 წელს დასრულდა. ეს სამეცნიერო დაწესებულება ადამიანისა და ცხოველური წარმოშობის ნიმუშებში პათოგენური მიკროორგანიზმების კვლევით არის დაკავებული. ფული (დაახლოებით 170 მილიონი დოლარი) აზერბაიჯანის ბიოლაბორატორიების გასაახლებლად, რა თქმა უნდა, აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ გაიღო.

იმავე წყაროს ფულით 2012 წელს მწყობრში ჩადგა აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ბიოლაბორატორია. ამას გარდა, აშენდა და განახლდა ბიოლოგიური მონიტორინგის 10 სადგური აზერბაიჯანის სხვადასხვა რაიონში. ეს ყველაფერი განხორციელდა პენტაგონის პროგრამის „ერთობლივი ბიოლოგიური მონაწილეობის“ ჩარჩოებში.

ეს კი ნიშნავს, რომ **აზერბაიჯანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო ქმნის და ავითარებს ქსელს, რომელიც გათვალისწინებულია პათოგენების კვლევისა და ბიომონიტორინგისთვის. თუ საბჭოთა პერიოდში ასეთი ქსელის არსებობა ერთ-ერთ საბჭოთა რესპუბლიკაში ლოგიკური იყო, ამჟამად ამერიკული ბიოკომპლექსის მიერ აშშ-ის საზღვრებს მიღმა შექმნილი ქსელის მიზნების ახსნა მხოლოდ პათოგენების შენახვაზე ზრუნვით (საამისოდ საცავებიც საკმარისი იყო) ან ქველმოქმედებით, რომლითაც აშშ არასოდეს გამოირჩეოდა, ყოვლად შეუძლებელია.**

ასეთ ბიოლოგიურ ქსელებს აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო აშენებს არა მხოლოდ აზერბაიჯანში, არამედ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. სქემა ერთი და იგივეა: ცენტრალური რეფრენს-ლაბორატორიების პარალელურად იქმნება ბიოლოგიური მონიტორინგის საველე სადგურები. ამ ინფორმაციას საზოგადოებრიობას არ უმჟღავნებენ. მაგალითად, **უკრაინაში, რომელიც სავსეა ასეთი ლაბორატორიებითა და სადგურებით, „ვერ მიაკვლიეს“ ქვეყანაში მოდებული უმძიმესი ეპიდემიების წარმოშობის წყაროს. პრესაში გაჟონა მხოლოდ იმ სკანდალმა, რომელიც დაკავშირებული იყო ხარკოვის მახლობლად ბიოლოგიური ლაბორატორიის მშენებლობასთან და ისიც ხალხის საპროტესტო გამოსვლების გამო, რომელთა დამალვაც ვერ მოახერხეს. სხვა ყველაფერი საიდუმლოების ბურუსითაა მოსილი, მიუხედავად იმისა, რომ აფრიკულმა შავმა ჭირმა არაერთხელ გაწყვიტა ღორი, ქათმის გრიპმა მოკლა ქათმის ხორცისა და კვერცხის ექსპორტი, ხოლო უკრაინის მოქალაქეების სიცოცხლე „უცნობ ვირუსებს“ ემსხვერპლა.** არადა, ქვეყანაში მოქმედებს 15-მდე რეფრენს-ლაბორატორია და ბიოსადგურების მონიტორინგის ქსელი. როგორ შეიძლება ავხსნათ, რომ აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო, რომელმაც ქვეყანა საშიშროების შესამცირებელი ბიოლოგიური ობიექტების ქსელში გაახვია, თავისი სისუსტის დემონსტრაციას ახდენს „უცნობი“ ვირუსებისა და ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში?!

ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, როცა გავიაზრებთ, რომ ეს ქსელი ორმაგი დანიშნულებისაა.

ძნელია იმის წარმოდგენა, რომ დსთ-ს წევრ ქვეყნებში არსებობს ლაბორატორიები, რომლებიც ბიოლოგიური იარაღის შექმნას ემსახურება, მაგრამ ფაქტია, რომ აშშ ამ საკითხში განსაკუთრებული დაჟინებით არ გამოირჩევა. რომელიღაც ეტაპზე სავსებით საკმარისია პათოგენების გავლენის შესწავლა ბიოფონდზე, ხოლო საჭირო თვისებების მქონე ვირუსებისა და ბაქტერიების შექმნა სხვა ადგილზეც შეიძლება. მთავარია, გქონდეს მონაცემები. ბიოლოგიური დასნებოვნების წყაროს დადგენის სირთულეს თუ გავითვალისწინებთ, ყოველთვის შეიძლება ეპიდემია დავაბრალოთ მიმომფრენ ფრინველებს, გარეულ ცხოველებს, მწერებს ან გაბინძურებულ წყალს. ხოლო ხელისუფლებაში სხვა ძალების მოსვლის შემთხვევაში (გავიხსენოთ შეიარაღებული გადატრიალება უკრაინაში 2014 წელს და სიტუაციის შერყევის მცდელობა სომხეთსა და ყაზახეთში), შეიძლება გამოგვადგეს კიდეც ამოქმედებული ბიოქსელების ორმაგი დანიშნულება.

ამერიკელები, რომლებიც დღეს გულუხვად აფინანსებენ ბიოლაბორატორიებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ხვალინდელ დღეზეც ფიქრობენ, ზეგისაზეც.

**გაგრძელება იქნება**

ძლიერი სახელმწიფო არის ის, რომელიც დამოკიდებული არ არის მმართველის პიროვნებაზე, როგორი გონიერი, პატიოსანი და პოპულარულიც უნდა იყოს ის. ძლიერია სახელმწიფო, რომლის სახელისუფლო შტოები რეალურად არის გაყოფილი და თავს არავინ წარმოიდგენს უზენაეს მოსამართლედ. ასეთი ქვეყნებიდან არც მოქმედ და არც ყოფილ პრეზიდენტს არ უწევს ყვარყვარე თუთაბერივით კაბაგადაცმული გაქცევა ან შუაღამისას — ნავით, როგორც ეს ახლახან გააკეთა არაღიარებული დნესტრისპირეთის ყოფილმა მეთაურმა ევგენი შევჩუკმა, როდესაც მას პარლამენტმა ხელშეუხებლობის იმუნიტეტი გაუუქმა.

პრეზიდენტობიდან დევნილობამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაქცეული პრეზიდენტები

**პრეზიდენტი თავისი ხალხის ნდობით აღჭურვილი პირი და ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის გარანტორია. თუმცა, როდესაც ლაპარაკობენ ამა თუ იმ ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილურობაზე, უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ამ ქვეყნის პირველი პირის რეიტინგი, არამედ, უწინარესად, ის, შესაძლებელია თუ არა ამ ქვეყანაში ხელისუფლების მშვიდი ცვლილება. ქვეყნებში, სადაც დიქტატორები სხვა დიქტატორებმა შეცვალეს, მყისვე დაიწყო ყოფილი პირველი პირების ახლობელთა რეპრესიები. მყარი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ქვეყნებში კი ხელისუფლებიდან პრეზიდენტის ჩამოცილება არ იწვევს კრიზისს სახელმწიფოში.**



ჟან-ბედელ ბოკასა



ჟან-კლოდ დუვალიე

მაგალითად, შვეიცარიაში პრეზიდენტი, კანონით, ყოველ წელს იცვლება და შვეიცარიელების უმრავლესობამ, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, არც კი იცის, ვინ არის სახელმწიფოს პირველი პირი, მაგრამ ეს მათი ცხოვრების დონეზე არ აისახება.

ძლიერი სახელმწიფო არის ის, რომელიც დამოკიდებული არ არის მმართველის პიროვნებაზე, როგორი გონიერი, პატიოსანი და პოპულარულიც უნდა იყოს ის. ძლიერია სახელმწიფო, რომლის სახელისუფლო შტოები რეალურად არის გაყოფილი და თავს არავინ წარმოიდგენს უზენაეს მოსამართლედ. ასეთი ქვეყნებიდან არც მოქმედ და არც ყოფილ პრეზიდენტს არ უწევს ყვარყვარე თუთაბერივით კაბაგადაცმული გაქცევა ან შუაღამისას — ნავით, როგორც ეს ახლახან გააკეთა არაღიარებული დნესტრისპირეთის ყოფილმა მეთაურმა **ევგენი შევჩუკმა**, როდესაც მას პარლამენტმა ხელშეუხებლობის იმუნიტეტი გაუუქმა.

საქართველოს პირველ პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** კი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, უცხო ძალების მიერ დაფინანსებულმა და შეიარაღებულმა ე.წ. ოპოზიციამ 1991 წლის დეკემბერში სამხედრო გადატრიალება მოუწყო და აიძულა, ქვეყნიდან გაქცეულიყო და თავი გროზნოსთვის (ჩეჩნეთი, რუსეთი) შეეფარებინა. მოგვიანებით ის დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ 1993 წელს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა სოფელ ხიბულაში (ხობის რაიონი)...

გთავაზობთ ჩამონათვალს პრეზიდენტებისა, რომლებიც თავიანთი ქვეყნებიდან გაიქცნენ. ხშირად პროცესები (რევოლუციები), რომლებმაც აიძულა ისინი, ქვეყანა დაეტოვებინათ, უცხო ძალების, კერძოდ, „დემოკრატიული“ დასავლეთის მიერ იყო ინსპირირებული, ზოგიერთი სწორედ ამ „დემოკრატიული“ დასავლეთის ძალისხმევით ინარჩუნებდა ქვეყნის პირველი პირის პოსტს, მაგრამ ხალხის მრისხანების გამო მიატოვეს ქვეყანა:

### ფულხენსიო ბატისტა (კუბა) — 01.01.1959 წ.

ბატისტა 1940 წლიდან მართავდა კუბას. ხალხს არ უყვარდა და ძალაუფლება სახელ-



მწიფო გადატრიალების გზით მოიპოვა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში ოპოზიციონერებს დაუნდობლად უსწორდებოდნენ — გავრცელებული იყო შეკვეთილი მკვლელობები, ხელისუფლებისთვის არასასურველი პირები უგზო-უკვლოდ უჩინარდებოდნენ და ა.შ. როდესაც რევოლუციონერები **ფიდელ კასტროსა** და **ერნესტო ჩე გევარას** ხელმძღვანელობით კუბის დედაქალაქ ჰავანაში შევიდნენ, ბატისტამ ქვეყნის ოქროს მარაგის დიდი ნაწილი გაიტაცა და დომინიკის რესპუბლიკაში გაიქცა, იქიდან კი — პორტუგალიაში.

გარდაიცვალა 1973 წელს ესპანეთში.



### მოჰამედ რუზა ფეჰლევი (ირანი) — 11.02.1979 წ.

ირანის 35-ე და უკანასკნელი შაჰი ქვეყანას 1941-1979 წლებში მართავდა. 1979 წელს ისლამური რევოლუციის შედეგად შაჰის ავტორიტარული რეჟიმი დაემხო და ის ეგვიპტეში გაიქცა. შემდეგ ცხოვრობდა მაროკოში, ბაჰამის კუნძულებზე, მექსიკაში, აშშ-ში, პანამაში, ბოლოს — კვლავ ეგვიპტეში, სადაც 1980 წელს გარდაიცვალა.

**ბოკასას კანიბალიზმშიც კი ადანაშაულებდნენ. 1979 წელს მოსწავლეების დახვრეტის შემდეგ დაკარგა დასავლეთის მხარდაჭერა (ცნობილია, რომ ბოკასა ლოიალურობას საჩუქრებით ყიდულობდა. მან ბრილიანტებით დაასაჩუქრა საფრანგეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი, აგრეთვე, აშშ-ის 56-ე სახელმწიფო მდივანი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჰენრი კისინჯერი) და იძულებული შეიქნა, ქვეყნიდან გაქცეულიყო**

### ჟან-ბედელ ბოკასა (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა) — 20.09.1979 წ.

ბოკასას (ცნობილია, აგრეთვე, როგორც სალაჰ ედ-დინ ახმედ ბოკასა, ან იმპერატორი ბოკასა I). XX საუკუნის ყველაზე ექსცენტრიკულ და არანორმალურ მმართველად მოიხსენიებენ. ბოკასას ზღაპრული ფუფუნების (მაგალითად, 2000 ბრილიანტით მორთული ოქროს გვირგვინი) ფონზე კონტრასტულად ჩანდა ცენტრალური აფრიკის მოსახლეობის უკიდურესი სიღატაკე. მისი პრეზიდენტობისა (1966-1976) და იმპერატორობის (1976-1979) პერიოდებში სხვაგვარად მოაზროვნეთა დაპატიმრება და წამება ჩვეულებრივი საქმე იყო. ბოკასას კანიბალიზმშიც კი ადანაშაულებდნენ. 1979 წელს მოსწავლეების დახვრეტის შემდეგ დაკარგა დასავლეთის მხარდაჭერა (ცნობილია, რომ ბოკასა ლოიალურობას საჩუქრებით ყიდულობდა. მან ბრილიანტებით დაასაჩუქრა საფრანგეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი **ვალერი ჟისკარ დ'ესტენი**, აგრეთვე, აშშ-ის 56-ე სახელმწიფო მდივანი, ნობელის პრემიის ლაურეატი **ჰენრი კისინჯერი**) და იძულებული შეიქნა, ქვეყნიდან გაქცეულიყო.

ბოკასა ცხოვრობდა საფრანგეთში, შემდეგ კი მოულოდნელად დაბრუნდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, რათა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა, მაგრამ გაასამართლეს და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, თუმცა შეიწყალეს და სამუდამო პატიმრობა აკმარეს. მოგვიანებით კი ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდა. გარდაიცვალა 1996 წლის 3 ნოემბერს.



### ფერდინანდ მარკოსი (ფილიპინები) — 07.02.1986 წ.

მარკოსის პრეზიდენტობის პერიოდში (1965-1986) ფილიპინებზე გამეფებული იყო პიროვნების კულტი და ნეპოტიზმი. 1972 წელს კი მარკოსმა კონსტიტუცია გააუქმა და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ყველა პოლიტიკური ოპონენტი ციხეში ჩასვა.

1986 წლის არჩევნების მორიგ გაყალბებას შედეგად სამხედრო გადატრიალება მოჰყვა. მარკოსი გაიქცა აშშ-ში, სადაც გარდაიცვალა 1988 წელს.

### ჟან-კლოდ დუვალიე (ჰაიტი) — 07.02.1986 წ.

ბები დოკ — ეს არის მეტსახელი ჰაიტის მუდმივი პრეზიდენტისა, რომელმაც ეს პოსტი მამისგან მემკვიდრეობით მიიღო.

1986 წელს ქვეყანაში დაიწყო მასობრივი საპროტესტო გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ და, მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოსვლები სისხლში ჩაახშვეს, პრეზიდენტი ქვეყნიდან გაიქცა და თავი საფრანგეთს შეაფარა.

2011 წელს სამშობლოში დაბრუნდა და ჩადენილი დანაშაულები ხალხის წინაშე მოინანია, მაგრამ კორუფციაში ბრალდებით გაასამართლეს. გარდაიცვალა 2014 წლის 4 ოქტომბერს.



### ალბერტო ფუხიმორი (პერუ) — 13.11.2000 წ.

თანამედროვეობის ერთ-ერთი სასტიკი დიქტატორის სინდისზეა პერუში საკონცენტრაციო ბანაკებისა და „სიკვდილის ესკადრონების“ შექმნა. 2000 წელს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას გასაჯაროვდა დანაშაულები, რომლებშიც ფუხიმორი იყო გარეული. ყველაზე რეზონანსული იყო 200 ათასი მოქალაქის სტერილიზაცია. გაიქცა იაპონიაში, მაგრამ 2006 წელს პერუში დააბრუნეს და გაასამართლეს. მიუსაჯეს 7,5 წელი და დააკისრეს 15 მლნ დოლარის ჯარიმა, რომელიც გადაიხადა.

### ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი (ტუნისი) — 17.12. 2010 წ.

ე.წ. არაბული გაზაფხულის პირველი მსხვერპლია. მიუხედავად ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონისა, რომელსაც ბენ-ალის ძალისხმევით მიაღწია ქვეყანამ, ტუნისში გამეფებული იყო უმუშევრობა. 2010 წელს ტუნისელმა ხილით მოვაჭრემ თავი დაიწვა ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. დაიწყო მასობრივი გამოსვლები, ე.წ. ჟასმინების რევოლუცია. ბენ-ალი გაიქცა საუდის არაბეთში, გავრცელებული ინფორმაციით, გაიტაცა 1,5 ტ ოქრო.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. ამ სიას შეიძლება დაემატოს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი, რომელზეც საქართველოში ძებნაა გამოცხადებული, ახლახან კი უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვეს.**



ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი

ფაქტები და მოვლენები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲰᲔᲒᲔᲛᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘᲐ ᲓᲐ, ᲩᲐᲜᲡ, ᲛᲘᲔᲩᲕᲘᲐ ᲓᲐᲩᲐᲒᲕᲠᲐᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ. ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲙᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲐᲥᲕᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ. ᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ „ᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲐ“ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ „ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲤᲓᲐᲤᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲛᲐᲡ“.

# «ᲘᲡᲔᲗ ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲘ ᲡᲕᲘᲤᲢᲘ, ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲰᲧᲐᲕᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ»

**აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალის — სკოტ სვიფტის განცხადებამ, რომ, თუ პრეზიდენტი უბრძანებს, მზად არის, ჩინეთის წინააღმდეგ ატომური ბომბები გამოიყენოს, ჩინელი სამხედრო ანალიტიკოსების მწვავე რეაქცია გამოიწვია.**

პორტალ Sohu-ს ექსპერტებმა სვიფტის განცხადებას უგუნურება უწოდეს და აღნიშნეს: „ჩინეთი, მიუხედავად იმისა, რომ არ სურს კონფლიქტის გაჩაღება, მზად არის პოტენციური შეტაკებისთვის და ამის არ ეშინია“. ამერიკელი მილიტარისტების მიერ პროვოცირებული კონფლიქტი ორ ბირთვულ სახელმწიფოს შორის მსოფლიოსთვის სავალალო შედეგით დასრულდება.

„გამოხტა მორიგი უგუნური და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ მხოლოდ უგუნური ფრაზებია, უგუნური განზრახვა უკვე წარმოჩნდა“, — აი ასე შეაფასეს ჩინური პაორტალის — Sohu-ს სამხედრო ანალიტიკოსებმა ამერიკელი ადმირალის — სკოტ სვიფტის განცხადება.

აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტის მეთაურმა, ადმირალმა სკოტ სვიფტმა განაცხადა, რომ მზად არის, ატომური ბომბები გამოიყენოს ჩინეთის წინააღმდეგ, თუ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი უბრძანებს. სტატიის ავტორების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ადმირალის განცხადება თავისი მთავარსარდლისადმი ერთგულებაზე მიანიშნებს, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისეთი მაღალჩინოსნისთვის, როგორიც არის სვიფტი, ცნობილი უნდა იყოს, რომ ასეთ სიტყვებს შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს, რაც ადმირალისა და მისი მრავალრიცხოვანი თანამზრახველების გონიერებაში ეჭვის შეტანის საბაბს იძლევა.

„აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტის ხელმძღვანელის განცხადება გვაიძულებს, გავიხსენოთ იაპონიის მარშალ **ᲘᲐᲛᲐᲛᲝᲢᲝ ᲘᲡᲝᲠᲝᲙᲣᲡ** ისტორია. სწორედ მისი მოწოდებით დაესხა თავს იაპონია ამერიკულ პერლ-ჰარბორს. დიდების სწრაფად მოპოვების მცდელობის შედეგად იამამოტომ სირცხვილი ჭამა, იაპონიას კი ატომური დაბომბვის მეტი ვერაფერი მოუტანა. ჰიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედია ისეთი მილიტარისტების გამო მოხდა, როგორიც იყო იამამოტო, მაგრამ, როგორც ჩანს, სვიფტმა ისტორია დაივიწყა.

დღეს ამერიკა ჰეგემონის როლშია და, ჩანს, მიეჩვია დაჩაგვრას მარჯვნივ და მარცხნივ. ჩინეთი კი მშვიდად ვითარდება და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიოს ეკონომიკასა და სტაბილურობაში, მაგრამ ამ ეკონომიკურ აღმავლობას ზოგიერთი ამერიკელი განიხილავს, როგორც საფრთხეს. და მათთვის უბრალო „შეკავება“ საკმარისი აღარ არის, ამიტომ იწყებენ „ომის დაფდაფების ცემას“. ტრამპის ადმინისტრაციის ზოგიერთი ანალიტიკოსი, აგრეთვე, დაზვერვის წარმომადგენლები ცოტა ხნის წინათ ტყუილუბრალოდ არ ალაპარაკდნენ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ჩინეთისა და აშშ-ის დაპირისპირებაზე. ამ კონტექსტში სვიფტის განცხადება ძალიან ჰგავს მუქარას“, — აღნიშნავენ ჩინელი ანალიტიკოსები.



„მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთი ქედს არ მოიდრეკს ამერიკის წინაშე, თუნდაც ის კბილებამდე შეიარაღებული იყოს. აშშ-ის არმიას ისტორიულად ყოველთვის უჭირდა ჩინელებთან ომი და, თუ ეს არ იცის სვიფტმა, მაშინ წაიკითხოს გენერალ **ᲓᲣᲒᲚᲐᲡ ᲛᲐᲙᲐᲠᲢᲣᲠᲘᲡ** მემუარები ან გენერალ **ᲛᲔᲗᲘᲣ ᲠᲘᲯᲣᲔᲘᲡ** მოგონებები კორეის ომზე.

ამერიკამ უნდა შეიგნოს, რომ ჩინეთს არ სურს კონფლიქტის გაჩაღება, მაგრამ, ამასთანავე, არ ეშინია. და, თუ ოდესმე ომი დაიწყება, ჩინელი ჯარისკაცები მზად იქნებიან საბრძოლველად. სწორედ ამიტომ აშშ აუცილებლად უნდა დაფიქრდეს შესაძლო შედეგებზე, რომლებიც ასეთ კონფლიქტს მოჰყვება“.

სკოტ სვიფტის განცხადება მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ბრიტანელმა ექსპერტებმა შესაძლო შეტაკებას „მესამე მსოფლიო ომი“ უწოდეს, რომელიც დამღუპველი იქნება დედამიწისთვის.

„თუკი სვიფტს სურს ბირთვული ბომბების გამოყენება ჩინეთის წინააღმდეგ, ის ნამდვილად არ არის გონზე ან გადაწყვიტა, მეორე იამამოტო გახდეს. და, თუ უმძლავრესი იარაღი ასეთი უგუნური ადამიანების ხელში აღმოჩნდება, ეს იქნება უდიდესი კატასტროფა არა მხოლოდ ამერიკელებისთვის, არამედ სრულიად კაცობრიობისთვის“, — ასკვნიან ექსპერტები.

> **«ᲗᲣ ᲡᲕᲘᲤᲢᲡ ᲡᲣᲠᲡ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ, ᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲝᲜᲖᲔ ᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲘᲐᲛᲐᲛᲝᲢᲝ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ. ᲓᲐ, ᲗᲣ ᲣᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ»**

## პოლ კრეიგ რობერტსი:

# ᲐᲠᲛᲐᲒᲔᲓᲝᲜᲐᲛᲓᲔ ᲝᲠ-ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲣᲗᲘᲐ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲨᲘ ᲘᲗᲠᲔᲕᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ



**პუბლიცისტმა, ჰუვერის ინსტიტუტისა და სტენფორდის უნივერსიტეტის ყოფილმა მეცნიერმა თანამშრომელმა, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში ფინანსთა მინისტრის თანაშემწე პოლ კრეიგ რობერტსმა თავის ვებგვერდზე შემაშფოთებელი შინაარსის სტატია გამოაქვეყნა.**

მზად ხართ სიკვდილისთვის? ჩვენ მალე მოვკვდებით, ოღონდ არა ხანდაზმულობის, არამედ იმის გამო, რომ ჩვენი თანამემამულეები ისე ბრიყვები და უვიცები არიან, ისე აქვთ ტვინი გამორეცხილი, სჯერათ ტყუილისა, რომელსაც უეჭველ დაღუპვამდე მივყავართ. ეს არის ის, რასაც გვეუბნებიან ატომურ ენერგიაზე მომუშავე მეცნიერები. და ისინი მართალს ამბობენ.

შეგიძლიათ, გაიგოთ ეს აბსურდი? პრეზიდენტ **ᲢᲠᲐᲛᲞᲡ** ყოველი მხრიდან უტევს სამხედრო კომპლექსი, აშშ-ის მასმედია, დემოკრატიული პარტია და ბევრი რესპუბლიკელი, ისეთები, როგორებიც არიან რესპუბლიკელი სენატორი სამხრეთი კაროლინიდან — **ᲚᲘᲜᲓᲡᲘ ᲒᲠᲔᲛᲘ** და რესპუბლიკელი სენატორი არიზონიდან — **ᲯᲝᲜ ᲛᲐᲙᲔᲘᲜᲘ**, უბრალოდ, იმიტომ, რომ პრეზიდენტ ტრამპს სურს, შეამციროს სახიფათო დაძაბულობა ბირთვული იარაღის მქონე ორ ძირითად სახელმწიფოს შორის.

რით შეიძლება აიხსნას სამხრეთი კაროლინისა და არიზონის მოსახლეობის მხრიდან საკუთარი სიცოცხლისთვის შექმნილ საფრთხეზე შეშფოთების სრული უქონლობა? მათ ხომ სენატში გაგზავნეს ორი დებილი, რომლებმაც გადაწყვიტეს აშშ-სა და რუსეთს შორის ომის პროვოცირება?! ანალოგიური კითხვის დასმა შეიძლება 50-ვე შტატში მცხოვრებთა მიმართაც.

შეგიძლიათ იგივე კითხვა დაუსვათ სამეძაო სახლს, რომელიც ცნობილია როგორც „ამერიკული მედია“. მალე ცოცხალი აღარავინ დარჩება, ვინც მათი მასალების სათაურების წაკითხვას შეძლებს ომზე, რომლის წამოწყებასაც ხელს უწყობენ.

ამერიკის შეერთებული შტატები და საერთოდ, დედამიწაზე სიცოცხლე საფლავში ჩაწვება ამერიკის ხელმძღვანელობის სრული ჩაფლავების გამო.

რატომ სხედან ამერიკელები ყოველ საღამოს ტელევიზორების წინ და ყლაპავენ ტყუილს, რომელიც უეჭველი სიკვდილისკენ მიაქანებთ?

ამერიკა საფლავში ითრევს მსოფლიოს.



# ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ, ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲠᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

**ანტალიის რეგიონში თურქმა სამართალდამცველებმა პროსტიტუციის ბრალდებით ოთხი პირი დააკავეს.** თურქული მედიის ინფორმაციით, დაკავებულთა შორის საქართველოს ორი მოქალაქეა — 20 და 22 წლის ქალები. ისინი უზბეკეთის მოქალაქეებთან ერთად აიყვანეს. დაკავებულებს, სავარაუდოდ, დეპორტაცია ელოდება.



# ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ 3 ᲛᲚᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲓᲐᲐᲙᲘᲡᲠᲔᲡ

**ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი დააკმაყოფილა და უკრაინას 3 მლრდ დოლარის გადახდა დააკისრა.**

2013 წელს კიევმა 3 მლრდ-ზე მეტი დოლარის მოცულობის ორწლიანი ევროობლიგაციები გამოუშვა, რომლებიც „რუსეთის ეროვნული კეთილდღეობის ფონდმა“ შეიძინა. შემდეგ უკრაინაში ხელისუფლება შეიცვალა და ვალის დაბრუნება დავის საგანი გახდა. რამდენიმე დღის წინათ კი ლონდონის სასამართლომ 29 მარტის გადაწყვეტილება დააკონკრეტა და უკრაინას, ვალად აღებული თანხის გარდა, დამატებით 75 მილიონი დოლარის გადახდაც მოუწევს საჯარიმო პროცენტის სახით.

გვერდი მოამზადა **ᲚᲣᲙᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ**

**ქართველებს რუსებთან რომ გვქონდეს გაფორმებული სტრატეგიული მოკავშირეობის ხელშეკრულება, საქართველოს მიწა-წყალზე პრეტენზიის მქონე „მეგობარი“ ქვეყნები ვერაფერს გაგვიბედავდნენ. საგულისხმო ფაქტია, რომ ინგლისი, რომელიც დღეს საქართველოს დემონიზაციის აქტიური მონაწილეა, 1945 წელს მხარს უჭერდა თურქეთს ჩვენი ტერიტორიის მიტაცებაში.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს რუსეთთან კონფრონტაციას ჩვენი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო პროცესები მოჰყვა: გალის რაიონის დექართველიზაცია და საქართველოში სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის პოზიციების გაძლიერება. ამასთანავე, ნატოს შემოსვლა საქართველოში ნიშნავს თურქეთის შემოსვლას, რაც გაცილებით სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის.**

# მონების მონები ვართ და ველარ ვაზროვნებთ?



თურქეთმა 6 ჰა-ზე მეტი ტერიტორია მიიღო საჩუქრად საქართველოს ხელისუფლებისგან. აზერბაიჯანიც იმედოვნებს, რომ საქართველოსთან საზღვრის დაზუსტების შემდგომ დავით-გარეჯის მონასტრის ნაწილს და ჩიჩხიტურის კოშკს მიიღებს. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მარნეულის რაიონის სოფელი ახკერში მდებარე მე-13 საუკუნის ქართული მონასტერი — ჰუჯაბი ა.წ. სექტემბრიდან სომხების საკუთრებაში გადადის.

საინტერესოა, **ამ ხელისუფლების წარმომადგენლები სომხებისა და აზერბაიჯანელების შთამომავლები ხომ არ არიან და მათგან მემკვიდრეობით ხომ არ მიიღეს ქართული მიწა-წყალი?** ჩვენი „მეგობარი“ მეზობლების ნების აღსრულება ხდება იმ ფონზე, როცა სომეხ ხალხს ბრალი დასდეს სხვა ერების ისტორიის მითვისებაში. ამ ბრალდების ავტორები არიან **ნინა გარსოიანი** — გამოჩენილი ამერიკელი არმენოლოგი, კოლუმბიის უნივერსიტეტის დოქტორი და ეთიოპიელი პოლიტოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი — **თეკოლა ხაგოსი.** ქალბატონი გარსოიანი აღნიშნავს, რომ ყველა ძველსომხური წყარო მიტაცებულია და ეს გამოწვეულია ლტოლვით, გამორჩეულიყვნენ სხვა ხალხებს შორის. თეკოლა ხაგოსი თავის ნაშრომში ასაბუთებს, რომ სომხები საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდნენ პრობლემას მრავალი ერისთვის, იმ სახელმწიფოსთვის, რომელშიც ცხოვრობდნენ. მისი აზრით, სასურველია, გაერთიანებული ძალებით შეიქმნას კომისია და თავისი ადგილი მიუჩინოს ამ ხალხს, რომელსაც იერუსალიმის დაარსების პრეტენზიაც აქვს. **„სომხებს ბოდიშის მოხდა უნდა დავაქისროთ მთელი მსოფლიოსა და ყველა ხალხის წინაშე. მოწვეულ უნდა იქნეს საერთაშორისო სასამართლო გაეროსა და იუნესკოს ჩარჩოებში და სომხებს მიეჩინოთ თავიანთი ადგილი“,** — ამბობს თეკოლა ხაგოსი.

ერთი რამ ცხადია: **ქართველებს რუსებთან რომ გვქონდეს გაფორმებული სტრატეგიული მოკავშირეობის ხელშეკრულება, საქართველოს მიწა-წყალზე პრეტენზიის მქონე „მეგობარი“ ქვეყნები ვერაფერს გაგვიბედავდნენ. საგულისხმო ფაქტია, რომ ინგლისი, რომელიც დღეს საქართველოს დემონიზაციის აქტიური მონაწილეა, 1945 წელს მხარს უჭერდა თურქეთს ჩვენი ტერიტორიის მიტაცებაში.** ქართველ ხალხს არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ დასავლეთი ჩვენი ქვეყნის ინტერესებს დაიცავს. ყველაფერი, რაც საქართველოში კეთდება რუსეთის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას აუარესებს. ამერიკა რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესებას გეგმავს, მაგრამ ეს ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე არ ხდება. სანქციების დაწესებაზე ვლადიმერ პუტინმა განაცხადა: **„ამერიკა თავისი ეკონომიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად გეოპოლიტიკურ უპირატესობას იყენებს. შეუძლებელია, უსასრულოდ ვითმინოთ ანტირუსული ისტერიკა, ეს უზნეობაა“.** სანქციების დაწესებით რუსეთს ვერაფერს აიძულებენ და მცოცავი ოკუპაციით საერთაშორისო თანამეგობრობას დაანახვა, რომ მათი მითითებები ფეხებზე ჰკიდია. „რუსეთის მზარდ გავლენას ვერაფერი შეაჩერებს“, — ამბობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაზვერვის ყოფილი შეფი **ვერნერ გროსმანი.** ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებამ და რუსეთთან დიალოგის დაწყებას შეეცადოს. რაც შეეხება ახალ ფორმატს „საქართველო-ნატო-რუსეთი“, — რბილად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგვრელია. საინტერესოა, რუსეთმა **ირმა ინაშვილს** უნდა დაუჯეროს, რომ საქართველოს ტერიტორია არ იქნება გამოყენებული პლაცდარმად რუსეთის წინააღმდეგ, თუ ნატო საქართველოში დასამკვიდრებლად ინაშვილისგან ნებართვას დაელოდება? **ჩვენი სამშობლოს დაცულობისა და უსაფრთხოების ერთადერთი უალტერნატივო გარანტი რუსეთთან სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმებაა. ბათუმში კი ერთობლივი რუსულ-ქართული ანტიტერორისტული ცენტრი უნდა გაიხსნას.** ქართველ საზოგადოებას შევახსენებ, რომ გერმანიის გაერთიანებას 1990 წლის 3 ოქტომბერს წინ უძღოდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — **ჯეიმს ბეიკერის** ვიზიტი საბჭოთა კავშირის მმართველ **მიხეილ გორბაჩოვთან.** სწორედ მათი შეხვედრისას გადაწყდა გერმანიის გაერთიანება იმ პირობით, რომ ნატო აღმოსავლეთით აღარ გაფართოვდებოდა, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ ამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანდა პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი, მოგვიანებით კი — 12 ქვეყანა. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ოფიცრის — **რეი მაკჰოვერნის** ინფორმაციით, 2008 წელს ამერიკის ელჩმა რუსეთში ვაშინგტონში გაგზავნა დეპეშა გრიფით „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი“, სადაც გულახდილად წერს საქართველოსა და უკრაინის ნატოში შესვლის თაობაზე: „ეს არის წითელი ხაზი რუსებისთვის“. ამ წითელ ხაზს კი რუსებს ე.წ. პატრიოტების ნაზი ღიმილი ვერ შეაცვლევინებს. რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის სურვილის პარალელურად „პატრიოტთა“ პარტიული ტელევიზიის ეთერიდან გვესმის ასეთი რიტორიკა: „რუსეთმა წაგვართვა, ამერიკა გვეხმარება, ეს ხალხმა ხომ უნდა დაინახოს?“ — საინტერესოა, თვითონ თუ ხედავენ, როგორ დაანგრია ამ იდეოლოგიამ ქვეყანა? ან კიდევ: „რომ ამბობენ, ვლადიმერ პუტინი თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავსო, ის კორუფციაშია ჩაფლული და ქურდების ინტერესებს იცავს, ქურდების უფროსია. პატივისცემას დავკარგავ იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც მას დაელაპარაკებიან“. მსგავსი ფრაზები მაყურებლის გაღიზიანებას იწვევს, რას ნიშნავს ეს — რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის რეალური სურვილს თუ ორმაგ სტანდარტს?

**ჩვენი სამშობლოს უსაფრთხოების ერთადერთი უალტერნატივო გარანტი რუსეთთან სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმებაა. ბათუმში კი ერთობლივი რუსულ-ქართული ანტიტერორისტული ცენტრი უნდა გაიხსნას**

ტელეკომპანია „ობიექტივი“ დემოკრატიული არხია, მაგრამ არ შეიძლება ყველას დაუთმო ეთერი და ყველანაირი სიბილწე განიხილო. ერთ-ერთ გადაცემაში მონაწილეთაგან (გვარებს არ ვასახელებ) სამმა ქალბატონმა (ჟურნალისტის ჩათვლით) პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე ისაუბრა, ეს კი იმით გაამართლა, რომ მეძავობა ძველისძველი „პროფესია“ ყოველთვის იყო, არის და მეძავები უფრო დაცულები იქნებიანო. დამსწრეთაგან ორმა მამაკაცმა სულიერ პროსტიტუციაზე გადაიტანა საუბარი და ამით შეეცადა, თემის სიმწვავის განმუხტვას. **არავის მოსვლია აზრად, ეთქვა, რომ უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანას, რომელიც მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დგას, ცხოვრების ნორმად უნდა ჰქონდეს „არა იმრუშო“ და ასეთ ქვეყანაში დაუშვებელია პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე ფიქრიც კი. იმ ქალბატონებს პრეტენზია აქვთ ქართველობაზე, პატრიოტობაზე და ქვეყანას „გულშემატკივრობენ“, სინამდვილეში კი ისე გალიბერასტდნენ, თვითონაც ვერ ხვდებიან.** მსგავსი აზროვნების ადამიანებმა დაივიწყეს, ვინ ვიყავით და საიდან მოვდივართ, რა არის ზნეობა. სხეულის გაყიდვა გაჭირვებამ აიძულა, მთავარია, სული არ გაყიდონო, — გვამუნათებენ შენიღბული „პატრიოტები“. **სწორედ სულიერმა პროსტიტუციამ მოამზადა ნიადაგი ხორციელი პროსტიტუციისთვის და საქართველო ერთ დიდ ბორდელად აქცია, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები — სუტენიორებად.** ისე, ნარკომანიისა და კრიმინალის ლეგალიზაციაც მოვახდინოთ, რადგან ეს ყოველივე ყოველთვის იყო და იქნება. ეს ის საკითხებია, რომლებშიც მორალი არანაირ როლს არ თამაშობს. **სტალინმა** ჯერ კიდევ 1929 წელს დაუსვა წერტილი ტროცკისტების მიერ დაკანონებულ ალვირახსნილობას, უზნეობას და ქვეყანა ტრადიციული ღირებულებებისკენ შემოაბრუნა. დასავლეთი კი იმ ჭაობში ჩარჩა, რომელშიც იყო. ამასთანავე, სხვა ქვეყნების ჩათრევასაც ცდილობს და მისი მსხვერპლი ის ქვეყნები ხდებიან, რომლებიც ივიწყებენ თავიანთ წარსულს. სწორედ ამიტომ გვიკიჟინებდა ამერიკის სახელმწიფო მდივანი **ჯონ კერი**, დაივიწყეთ წარსული, თუ გინდათ, ამერიკა გვერდით დაგიდგეთო. **დასავლეთის პროპაგანდამ და ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკურმა სიბეცემ საზოგადოება გახლიჩა და იმ ვირტუალური კეთილდღეობის მოლოდინში, რომელიც დასავლეთმა უნდა შეგვიქმნას, ქვეყანას უფსკრულისაკენ მივაქანებთ.** ხელისუფლება ფინიასავით ელაქუცება დასავლეთს, რომელიც ჩვენნაირი ქვეყნების გალატაკების ხარჯზე მდიდრდება. ჩვენ რას ვაკეთებთ? დავდივართ ეროვნებაწართმეულნი არაქართულ ქალაქში და თავი მოგვწონს, რომ ქართველები ვართ? **მონების მონები ვართ და ველარ ვაზროვნებთ?** ქართველთა საპროტესტო გამოსვლები დასავლეთიდან მართული ყველა პროცესის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. არაფერი გვაქვს თავის გასამართლებელი და ბიბლიაზე დასაფიცი (სანდრო ბრეგაძემ ბიბლიაზე დაიფიცა, რუსეთთან საერთო არაფერი მაქვსო, თანაც, ლიბერასტების პრიმადონნა ქალბატონის გადაცემაში, რომელიც პროვოკაციულ შეკითხვებზეა აგებული). თუ ქართველთა საპროტესტო გამოსვლა რუსეთის ინტერესებს ემთხვევა, მივესალმები ამ მოვლენას, ვსარგებლობ გამოხატვის თავისუფლებით და საჯაროდ ვაცხადებ: **უზომოდ მძულს ევროპისა და ამერიკის პოლიტიკა, მათი იდეოლოგია და მათ დაკრულზე მოთამაშე ლიბერასტებიც. ამასთანავე, პატივს ვცემ ვლადიმერ პუტინს, როგორც თავისი ქვეყნის ინტერესების დამცველსა და ზნეობრივი პოლიტიკის გამტარებელს. დამწამონ რუსეთუმეობა, ამით მხოლოდ ვიამაყებ, რადგან უკანალის მოთამაშე ლიბერასტებივით ფული კი არ მკარნახობს იდეოლოგიას, არამედ სამშობლოს ისტორია, რომელსაც ვერავინ ვერაფერს დაუპირისპირებს!**

ქართველ ხალხს არ უნდა აღელვებდეს, რომელი დაფინანსებული ლიბერასტ-პედერასტი თუ ამძუვნებული დედაკაცი რას დაარქმევს ქართველთა საპროტესტო გამოსვლას. „ქართული მარში“ ქართველთა სულის გამოღვიძების დასაწყისია და უნდა გაგრძელდეს. მოთხოვნები კი უნდა გავაფართოვოთ: **აღდგეს ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა პირადობის მოწმობაში, გამოცხადდეს მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად, მოხდეს უცხოელებზე გასხვისებული მიწებისა და ობიექტების ნაციონალიზაცია, შეწყდეს ქართული მიწების გადაცემა მეზობელი ქვეყნებისათვის, დაწესდეს სასჯელი ჩვენი ეროვნული და სარწმუნოებრივი გრძნობების შეურაცხყოფისთვის, დაწესდეს კონტროლი უცხოეთიდან „ასო“-ების დაფინანსებაზე (რუსეთისა და ბელარუსის მსგავსად), დაწესდეს სასჯელი პროსტიტუციაზე და დამთავრდეს საქართველოს ბორდელიზაცია. ამაზრზენია, როცა ხელისუფლება სუტენიორობით აღებული ფულით აფინანსებს საკუთარ ფუფუნებას.**

ჩემო ძვირფასო ქართველებო! ლიბერალიზმი ქართველთა გადაშენებისკენ მიმართული იდეოლოგიაა, რომელიც თავის თავში მოიცავს ფაშიზმს, ჰომოსექსუალიზმს, ძალადობას. ამ ყოველივეს ნებისმიერი ფორმით უნდა დავუპირისპირდეთ. გავიხსენოთ **ილიას** სიტყვები: **„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება ისტორიისა, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა“.**

სამშობლოს სიყვარულმა მოიყვანა დღემდე ქართველი ერი და ამ სიყვარულმა უნდა დაგვაძლევინოს ის ბოროტება, რომელიც დასავლეთის აგრესიულმა, ნეოლიბერალურმა ძალებმა საქართველოს თავს მოახვიეს და ძალადობის ფორმად აქციეს.

გენერალ **პეტრე ბაგრატიონის** სიტყვებით დავასრულებ: **„არ არსებობს ამქვეყნად სიმდიდრე, რომელსაც ჩემი ქვეყნის კეთილდღეობას ვამჯობინებდი!“**

**იზა თამაზაშვილი**

წმინდა მამა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1825 წლის 25 ნოემბერს ღვთისმშობელმა მას გამოცხადებით მოუწოდა ხალხის სამსახურისკენ და ამ დღიდან წმინდანის კელიის კარი ღია იყო ყველა მსურველისთვის. მოძღვარი ღვთისადმი აღვლენილი ლოცვებით კურნავდა მათ სულიერი და ხორციელი სნეულებებისგან.**

## 1 აგვისტოს აღინიშნება აღმოყვანება ნაწილთა ღირსისა სერაფიმე საროველისა, საკვირველთმოქმედისა

# მოძღვარი, რომელიც ღვთისადმი აღვლენილი ლოცვებით კურნავდა

**ღირსი სერაფიმე საროველი მართლმადიდებლობის ერთ-ერთი დიდი წმინდანია.**
**1903 წელს, ნეტარი სერაფიმეს დაბადების დღეს საროვში რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორის, სამეფო ოჯახის სხვა წევრებისა და სამასი ათასამდე მლოცველის თანდასწრებით აღესრულა მისი წმიდა ნაწილების საზეიმო აღმოყვანება. ისინი მათთვის წინასწარ გამზადებულ ლუსკუმაში გადააბრძანეს ხალხის თაყვანსაცემად. ამ მოვლენას მრავალი სასწაული და კურნება ახლდა.**
**ცნობილია, რომ სერაფიმე საროველს გამოცხადებით ემცნო: „დედამიწაზე ღვთისმშობლის პირველი წილხვედრია საქართველო — ივერია, მეორე — ათონი, მესამე — კიევო-პეჩორის ლავრა და მეოთხე იქნება დივეევო“.**
**სავარაუდოდ, სერაფიმე საროველს ეკუთვნის ეს სიტყვებიც: „არასოდეს იომოთ საქართველოსთან, ამით თქვენ შეებრძოლებით დედას ღვთისას... ეს დაღუპავს რუსეთს“.**



ღირსი სერაფიმე საროველი (ერობაში – პროხორ მოშნინი) კურსკში დაიბადა 1754 წლის 1 აგვისტოს. მამამისი ღვთისმოსავი ვაჭარი, შრომისმოყვარე **ისიდორე მოშნინი** ტაძრებს აშენებდა. მეუღლესთან ერთად ტაძრების აღმშენებლობის საქმეში აქტიურად იყო ჩართული წმინდა მამის დედა — აღათია, რომელიც ასევე ღატაკებისა და ქვრივობლების დიდი დამხმარეც იყო.

პროხორს მამა ადრე გარდაეცვალა. უფლისა და ღვთისმშობლის მფარველობა მას ბავშვობიდანვე არ აკლდა. პირველი სასწაული 7 წლის პროხორის მიმართ აღსრულდა: ის მშენებარე ტაძრის მაღალი სამრეკლოდან ჩამოვარდა, მაგრამ სრულიად უვნებელი გადარჩა, მეორე და უდიდესი სასწაული კი მაშინ აღესრულა, როცა 10 წლის პროხორე მძიმედ დაავადდა, დედას კი მისი გამოჯანმრთელების იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ ვაჟმა უამბო, რომ ძილში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და განკურნებას შეჰპირდა.

მართლაც, მალე, მათი ეზოს წინ პროცესიამ ჩაიარა ჯვრებითა და ღვთისმშობლის ხატით. დედამ დასტაცა ხელი ავადმყოფ შვილს და ღვთისმშობელს მიუახლა, რის შემდეგაც ბავშვმა სწარაფად დაიწყო მომჯობინება.

ამის შემდეგ მასში უიშვიათესმა ნიჭმა, ნათელმა გონებამ, განსაკუთრებულმა მეხსიერებამ და საქმისადმი უაღრესმა გულმოდგინებამ იჩინა თავი.

პროხორს საოცარი მეხსიერება ჰქონდა. მან ადვილად შეისწავლა წერა-კითხვა. ბავშვობიდანვე უყვარდა ღვთისმსახურებაზე დასწრება, ბავშვებისათვის წმიდა წერილისა და წმიდანთა ცხოვრების კითხვა, მაგრამ ყველაზე უფრო განმარტოებული ლოცვა და სახარების ჭეშმარიტებების წვდომა იზიდავდა.

მან სიყმაწვილეშივე გადაწყვიტა, თავი უფლის მსახურებისთვის მიეძღვნა და მონასტერში წასულიყო. კეთილმსახურმა დედამ დალოცა მისი განზრახვა, ჯვარიც აჩუქა, რომელსაც წმინდანი ცხოვრების ბოლომდე ატარებდა. მალე სხვა მორწმუნეებთან ერთად პროხორ ფეხით ჩავიდა კურსკიდან კიევში პეჩორის სიწმინდეების თაყვანსაცემად. სქემ-მონაზონმა დოსითეოსმა მას ურჩია, საროვის უდაბნოში დამკვიდრებულიყო. შინ დაბრუნებული ღვთისმოყვარე ჭაბუკი სამუდამოდ გამოემშვიდობა დედას და ნათესავებს, 1778 წლის 20 ნოემბერს კი საროვში ჩავიდა, სადაც მაშინ სიბრძნით გაბრწყინებული ბერი პახუმი წინამძღვრობდა. მან თბილად მიიღო პროხორი და მოძღვრად ბერი იოსები მიუჩინა.

ამ წლებშივე პროხორმა, სხვა მოღვაწე ბერების მიბაძვით, ტყეში განმარტოებასა და ლოცვაზე აიღო კურთხევა. ორი წლის შემდეგ ახალგაზრდა მორჩილი წყალმანკით დაავადდა, მთელი სხეული გაუსივდა და საშინლად იტანჯებოდა; სამი წელი ავადმყოფობდა, მაგრამ ექიმი არ გაიკარა. **„მე სულისა და ხორცის ჭეშმარიტ მკურნალს – ჩვენს უფალს, იესო ქრისტესა, და მის ყოვლადწმიდა დედას ვარ მინდობილი“,** — უთხრა მან მამა პახუმს და ზიარება მოითხოვა. და, აი, მას ღვთისმშობელი გამოეცხადა პეტრე მოციქულისა და იოანე ღვთისმეტყველის თანხლებით. ყოვლადწმიდა ქალწული კვერთხით შეეხო სნეულის ფერდს, სასწაულებრივად გაჩენილი ნასვრეტებიდან სხეულში დაგუბებულმა სითხემ ნელ-ნელა იწყო დენა და მალე წმიდანი სრულიად გამოჯანმრთელდა.

წმინდანმა საროვის სავანეში რვა წელი დაჰყო მორჩილად, შემდეგ კი ბერად აღიკვეცა და სერაფიმე ეწოდა. უფალმა არაერთხელ გახადა იგი საღვთო ხილვების ღირსი: სერაფიმე წირვა-ლოცვისას ცხადად ხედავდა ანგელოზებს. განსაკუთრებული მადლით აავსო წმიდა მამა მაცხოვრის გამოცხადებამ დიდ ხუთშაბათს, საღვთო ლიტურგიაზე. ამ ხილვის შემდეგ მან გაამკაცრა ღვაწლი: დილით სავანეში შრომობდა, ღამით კი – უდაბურ ტყეში, განმარტოებულ კელიაში ლოცულობდა. 1793 წელს 39 წლის სერაფიმე მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს. მალე სავანის წინამძღვარი მამა პახუმი მიიცვალა. სიკვდილის წინ მან წმიდანს მეუდაბნოეობაზე მისცა კურთხევა. სერაფიმემ ახალი წინამძღვრისგან – მამა ისაიასგანაც აიღო ლოცვა-კურთხევა და მონასტრისდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ კელიაში განმარტოვდა, დაბურულ ტყეში. კვირების განმავლობაში ლოცულობდა და მხოლოდ შაბათობით, მწუხრის ლოცვის წინ ბრუნდებოდა სავანეში. ღირსი მამა მკაცრ ღვაწლში იყო: თავისი ტიპიკონი მან ძველ უდაბნოთა სავანეების ტიპიკონების მიხედვით შეადგინა. ყოველთვის დაჰქონდა წმიდა სახარება. კვირის განმავლობაში „ახალ აღთქმას“ ჩაიკითხავდა ხოლმე. გარდა ამისა, კითხულობდა წმიდა მამათა თხზულებებს და საღვთისმსახურო წიგნებსაც. სერაფიმემ მრავალი საგალობელი შეისწავლა ზეპირად და ტყეში მუშაობისას გალობით აღავლენდა ლოცვებს. კელიის მახლობლად ბოსტანი მოაწყო, ფუტკარიც მოაშენა; ლუკმაპურს საკუთარი შრომით მოიპოვებდა, მაგრამ ძალიან ცოტას ჭამდა, დღეში მხოლოდ ერთხელ იღებდა საზრდოს, ოთხშაბათსა და პარასკევს კი საერთოდ არაფერს მიირთმევდა. დიდმარხვის პირველ კვირიაკეს შაბათამდე არაფერს ჭამდა, შაბათს კი წმიდა საიდუმლოს ეზიარებოდა.

წმიდა სერაფიმესთან რჩევისა და ლოცვა-კურთხევის სათხოვნელად სიარულს მოუხშირეს არა მხოლოდ მონასტრის ძმებმა, არამედ ერისკაცებმაც. ეს არღვევდა მის მყუდროებას, ამიტომ, წინამძღვრის კურთხევით, წმიდანმა მისვლა აუკრძალა ჯერ ქალებს, შემდეგ კი — ყველას. სერაფიმეს ლოცვით მის კელიასთან მისასვლელი გზა ასწლოვანი ფიჭვების მსხვილი ტოტებით გადაიხლართა. ახლა მხოლოდ ფრინველები და მხეცები თუ აღწევდნენ წმინდა მამამდე. იგი საკუთარი ხელით აჭმევდა დათვს, როცა მისთვის პური მიჰქონდათ.



ღირსმა მამამ გადაწყვიტა, კიდევ უფრო გაემკაცრებინა ღვაწლი, — ყოველ ღამით ის ერთ უზარმაზარ ქვაზე ადიოდა და ხელაპყრობით ლოცულობდა: „უფალო, შემიწყალე მე ცოდვილი!“. დღისით კელიაში განაგრძობდა ლოცვას. აქაც ტყიდან მოტანილ ქვაზე იდგა, საიდანაც იშვიათად ჩამოდიოდა. ასე ლოცულობდა წმიდანი 1000 დღე-ღამის განმავლობაში. ერთხელ ყაჩაღები თავზე დაადგნენ უდაბნოში მომუშაკე ბერს და ფული მოსთხოვეს. ყაჩაღებმა სასტიკად გვემეს ღირსი მამა — თავი გაუტეხეს, ნეკნები ჩაუმტვრიეს, შემდეგ კი შეკრეს და მდინარეში უპირებდნენ გადაგდებას, მაგრამ, როცა მის ღარიბულ კელიაში ხატისა და რამდენიმე კარტოფილის მეტი ვერაფერი იპოვეს, განერიდნენ იქაურობას. საშინელი ჭრილობებისაგან სიკვდილის პირას მყოფ წმინდანს ღვთისმშობელი გამოეცხადა და განკურნა. ამის შემდეგ სერაფიმე წელში მოხრილი დადიოდა, კვერთხზე ან ნაჯახზე დაყრდნობილი, მაგრამ შეურაცხმყოფლებს გულით შეუნდო შეცოდება და ითხოვა, არ დაესაჯათ ისინი.

როდესაც იღუმენი ისაია გარდაიცვალა, წმიდა მამამ მდუმარების ღვაწლი იტვირთა. ის ცდილობდა, ლოცვით ყოველგვარი ამაო ფიქრისგან განეწმიდა გონება: თუ ტყეში ვინმეს გადაეყრებოდა, პირქვე დაემხობოდა და შემხვედრის წასვლამდე არ წამოდგებოდა. ამგვარ ღვაწლში გალია წმინდანმა თითქმის სამი წელიწადი, კვირის წირვებზეც კი არ მიდიოდა სავანეში. მაშინ ახალმა იღუმენმა ნიფონტმა და მონასტრის ძმებმა სთხოვეს ბერს, წირვა-ლოცვაზე მაინც მისულიყო მათთან ან, საერთოდ, დაბრუნებულიყო სავანეში. ღირსმა მამამ ეს უკანასკნელი არჩია, რადგან შორს სიარული უჭირდა და 1810 წლის გაზაფხულზე, 15-წლიანი განდეგილობის შემდეგ, სავანეში დაბრუნდა. აქ იგი ერთ კელიაში დაეყუდა, საიდანაც არასდროს გამოდიოდა. უფალმა მას განჭვრეტისა და სასწაულთმოქმედების ნიჭი მიმადლა. **1825 წლის 25 ნოემბერს ღვთისმშობელმა მას გამოცხადებით მოუწოდა ხალხის სამსახურისკენ და ამ დღიდან წმინდანის კელიის კარი ღია იყო ყველა მსურველისთვის. მოძღვარი ღვთისადმი აღვლენილი ლოცვებით კურნავდა მათ სულიერი და ხორციელი სნეულებებისგან.** სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ლოცვისას ჰაერში ამაღლებულიც უხილავთ.

სიცოცხლის უკანასკნელ წელს სერაფიმე საროველი საგრძნობლად დასუსტდა, ის ბევრს ლაპარაკობდა მოახლოებულ აღსასრულზე. ღირსმა მამამ ითხოვა, მიძინების ტაძრის საკურთხეველთან დაეკრძალათ, მის მიერ წინასწარ მინიშნებულ ადგილას. 1833 წლის 1 იანვარს უკანასკნელად ეზიარა. 2 იანვარს, დილის ექვსი საათისთვის, წმინდანის მორჩილმა პავლემ იგრძნო, რომ კელიიდან დამწვრის სუნი გამოდიოდა. წმინდანი ყოველთვის ანთებდა სანთლებს, მაგრამ ამბობდა: „სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს კელიაში ხანძარი არ გაჩნდება, ჩემი სიკვდილი კი ხანძრით გაცხადდებაო“. როცა კარი გააღეს, დაინახეს, რომ წიგნებსა და სხვა ნივთებს ცეცხლი მოსდებოდა, მამა სერაფიმეს კი, ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოყრილს, სული უფლისთვის მიებარებინა.

**სერაფიმეს ლოცვით მის კელიასთან მისასვლელი გზა ასწლოვანი ფიჭვების მსხვილი ტოტებით გადაიხლართა. ახლა მხოლოდ ფრინველები და მხეცები თუ აღწევდნენ წმინდა მამამდე. იგი საკუთარი ხელით აჭმევდა დათვს, როცა მისთვის პური მიჰქონდათ**

**დეკერმა საზოგადოებრიობას აუწყა, რომ ოფიციალურად არის დაქორწინებული მამაკაცზე. აგრეთვე, აღიარა, რომ დიდი ხნის განმავლობაში აპირებდა კარადიდან გამოსვლას, მაგრამ ყოველთვის ეგონა, რომ ამის დრო ჯერ არ იყო.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## კარდინალის ბინაში ვატიკანის პოლიცია გეიორგიის მონაწილეებს თავზე დაადგა

**ეს მოხდა ერთი თვის წინათ კონგრეგაციის სასახლეში, მაგრამ გამჟღავნდა ახლახან. ჩხრეკა ჩატარდა მღვდლის — ფრანჩესკო კოკოპალმერიოს ბინაში, რომელიც კარდინალის მდივნად მუშაობს, პაპთან არსებული საკანონმდებლო ტექსტების საბჭოს ხელმძღვანელი და რომის პაპის პირადი მრჩეველია. პოლიციელებმა ჰომოსექსუალების ნარკოტიკული თრობის ორგია დააფიქსირეს.**

სკანდალმა პრესაში გაჟონა. ჟურნალისტების მონაცემებით, „ცუდი ბინის" თაობაზე მეზობლებმა იჩივლეს. სწორედ მათ აცნობეს პოლიციას საეჭვო სტუმრების შესახებ, რომლებიც თითქმის ყოველდღე იკრიბებოდნენ სასულიერო პირთან.

გამოაშკარავდა, რომ იქ გახრწნილთა „ბუნაგი" იყო მოწყობილი: სამართალდამცველებმა ადგილზე აღმოაჩინეს ნარკოტიკები. ნარკოტიკულ თრობაში მყოფი შიშველი ახალგაზრდა კაცები სექსით იყვნენ გართულნი. ბინის პატრონი ფრანჩესკო კოკოპალმერიო დააპატიმრეს. ამ ფაქტმა რომის პაპი **ფრანცისკი** გააცოფა, რადგან ინციდენტმა კიდევ უფრო დაამძიმა მისი მმართველობის ისედაც რთული პერიოდი.

შეგახსენებთ, რომ ახლახან ავსტრალიის კარდინალი **ჯორჯ პელი** არასრულწლოვანთა მიმართ გარყვნილ ქმედებაში ამხილეს.



## ინგლისში ნარკოტიკების მოხმარებისთვის სკოლებიდან მოსწავლეთა რეკორდული რაოდენობა გარიცხეს

**გასულ ორ წელიწადში მათმა რაოდენობამ 9250 შეადგინა. ამას იუწყება „ბი-ბი-სი", განათლების სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.**

გარიცხვების უმეტესობა იორკშირსა და ჰამბერზე მოდის. ამ რეგიონებში მოსწავლეები დროებით 50 ათასზე მეტჯერ გაირიცხნენ სასწავლებლებიდან.

ნარკოტიკების მომხმარებელი ბავშვების რაოდენობის ზრდას სპეციალისტები იმით ხსნიან, რომ ხშირად მათ საზოგადოებაში ეს „სოციალურ ნორმად" ითვლება.

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## «ორიგინალური» სასიყვარულო სამკუთხედი

**ინტერნეტში გავრცელდა ორი ქალიშვილის ისტორია, რომლებიც თავიანთი საყვარლის წინააღმდეგ გაერთიანდნენ, შემდეგ კი ერთმანეთის საყვარლები გახდნენ.**



ეს ამბავი **ენჯელ მერი ბლიუმ,** რომელიც ნიუ იორკის ერთ-ერთი კოლეჯის სტუდენტია, თავისი „ტვიტერის" მეშვეობით ინტერნეტის მომხმარებლებს მოუთხრო ივნისის ბოლოს. გარკვეული დროის განმავლობაში მისი საყვარელი ახალგაზრდა საიდუმლოდ ხვდებოდა სხვა ქალიშვილს, რომელმაც ასევე არ იცოდა, რომ მის ბიჭს სხვა საყვარელი ჰყავდა.

როცა ეს ყველაფერი გაირკვა, ქალებმა ერთმანეთი თმებით კი არ დაითრიეს, არამედ გადაწყვიტეს რევანშის აღება და გაერთიანდნენ ამ იდეის განსახორციელებლად. თავიდან მათ შური იძიეს იმით, რომ მოღალატეს დაუზიანეს ავტომანქანა, ტანსაცმელი, ზოგიერთი ნივთი. ამ საქმეს რომ მორჩნენ, ერთმანეთის საუკეთესო მეგობრები გახდნენ.

ენჯელის „პოსტმა" 34 ათასი „ლაიქი" და „რეტვიტი" დააგროვა, მაგრამ ისტორია ამით არ დამთავრებულა. ყველაზე საინტერესო და მოულოდნელი ამბავი შემდეგ მოხდა.

ორი კვირის შემდეგ ენჯელმა თავის მონათხრობს რამდენიმე საინტერესო დეტალი დაუმატა და მკითხველებს აუწყა „სასიხარულო" ამბავი: „ჩვენ ახლა ერთმანეთს ვხვდებით". ეს გოგოები ერთმანეთის საყვარლები გახდნენ, ის ბიჭი კი ცარიელზე დატოვეს. ეს სიახლე ინტერნეტმომხმარებლებმა ერთსულოვნად აიტაცეს და მათმა რაოდენობამ 332 ათასს გადააჭარბა.

ახალი და მოულოდნელი აქ არაფერია: ყველაზე მეტი მნახველი ინტერნეტში პორნოსაიტებს ჰყავს.

გოგოები კი აცხადებენ: „ჩვენ ბედნიერები ვართ!"

**ლესბოსელობას ახლა ბედნიერება ჰქვია.**

## «გმირებისა» და «ტერმინატორის» ვარსკვლავმა მსახიობმა თომას დეკერმა საჯაროდ აღიარა, რომ გეია

**დეკერმა სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა ღია წერილი, რომლითაც მკითხველებს შეატყობინა, რომ „ერთი ცნობილი გეი სიტყვით გამოსვლისას შეეცადა მისთვის აუტინგის მოწყობას" (აუტინგი — ადამიანის სექსუალური ორიენტაციის საჯაროდ გამჟღავნება). მიუხედავად იმისა, რომ „ერთი ცნობილი გეის გვარი" არ დაუსახელებიათ, გასაგები იყო, რომ იგულისხმებოდა პროდიუსერი ბრაიან ფულერი და მისი გამოსვლა ლგბტ-ფილმების ფესტივალ Outfest-ზე.**




ფულერი „გმირების" შოურანერი (ერთდროულად სცენარისტის, აღმასრულებელი პროდუსერისა და სცენარების რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი) იყო და განაცხადა, რომ იძულებული გახდა, უარი ეთქვა დაგეგმილ გეისიუჟეტზე ერთ-ერთ პერსონაჟთან მსახიობის წინააღმდეგობის გამო. ამასთან, ეს მსახიობი თავადვე არის ფარული გეი.

„ამ კვირაში ჩემი სექსუალური ორიენტაცია კვლავ გახდა განხილვის საგანი, — დაწერა ინსტაგრამაში დეკერმა, — და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სახელი არ გაუმჟღავნებიათ, საზოგადოებრიობამ და პრესამ იოლად შეაჯამა ორს პლუს ორი".

ბრაიან ფულერმა განაცხადა, რომ უარი თქვა გეიპერსონაჟზე მას შემდეგ, რაც მსახიობის მენეჯმენტი დაემუქრა, რომ გაწყვეტდა კონტრაქტს, თუ მისი გმირი ჰომოსექსუალად იქნებოდა წარმოდგენილი.

დეკერი ამ ბრალდებას ჯერ კიდევ 2007 წელს უარყოფდა: „არც მე, არც ჩემს მენეჯმენტს არასოდეს გვქონია გეიპერსონაჟებთან დაკავშირებული პრობლემები. ჩემთვის მსახიობის პროფესია ნიშნავს ნებისმიერი როლის შესრულებისთვის მზადყოფნას. ის, რაც „გმირებში" მოხდა, გაცილებით რთულია, ვიდრე უბრალოდ ახსნა, რომ ზოგიერთს „შეეშინდა" ჩემი გმირის — ზაკის ჰომოსექსუალად წარმოჩენა. მე ძალიან სერიოზულად ვეკიდები პერსონაჟს, რომელიც შოუს დასაწყისში შევქმენი. ზაკი კლერისადმი სიყვარულით იწვოდა. მე შევქმენი პერსონაჟი ისეთი, როგორიც სცენარში იყო წარმოდგენილი: კლერზე შეყვარებული".

მსახიობი აღნიშნავდა, რომ გადაღების დაწყებისას არ გააფრთხილეს, რომ მის პერსონაჟს ელოდება „მოულოდნელი სიუჟეტური გადახვევა". იგი ირწმუნება, რომ მის წასვლას სერიალიდან „გმირები" არაფერი საერთო არ აქვს „გეიგარჩევებთან" და აიხსნება მხოლოდ იმით, რომ იგი მიიწვიეს კინოფილმ „ტერმინატორში" მონაწილეობის მისაღებად.

სხვა წყაროები საწინააღმდეგოს აცხადებენ, კერძოდ, რომ გეიპერსონაჟი „მის იმიჯზე უარყოფითად იმოქმედებდა".

დეკერმა საზოგადოებრიობას აუწყა, რომ ოფიციალურად არის დაქორწინებული მამაკაცზე. აგრეთვე, აღიარა, რომ დიდი ხნის განმავლობაში აპირებდა კარადიდან გამოსვლას, მაგრამ ყოველთვის ეგონა, რომ ამის დრო ჯერ არ იყო. „მე ვეთანხმები, რომ საჯარო აღიარება მნიშვნელოვანია, რადგან ეს დაეხმარება სხვა ადამიანებს, ირწმუნონ საკუთარი თავის, შეჰმატებს მათ რწმენასა და ძალას", — დაასკვნა უკანალის საკითხებში მორალისტმა მსახიობმა.

უცხოური პრესა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპის ქვეყნები კვლავაც მილიონობით მუსლიმს უღებენ კარს, მაგრამ მათი უმრავლესობა არც კი ფიქრობს, შეითვისოს ევროპული ღირებულებები. ამ დროს დასავლური მედია და აკადემიური წრეები ხელს უწყობდნენ მულტიკულტურიზმის გავრცელებას. „პენსილვანიის უნივერსიტეტის კედლიდან ჩამოხსნეს უილიამ შექსპირის სურათი იმიტომ, რომ იგი იყო კაცი, თან — თეთრკანიანი. განა ეს პირდაპირ არ ურტყამს დასავლურ ცივილიზაციას?! — გაკვირვებულია ჟურნალისტი, — კანადა კი საერთოდ პოსტნაციონალურ სახელმწიფოდ გამოაცხადეს, სადაც ძირითადი იდენტურობა არ არსებობს“.**

## Die Welt: იხილეს და განცვიფრდნენ



წინა პლანზე — „დიმიტრი დონელი“

**ბალტიის ზღვის სანაპიროზე გამოფენილი ტურისტები და ადგილობრივი მოსახლეობა შთამბეჭდავი სანახაობის უნებლიე მოწმენი გახდნენ.**

Die Welt-ის ცნობით, მსოფლიოში უდიდესმა წყალქვეშა ნავმა „დიმიტრი დონელმა“ მათ თვალწინ ჩაიარა — რუსეთის ფედერაციის საზღვაო სამხედრო ფლოტის სტრატეგიული რაკეტმზიდი სევეროდვინსკიდან სანკტ-პეტერბურგში მთავარ სამხედრო აღლუმში მონაწილეობისთვის მიემართებოდა (ეს დღესასწაული გასულ კვირას ტრადიციულად კრონდშტატთან, ნევის აკვატორიაში გაიმართა).

შავი გიგანტის, „დიმიტრი დონელის“, სიგრძე 172 მეტრია. სუბმარინის ბორტზე 150-დან 180-მდე სამხედრო მეზღვაური მსახურობს. წყალქვეშა კრეისერი საკონტინენტთაშორისო რაკეტებით არის აღჭურვილი.

„დიმიტრი დონელმა“ და, მასთან ერთად, ჩრდილოეთის ფლოტის ფლაგმანმა, მძიმე ატომურმა სარაკეტო კრეისერმა „პეტრე დიდმა“ დანიშნულების ადგილას მისვლამდე ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების გავლით შემოუარეს სკანდინავიას და ფინეთის ყურის ფარვატერში ჩაუშვეს ღუზა.

როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, „დიმიტრი დონელი“ ნაკლებად შეიძლება იქნას მიჩნეული სამხედრო ხომალდად, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი არის პლატფორმა, რომელზეც გამოიცდება უახლესი სახეობის რაკეტები.

„იგი უდიდესი წყალქვეშა ნავია მათ შორის, რომლებიც ოდესმე აუგიათ. ის, უწინარეს ყოვლისა, შთამბეჭდავი ხომალდია აღლუმისთვის, რომელიც შეგვახსენებს, რომ რუსეთი საზღვაო სახელმწიფოა“, — განაცხადა ექსპერტმა რუსეთის ფლოტის საკითხებში **მიხეილ კოფმანმა.**

კრეისერებმა დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად 1500 საზღვაო მილი გადალახეს. მარშრუტი გაკვალული იყო უსაფრთხოების ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით. ცნობილია, რომ ბალტიკა უბირთვო ზონაა, ამიტომ ატომური დანადგარებით აღჭურვილი გემების გატარება წინასწარ იყო შეთანხმებული რეგიონის ყველა სახელმწიფოსთან.

ცნობისთვის: „დიმიტრი დონელი“ შექმნილია პროექტით — 941 „აკულა“. იგი ამ ტიპის პირველი ხომალდია. მოდიფიცირებულია 941 УМ პროექტის მიხედვით, აღჭურვილია სარაკეტო კომპლექსით „ბულავა“.

## National Review: დასავლურ ცივილიზაციას, რუსეთი კი არა, ჩვენი მედია დაღუპავს



**რუსეთს აქვს ბირთვული იარაღი, რომელსაც შეუძლია უზარმაზარი ზარალის გამოწვევა და უამრავი ადამიანის დახოცვა, მაგრამ იგი ვერ ამოძირკვავს დასავლურ ფასეულობებს. ამით დაკავებულია დასავლეთის მასმედია და უნივერსიტეტები, სწორედ ისინი ქადაგებენ მემარცხენე თვალსაზრისსა და მულტიკულტურიზმს, — წერს ჟურნალისტი დენის პრაგერი სტატიაში, რომელიც გამოაქვეყნა პორტალმა National Review-მ.**

„დასავლეთისთვის რუსეთზე უფრო საშიში საინფორმაციო გამოცემებია“, — ჟურნალისტის ეს კომენტარი ნეგატივის გრიგალის ამოვარდნის მიზეზი გახდა. ასეთ დასკვნამდე იგი დასავლური გამოცემების ანალიზით მივიდა, იმ საქმიანობით, რომელსაც გამოცემები დღეს ეწევიან.

ავტორი ამ სიტუაციას ადარებს ჰოლოკოსტს, რომლის დროსაც დაიღუპა ბევრი ებრაელი, მაგრამ არ გამქრალა ებრაული ცივილიზაცია, რომელიც იდეათა და ფასეულობათა სისტემაა. ბირთვული თავდასხმა დასავლეთისთვის შორეული პერსპექტივაა: რუსეთის ხელმძღვანელობას, როგორც ადრე საბჭოთა ხელმძღვანელობას, ესმის, რას ნიშნავს ურთიერთგანადგურების გარანტირებული პრინციპი.

ავტორს მიაჩნია, რომ დასავლური ცივილიზაციისთვის რეალურ საფრთხეს საკუთარ თავში რწმენის დაკარგვა წარმოადგენს. ეს რუსეთის ბრალი არ არის. საშიშროება დასავლეთს უპირატესად მემარცხენე მიმართულების მედიიდან და უნივერსიტეტებიდან ემუქრება. პრაგერის კომენტარები ყველაზე უფრო ნეგატიურად აღიქვეს კონსერვატიულ წრეებში. არადა, კონსერვატორები თვითონ უნდა იცავდნენ ამერიკულ ღირებულებებს.

ევროპის ქვეყნები კვლავაც მილიონობით მუსლიმს უღებენ კარს, მაგრამ მათი უმრავლესობა არც კი ფიქრობს, შეითვისოს ევროპული ღირებულებები. ამ დროს დასავლური მედია და აკადემიური წრეები ხელს უწყობდნენ მულტიკულტურიზმის გავრცელებას. „პენსილვანიის უნივერსიტეტის კედლიდან ჩამოხსნეს უილიამ შექსპირის სურათი იმიტომ, რომ იგი იყო კაცი, თან — თეთრკანიანი. განა ეს პირდაპირ არ ურტყამს დასავლურ ცივილიზაციას?! — გაკვირვებულია ჟურნალისტი, — კანადა კი საერთოდ პოსტნაციონალურ სახელმწიფოდ გამოაცხადეს, სადაც ძირითადი იდენტურობა არ არსებობს“.

„ვინ გააკეთა ეს, პუტინმა?“ — რიტორიკულ კითხვას სვამს პრაგერი. უპატივცემლობა დასავლეთის ცივილიზაციისადმი დასავლეთის მედიიდან და დასავლეთის უნივერსიტეტებიდან მოდის“, — აცხადებს National Review-ის ავტორი.

## Frankfurter Allgemeine Zeitung: თურქეთი ევროკავშირში მიღების კანდიდატი არ არის



**„ევროკავშირის ეკონომიკა ვერ აიტანს მის მიერთებას“, — განაცხადა ავსტრიის კანცლერმა კრისტიან კერნმა.**

„ევროპა ვერასოდეს გადახარშავს თურქეთის მიერთებას ეკონომიკური თვალსაზრისით. თქვენ არ ხართ მიღების კანდიდატები“, — განაცხადა კერნმა გაზეთ Frankfurter Allgemeine Zeitung-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ამას გარდა, კანცლერმა განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა საკითხში თურქეთმა „თითქმის ყველა ზღვარი დაარღვია“ და ხელმეორედ მოუწოდა თურქეთს, შეწყვიტოს ევროკავშირში შესვლის საკითხზე მოლაპარაკება. როგორც ვიცით, ევროკავშირისა და თურქეთის ურთიერთობა ბოლო წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა. ბრიუსელი და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები პროტესტს აცხადებენ თურქეთში სამოქალაქო აქტივისტებისა და მოქმედი მთავრობის ოპონენტების მიმართ განხორციელებული რეპრესიების გამო. 25 ივლისს, მმართველი პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრების წინაშე გამოსვლისას, თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** განაცხადა, რომ დასავლეთის თურქეთზე ზემოქმედების ერა დამთავრდა. „დასავლეთს სურს, რომ თურქეთმა ყველა მისი მოთხოვნა განუხრელად შეასრულოს. უნდა გითხრათ, რომ ასეთი თურქეთი აღარ არსებობს“, — შენიშნა ერდოღანმა.

## Nene Osnabrucker zeitung: ვის აზარალებს სანქციები?

**ევროკავშირის ენერგოუზრუნველყოფის სისტემა დაზარალდება ვაშინგტონის მიერ მოსკოვის წინააღმდეგ მიღებული საჯარიმო ღონისძიებების გამო, — განაცხადა რუსეთთან კავშირის საკითხებში გერმანიის მთავრობის რწმუნებულმა გერნოტ ერლერმა. გერმანელი პოლიტიკოსის აზრით, აშშ-ს შეუძლია სანქციები დაუწესოს რუსეთ-ევროპის თანამშრომლობას ენერგეტიკულ სფეროში.**



„კანონში პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ შეერთებული შტატები „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის პროექტის წინააღმდეგია. სანქციები შეიძლება დააწესონ ნებისმიერ რუსულ-ევროპულ თანამშრომლობას ენერგოუზრუნველყოფის სფეროში — მილგაყვანილობებზე სარემონტო სამუშაოებზეც კი“, — ხაზი გაუსვა ერლერმა.

გერმანელ პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ აშშ-ისთვის პრიორიტეტულია საკუთარი ენერგორესურსების ექსპორტი. ვაშინგტონი ცდილობს, ამ გზით შეერთებულ შტატებში ახალი სამუშაო ადგილები შექმნას და საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციები განიმტკიცოს.

„ელემენტს „ამერიკა პირველ ადგილზე“ ადგილი არ აქვს სანქციების რეჟიმში, რომლის ინიციატორები პარტნიორებს შორის კოლეგიურ დამოკიდებულებას აფასებენ... უწინ ვაშინგტონი და ბრიუსელი ერთმანეთთან ათანხმებდნენ რეაქციას უკრაინის მიმართ რუსეთის პოლიტიკაზე, ამჟამად კი ამერიკელი პოლიტიკოსები თავს არიდებენ კოორდინირებულ პარტნიორობას ანტირუსული სანქციების საკითხში“, — ასკვნის გერნოტ ერლერი.

## Der Standard: ავსტრიაში პენსიონერი ქალის გაძარცვისთვის ორი უკრაინელი გაასამართლეს




**ავსტრიულმა სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ორ უკრაინელს, რომლებმაც გაძარცვეს სარეცელს მიჯაჭვული 80 წლის პენსიონერი ქალი და სცემეს მისი მომვლელი. ბოროტმოქმედებს შესაბამისად 4 და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ამის თაობაზე წერს Der Standard.**

ინციდენტი 2015 წლის მარტში მოხდა. ორი მამაკაცი მოხუცი ქალის სახლში მაშინ შეიჭრა, როცა სახლის პატრონს და მის მომვლელ მედდას ეძინათ. ძარცვისას მათ სცემეს 23 წლის მედდა, ხელ-ფეხი შეუკრეს ორივეს, გახსნეს სეიფი და გაიტაცეს 30 ათასი ევროს ღირებულების ძვირფასეულობა.

ბოროტმოქმედებმა მიმალვა პენსიონერი ქალის მანქანით სცადეს, მაგრამ სლოვენიის საზღვართან ავარია მოუვიდათ. მძარცველები დააკავეს. ერთ-ერთმა მათგანმა, 52 წლის ხურომ, დანაშაული აღიარა; მისმა თანამზრახველმა, 28 წლის ახალგაზრდამ კი, განაცხადა, რომ დამნაშავე არ არის. გამოძიებამ დაადგინა, რომ ძარცვაში კიდევ ერთი ადამიანი მონაწილეობდა, მაგრამ მისი ვინაობა ვერ გაარკვიეს.

**დონალდ ტრამპი: ჩვენი შეიარაღებული ძალები მობილიზებული უნდა იყოს დამაჯერებელი და გამანადგურებელი გამარჯვებების მოსაპოვებლად. არ შეიძლება ვაიძულოთ ისინი, უზარმაზარი ფული დახარჯონ ტრანსგენდერების მომსახურებაზე და მოითმინონ მათ მიერ შეტანილი დესტაბილიზაცია.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისრაელი გამარჯვების დღეს აღნიშნავს, როგორც სახელმწიფო დღესასწაულს



**ისრაელის ქნესეთმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე, როგორც სახელმწიფო დღესასწაული, ქვეყანაში ყოველწლიურად 9 მაისს აღინიშნება. გადაწყვეტილება პარლამენტმა ერთხმად მიიღო.**

„ამიერიდან შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ნაციზმზე გამარჯვების ხსოვნა, ისევე, როგორც იმ ებრაელთა გმირობის ხსოვნა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ, დავიწყებას არ მიეცემა. ვეტერანებისთვის, მათ შორის, ისრაელში მცხოვრებთათვისაც, ამ თარიღს — 9 მაისს — სიმბოლური მნიშვნელობა აქვს“, — განაცხადა კანონპროექტის ინიციატორმა, პარტიის „ჩვენი სახლი ისრაელია“ წარმომადგენელმა **ოდედ ფორერმა**.

„რია ნოვოსტი“ აზუსტებს, რომ ამ კანონით რეგულირდება სკოლებში დიდი სამამულო ომის ისტორიის, გამარჯვების თემის შესწავლის გაკვეთილების ოდენობა, გათვალისწინებულია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამარჯვების უკვდავმყოფი ძეგლების სამუშაოების დაფინანსება.

ამიერიდან ყოველ 9 მაისს ქნესეთში გაიმართება საზეიმო სხდომები და მოეწყობა საზეიმო მსვლელობები იერუსალიმის ქუჩებში.

# აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები ბომბავს «ისლამური სახელმწიფოს» «დედაქალაქ» რაკას



**აშშ-ის მეთაურობით მებრძოლი კოალიციის მასირებული საჰაერო რეიდების შედეგად 26 ივლისს ქალაქ რაკაში დაიღუპა 29 მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის 8 ბავშვი, — იუწყება სააგენტო „ფრანს-პრესი“ ლონდონში ბაზირებული არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა სირიის ობსერვატორიის“ მონაცემებზე დაყრდნობით.**

არაბებისა და ქურთების ალიანსის მიერ „ისლამური სახელმწიფოს“ „დედაქალაქ“ რაკაზე განხორციელებული შეტევის შედეგად ქალაქის უმეტესი რაიონიდან ტერორისტები განდევნეს, — ხაზს უსვამს „ფრანს-პრესი“.

2016 წლის ნოემბრიდან „სირიის დემოკრატიულმა ძალებმა“ აშშ-ის მხარდაჭერით ალყაში მოაქციეს „სახალიფოს დედაქალაქი“, ივლისის დასაწყისში კი შეტევაზე გადავიდნენ. ამერიკული სარდლობის მონაცემებით, ოპოზიციური ძალების სამხედრო ქვედანაყოფების რაკაში შესვლამდე ამ მსხვილ დასახლებულ პუნქტში „ისლამური სახელმწიფოს“ 3000-დან 4000-მდე „ბოევიკი“ იმყოფებოდა. დღევანდელი მონაცემებით, ტერორისტები რაკას პროვინციის მხოლოდ 10 პროცენტს აკონტროლებენ. არაბულ-ქურთულმა კოალიციამ „ხალიფატს“ წაართვა რაკას პროვინციის ორ მესამედზე მეტი. ამავე დროს სირიის აღნიშნული ოლქის რაიონების 22 პროცენტი დამასკოს სახელმწიფო ჯარების კონტროლს დაექვემდებარა.

# ტრამპმა ტრანსგენდერებს ამერიკის არმიაში სამსახური აუკრძალა



**ამის თაობაზე „ტვიტერში“ თვით ტრამპმა დაწერა.**

„ჩვენი შეიარაღებული ძალები მობილიზებული უნდა იყოს დამაჯერებელი და გამანადგურებელი გამარჯვებების მოსაპოვებლად. არ შეიძლება ვაიძულოთ ისინი, უზარმაზარი ფული დახარჯონ ტრანსგენდერების მომსახურებაზე და მოითმინონ მათ მიერ შეტანილი დესტაბილიზაცია“, — დააზუსტა მან.

2015 წლის ივლისში გავრცელებული ცნობით, პენტაგონმა შექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უნდა შეემოწმებინა, რა გავლენას მოახდენდა ტრანსგენდერების მიმართ დადგენილი წესები შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობაზე.

2010 წელს აშშ-ის კონგრესმა გააუქმა წესი „არ შეეკითხო, არ თქვა“, რომლის თანახმად, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის სამხედრო მოსამსახურეებს არ უნდა გაემხილათ თავიანთი სექსუალური მიდრეკილებები.

# პაკისტანელი ქალიშვილი სოფლის საბჭოს გადაწყვეტილებით გააუპატიურეს



**პაკისტანის ქალაქ მულტანში (პენჯაბის პროვინცია) დააკავეს 20-მდე კაცი იმიტომ, რომ მათ გასცეს ბრძანება 17 წლის ქალიშვილის გაუპატიურების შესახებ. ამას იუწყება გაზეთი Pakistan Dawn.**

„სოფლის საბჭომ დაადგინა, გაეუპატიურებინათ 17 წლის ქალიშვილი, იმიტომ, რომ მისმა ძმამ გააუპატიურა 12 წლის გოგონა“, — განუცხადა ჟურნალისტებს ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა. მან თქვა, რომ ივლისის დასაწყისში ადგილობრივ ხელისუფალთ მიმართა გაუპატიურებული გოგოს ძმამ და სთხოვა მათ, აღედგინათ ოჯახის ღირსება. ამ ახალგაზრდა კაცს დაავალეს სასჯელის განხორციელება საბჭოს წევრი კაცებისა და ქალიშვილის მშობლების თვალწინ.

2 ნოემბერს ცნობილი გახდა, რომ ასეთი დანაშაულის მსხვერპლმა, 44 წლის პაკისტანელმა ქალმა **მუხთარ მაიმ** (ნამდვილი სახელი **მუხთარან ბიბი**) მოდელის პროფესია აირჩია. მას შემდეგ, რაც მის ძმას ბრალად დასდეს მასტოის ტომის ქალიშვილზე ძალადობა, მას ღირსების შელახვის გამო გაუპატიურება მიუსაჯეს. ამ ტომის უხუცესთა გადაწყვეტილებით, მასტოელმა კაცებმა ჯერ ექვმიტანილი გააუპატიურეს, შემდეგ კი მისი უფროსი და — მუხთარან ბიბი.

# ლიტვა და ლატვია — ევროკავშირის რეკორდსმენები



**2016 წლის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის გადინება ევროკავშირის 10 ქვეყანაში აღინიშნა, — გვაუწყა ევროსტატმა.**

მოსახლეობის რაოდენობა ყველაზე შესამჩნევად იკლებს ლიტვასა (მინუს 1,4 პროცენტი) და ლატვიაში (მინუს 0,96 პროცენტი). ამ რეგრესის ერთ-ერთი მიზეზი მოკვდავობის დონის გადაჭარბებაა შობადობის დონეზე.

2016 წელს ლიტვაში დაიბადა 30,6 ათასი ადამიანი, გარდაიცვალა — 41,1 ათასი; ლატვიაში, შესაბამისად, — 22 ათასი და 28,6 ათასი. ლიტვაზე უმეტესი დონე მოკვდავობისა ევროსტატმა ბულგარეთში აღრიცხა — 15,1 სიკვდილის შემთხვევა მოსახლეობის ყოველ ათას მოქალაქეზე, 14,3 — ყოველ ათას მოსახლეზე ლიტვაში.

მოსახლეობის საერთო დანაკარგი ლიტვასა და ლატვიაში ბუნებრივ კლებაზე რამდენჯერმე მეტი აღმოჩნდა. ამის მიზეზია მოსახლეობის უცხოეთში გადინება. საერთო ჯამში, ლიტვამ ერთ წელიწადში 41 ათასი ადამიანი დაკარგა (ბუნებრივი კლება 10,5 ათასი), ლატვიამ კი — დაახლოებით 19 ათასი კაცი (6,6 ათასი). შედეგად ლიტვის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 2017 წლის 1 იანვრისთვის 2,848 მილიონამდე შემცირდა, ლატვიის — 1,95 მილიონამდე.

# აშშ-ში მოლდოვურ ოჯახს შვილები წაართვეს



**მოლდოვის მოქალაქეთა ეს ოჯახი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება.**

მოლდოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური იუწყება, რომ უწყებაში „ყურად იღეს ეს ინფორმაცია“: „ამჟამად მოლდოვის რესპუბლიკის საელჩო აშშ-ში ამყარებს კონტაქტს აღნიშნულ ოჯახთან, რათა გაერკვეს ამ საქმესთან დაკავშირებულ ყველა დეტალში. საელჩო ჩაერევა და გაუწყებთ განხორციელებული საქმიანობის შედეგებს“, — აღნიშნეს მოლდოვის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

სოცქსელებსა და მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მოლდოველთა ოჯახს, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს, ჩამოართვეს შვილები — სამი თვის ბიჭი და სამი წლის გოგონა. სამეურვეო ორგანოებმა მშობლებს ბრალი დასდეს ახალშობილისადმი „ბოროტ ქმედებაში“, მას შემდეგ, რაც ბავშვს თავში სისხლჩაქცევა აღმოუჩინეს.

დედამ განაცხადა, რომ მშობიარობა ნაადრევი ჰქონდა, თან ერთვოდა გართულებები, ბავშვმა 7 კვირა ინკუბატორში გაატარა და მილის დახმარებით სუნთქავდა. მშობლები თვლიან, რომ ექიმების მიერ დადგენილი სიმპტომები ამ გართულებების შედეგი შეიძლება იყოს.

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ძნელია, როცა სახელმძღვანელო დედააზრებს ფეხქვეშედამ მიწა გამოეცლება; ძნელია, როცა თქმასა და ქმნას შუა ხიდი ჩატყდება. აი მაგალითი ამისთანა ყოფისა, რომელმაც გამოიწვია ეს ჩვენი საუბარი და რომელიც ერთი მრავალთაგანია. კითხულობთ ჟურნალ-გაზეთებს და გიკვირთ – რაზედ შემოსწყრომია მწერლობა ლოღიკასაო? სად მიჰმალვია სახელმძღვანელო დედააზრი, რომ ესე არახუნებს უთავბოლოდაო? აი რაშია საქმე“.**

# წყევლაკრულვიანი საკითხავი

## სად ცილისწამება და სად გულშემატკივრობა? სად ღალატი და სად ერთგულება? სად ტყუილი და სად სიმართლე?..



ყალბისა და ნამდვილის გარჩევა, ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევა მიაჩნდა ილიას ქვეყნის სასიკეთო საქმედ, ამიტომ სწორედ ეს დაუსახა მიზნად გაზეთ „ივერიას“, რომლის გამოცემით ქართველი ერის ცხოვრებაში მართლაც ახალი ეტაპი დაიწყო: გაზეთი თამამად და მოურიდებლად შეუდგა სიმართლის წერას — მიმდინარე მოვლენების რეალურად და სწორად ასახვას, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მიუკერძოებლად შეფასებას...

1887 წლის 17 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წერილში „ყალბი და ნამდვილი“ საუბარია იმაზე, რომ პრესა ყოველდღიური ცხოვრების სარკე უნდა იყოს, მაგრამ ავტორი წუხს, რომ ხშირ შემთხვევაში ასე არ არის:

„სახელის გატეხა გინდათ ვისიმე, რამსიგრძეთაც გნებავთ, დაგრიხეთ ბაწარი ჭორებისა და იპოვით იმისთანა ჟურნალ-გაზეთს, რომელიც სიხარულით დაგითმობთ ადგილსა და თავს მოიწონებს კიდეც ლიბერალობითა. მაშ... ყველას ჰპენტავს და სწეწავს, ლიბერალობა არ არის, მა რა ეშმაკია!“

განა დღესაც ასე არ არის? თუ ვინმეს ჯავრის ამოყრა გინდათ, შეთხზეთ ერთი სამარცხვინო ამბავი თქვენს გამჯავრებელზე, მოაყარეთ „პილპილი ცილისწამებისა, მარილი ლაზათიანი გინებისა და გათავებულია საქმე“. სამწუხაროდ, დღესაც ბევრია ისეთი გაზეთი თუ სხვა საინფორმაციო საშუალება, რომელიც არა მხოლოდ სიხარულით მიიღებს ამისთანა „განძს“ , არამედ თავს შემოევლება მის ავტორს, ხელიდან რომ არ გაუშვას ეს შეთითხნილი ლანძღვა-გინება. მეორე უბედურება კი ის არის, რომ მკითხველმა ყური შეაჩვია მსგავს „უწმაწურს ქარაფშუტობას“.

ილიას დავესესხებით და ვიტყვით, რომ „ვაიც ამაშია და ვაგლახიც დღევანდელის დღისა“. საზოგადოებას თავგზა აქვს არეული, თითქოს ამჯერადაც „ადამიანის ჭკუას რაღაც გაუტყდა, ბუნებური მართულები მოეშალა“ და ამ გაწუკითხაობამ ლამის სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს ხალხი, რომელიც ერთს ხედავს და მეორე ესმის: ხედავს, როგორ იპარავენ პატიოსნების სახელით; აბეზღებენ და ცილს სწამებენ გულშემატკივრის სახელით; ერთმანეთს, საერთო საქმეს ღალატობენ ერთგულების სახელით; ცრუობენ სიმართლის სახელით... ადამიანის ღირსებაზე ლაპარაკობენ და თვალის დაუხამხამებლად შეუძლიათ მართალი კაცისთვის თავლაფის დასხმა...

სად ცილისწამება და სად გულშემატკივრობა? სად ღალატი და სად ერთგულება? სად ტყუილი და სად სიმართლე?..

აი დღეს ჩვენი წყევლაკრულვიანი საკითხავი.

# ყალბი და ნამდვილი

ლოღიკა თითქო ბაჟს რასმე ემალებაო, სადღაც გაექცა, სადღაც დაეკარგა ადამიანსა. ღრმად დაკვირვება არ არის საჭირო, კაცმა დაინახოს, რომ ადამიანის ჭკუას რაღაც გაუტყდა, ბუნებური მართულები მოეშალა, რაღაც სალტე ან მოჰშვებია, ან უფრო მეტად წასჭერია, რაღაც სოლი ამოვარდნია და ძირით თხემამდე თავი და ბოლო დაჰბნევია. **კაცს ეხლანდელ დროში ვერა გაუგია რა, ვერა გამოურკვევია რა. ხედვით ერთსა ჰხედავს, სმენით სულ სხვა ესმის. არის ერთი არეულობა.**

**იპარვენ პატიოსნების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად მპარაობა?**

**აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულმტკივნეულობა?**

**ჰღალატობენ საქმეს, ჰღალატობენ ერთმანერთსა ერთგულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ღალატი და სად ერთგულობა?**

**სხვის ნაკლს, სხვის უბედურობას თვის ღირსებად, თვის ბედნიერებად, თვის სიხარულად სთვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად სხვის ნაკლის და უბედურობის გამო სიხარული და ცეკვა და სად კაცთმოყვარეობა?**

**სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ტყუილი და სად სიმართლე?**

**კაცს სამარცხვინო ბოძზედ ტყუილ-უბრალოდ გასაკრავად არა ჰზოგავენ, არ ჰთაკილობენ, და იძახიან კი, — ადამიანის ღირსება, ადამიანობა ხელშეუხებელია, სათაყვანებელიაო, და გამკითხავი არავინ არის: სად ტყუილუბრალოდ ადამიანის თავზე ლაფის დასხმა და სად ხელშეუხებლობა ადამიანის ღირსებისა?**

ათასს ამისთანას ჩამოგითვლით, საცა თქმა საქმეს არ ებმის და საქმე თქმას არ ემსგავსება, არ ეთანხმება. ყველაფერი ეს ცარიელის სახელით გადის და სახრავს კი არავინ დაგიდევთ. ფიცი სწამთ და ბოლო კი არავის აკვირვებს, თქმა ერთია და ქმნა სხვა. ნუთუ **ამას არ ეთქმის, რომ ლოღიკა დაკარგულია, ხელიდამ წასულია, სადღაც ბარდებშია განაბული?...**

ეს ყოფა და ამბავი დიდი ჭირია. ამ ჭირს კაცთა კერძო ცხოვრების ერთმანერთობაში ადამიანი კიდევ როგორც იქმნებოდა, ვაითა და ვაგლახით აიტანდა, გაუძლვებოდა. ვიდრე ქვეყანაზე კაცია, ბოროტიც არის და ბოროტი ხომ იმითია მარტო სულდგმული, რომ თქმა ერთი აქვს და ქმნა სხვა. უამისოდ იგი ერთს დღესაც ვერ გაიჭაჭანებდა კაცთა შორის, ერთს დღესაც ვერ გააბამდა თავის სამაცდურო ბადესა კაცთა საჭერად. თუმცა ესეა, მაგრამ ეს ბოროტი, ეს ჭირი ასე თუ ისე ადვილად მოსანელებელია, ადვილად სახდელია, როცა შინაობაში, ერთმანერთობაში ცალკე კერძო კაცი მოგვივლენს ხოლმე.

**სულ სხვაა და დიდი და მეტისმეტი უბედურებაა, როცა ეს ბოროტი, ეს ჭირი გზას გაიხსნის, მოედანს მოიპოვებს იქ, სადაც თქმა და ქმნა ერთი უნდა იყოს, სადაც ჭეშმარიტება უნდა ჭეშმარიტობდეს, მართალი ჰმართლობდეს, კეთილი ჰკეთილობდეს და პატიოსნება ჰპატიოსნებდეს, სადაც ხმა ერისაა და მაშასადამე, ღვთისაცა.** ამისთანა „წმიდა წმიდათა“ ლიტერატურაა, საცა ჭკვათამყოფელი, უკეთესი, თავანკარა ნაწილი ერისა უნდა მეტყველებდეს აშკარად, უფერუმარილოდ, უტყუილოდ და უხვანჯოდ. ლიტერატურას სხვათა შორის ერთი შვილი ჰყავს, რომელიც დღეს ყველა სხვა შვილებზე უფრო გაძლიერებულია, უფრო გავლენიანია. ამ შვილს „ჟურნალ-გაზეთობას“ ეძახიან. ამ ჟურნალ-გაზეთობაზე, რომელიც სხვა არა არის რა გარდა ყოველდღიურის ცხოვრების სარკისა, ერი აჭდევს ხოლმე თავის ავკარგიანობასა დღითი დღემდე.

აი **სავაგლახო ის არის, როცა ზემოხსენებული ჭირი აქ, ამ ჟურნალ-გაზეთობაშიაც დაიბუდება,** როცა აქ თქმა და ქმნა ერთმანერთის განუყრელნი და-ძმანი არ არიან. მაგრამ რა თქმა და რა ქმნა! დღევანდელ ჟურნალ-გაზეთობას სხვა რა სჭირს კარგი, რომ ეგა სჭირდეს და თქმასა და ქმნას ერთმანერთს არ აშორებდეს და ერთმანერთს არ უპირისპირებდეს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემაძრწუნებელი ზნე, რომ დღეს ჟურნალ-გაზეთობაში არ დაბუდებულიყოს, ოღონდ, ავად თუ კარგად, ჟურნალ-გაზეთობასთან მოსათავსებელი იყოს და ასე თუ ისე მოსახმარებელი.

გამოცინცვლა რისამე გნებავთ ვისგანმე, იპოვით იმისთანა ჟურნალ-გაზეთს, რომელიც მზაა სამსახურისთვის. **სახელის გატეხა გინდათ ვისიმე, რამსიგრძეთაც გნებავთ, დაგრიხეთ ბაწარი ჭორებისა და იპოვით იმისთანა ჟურნალ-გაზეთს, რომელიც სიხარულით დაგითმობთ ადგილსა და თავს მოიწონებს კიდეც ლიბერალობითა.** მაშ... ყველას ჰპენტავს და სწეწავს, ლიბერალობა არ არის, მა რა ეშმაკია!... **ჯავრის ამოყრა გინდათ ვისიმე, შესთხზეთ ერთი სამარცხვინო ამბავი თქვენს გამჯავრებელზედ, მოაყარეთ პილპილი ცილისწამებისა, მარილი ლაზათიანის გინებისა და გათავებულია საქმე.** არიან იმისთანა გაზეთები, რომელნიც არამცთუ ხელაღპყრობით მიგიღებენ, როცა მიუტანთ ამისთანა განძსა დასაბეჭდად, არამედ თვით მოგნახვენ და თავს შემოგევლებიან, ოღონდ ხელიდამ არ წაუვიდეთ თქვენ მიერ შეთითხნილი ლანძღვა-გინება.

**ჭირთა-ჭირი ეს არის, რომ აღარც მკითხველებსა აქვთ ხალისი და კბილი უკეთესის კითხვისათვის. შეაჩვიეს ყური ამისთანა უწმაწურს ქარაფშუტობას და ცუღლუტობას და ყოველივე ჭკუის გასამრჯელო, გრძნობის ამამაღლებელი მოიძულეს, მოიწყინეს, თითქო სიტყვა ადამიანისა სამურველი იყოს, რომ მარტო ყური ჰფხანოს და ჭკუას, გონებას, სულსა და გულს არ მიეკაროს არასგზით. დღეს სიკეთეს თუ სიავეს მწერლობისას მარტო ამ საწყაოთიღა სწყვენ. ვაიც ამაშია და ვაგლახიც დღევანდელის დღისა.**

**ძნელია, როცა სახელმძღვანელო დედააზრებს ფეხქვეშედამ მიწა გამოეცლება; ძნელია, როცა თქმასა და ქმნას შუა ხიდი ჩატყდება. აი მაგალითი ამისთანა ყოფისა, რომელმაც გამოიწვია ეს ჩვენი საუბარი და რომელიც ერთი მრავალთაგანია. კითხულობთ ჟურნალ-გაზეთებს და გიკვირთ – რაზედ შემოსწყრომია მწერლობა ლოღიკასაო? სად მიჰმალვია სახელმძღვანელო დედააზრი, რომ ესე არახუნებს უთავბოლოდაო? აი რაშია საქმე.**

ერთი რუსის მწერალია, რომლის სახელიც ბევრისათვის უცნობია და, სწორედ რომ ვსთქვათ, არც კი დიდად საცნობელია. ამ მწერლის სახელი ა. გორშენევია. ამას ბევრი რაღაცები საწვრილმანო უწერია სხვადასხვა გაზეთებში და ამის ნაწერები აულია და პატრონის დაუკითხავად გადაუბეჭდია გაზეთს „Судебная Газета“-ს. გორშენევსაც აულია და უჩივლია სამართალში ამ გაზეთის რედაქტორზედ, ჩემი საკუთრება მიითვისაო და საზღაურად ფასი მოითხოვა, რაცა ჰღირს ჩემი ნაწერები, დამნაშავემ მომცესო. სამართალს შეუწყნარებია თხოვნა გორშენევისა და საზღაური დაუდვია „Судебная Газета“-ს რედაქტორისათვის გორშენევის სასარგებლოდ.

აქ, როგორც ხედავთ, არაფერი ნამუსისა და პატიოსნების წინააღმდეგი არა არის რა. კაცს, ცუდია თუ კარგი, თავისი ნაამაგარ-ნაშრომი ნაწერები აქვს; ეგ მისი კუთვნილებაა, მისი საკუთრებაა, მერე იმისთანა, რომელსაც დღეს რუსეთში მუქთად არავინ არავის არ უთმობს და, ცოტაა თუ ბევრი, თავისი ფასი აქვს. ეს საკუთრება მუქთად დაიჩემა მეორემ და პატრონმა ეს მუქთამჭამელობა არ დაუთმო და თავისი მოითხოვა. აქ არაფერი უკადრისობა არ შეეწამება პატრონსა. პირიქით, ჩვენა გვგონია, რომ პატრონმა ამ შემთხვევაში თვისი მოქალაქური მოვალეობა შეასრულა საზოგადოების წინაშე, რომლის დედაბურჯი ის არის, რომ ყველამ თავისი მოიხმაროს და თავისით ირჩინოს თავი და რომლის წინაშე ყველა დავალებულია, რომ ეს წესი ცხოვრებისა არავის არ დაარღვევინოს დაუსჯელად.

ხომ ესეა და ესე უნდა იყოს უფრო იმისთანა გაზეთისათვის, რომელსაც სახელად „სამართლის გაზეთი“ ჰქვიან და თვისის პროგრამით სამართალს და სამართლიანობას ემსახურება. მაგრამ **სახელი ერთია და სახრავი სხვა ეხლანდელს დროში;** როგორც ეტყობა, აქაო და გორშენევმა ეს საქმე დამაწიაო, გაზეთს აულია და ერთი ლაზათიანი, თქვენი მოწონებული ზღაპარი გაუპრტყელებია თავის ფურცლებზედ და ამ ზღაპარში საწყალი გორშენევი თავიდამ ფეხამდე ლაფში ამოუტანტლავს და სამარცხვინოდ და სასაცილოდ გაუხდია, თუმცა სახელი კი ნიშნობლივ არ უხსენებია.

ახლა რას იტყვით ამისთანა საქმეზედ, მკითხველო! როგორ გგონიათ: იმ „Судебная Газета“-მ რომ ერთს ნატეხ პურის ქურდობაში სამის დღის მშიერ-მწყურვალი გლახა-ღატაკი დაიჭიროს, ხომ ნაცარტუტას აადენს: ეს რა მოხდა, ჯვარს აცვით ქურდი, ჯვარს აცვით!.. აქ კი დღის ნათელზედ თვითონ არა მშიერ-მწყურვალმა ხელდახელ დაიჩემა სხვის ნაწვავ-ნადაგი, პატრონმა უსასყიდლოდ არ დაანება თვისი კუთვნილება და იმან კი აიღო და ბოდიშის მაგიერად ჯავრი ამოიყარა. რით? ლანძღვითა და თრევითა! ნუთუ დროთა ნიშანი არ არის ესეთი თელვა ყოველის ლოღიკისა, დედააზრისა, ყოველის ადამიანობისა, ყოველის მართებულობისა და უფლება-მოვალეობისა!..

ეხლაც არ დაგვეთანხმებით, რომ ლოღიკა საძებნელი და საპოვნელი გაუხდა ადამიანსა ცალკედ და მწერლობასა საერთოდ! **აბა, ეხლა იანგარიშეთ, რამდენი ამისთანა გაზეთია, რომელიც დედააზრობით ერთს გვეფიცება და საქმით კი სულ სხვასა საქმობს. არ შეიძლება, რომ ჩვენ თვითონ არ ვაქეზებდეთ ამისთანა მიმართულებას, თორემ დღეს-აქამომდე ამისთანა მწერლობას სული ათჯერ ამოეხუთებოდა, რადგანაც, როგორც ჭირიანს, შემოეფანტებოდნენ მკითხველები და მკითხველები იძლევიან მას, რითაც მწერლობაც ავად თუ კარგად იკვებება და სულდგმულობს. რაკი ესეა, ბოროტიც ამ მხრით არის გაძლიერებული და ამაშია დღის სავალალოც.**

**ილია ჭავჭავაძე,**
ტფილისი, 17 ოქტომბერი, 1887 წ.

**ილია მანსვეტაშვილი: „ნუ დავივიწყებთ, რომ ილიაც და ჩვენ, ყველა იმისი თანამოკალმენი, გაზრდილნი ვიყავით რუსეთის მწერლობაზე. ვინ იყვნენ მასწავლებელნი, ჩვენი ჭკუისა და გონების გამწვრთნელნი? — ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და რუსეთის მეცნიერნი; ვინ გვაძლევდა საკვებს გრძნობისას და გემოვნების გალვიძებისა და განვითარებისათვის? — პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და სხვანი. ჩვენ ვიყავით იმათი ღვიძლნი სულიერნი შვილნი. და განა დასაგმობი არ იქნებოდა ისეთი შვილი, რომელიც შეაგინებს, შეურაცხყოფს თავის დედას, იმ დედას, რომელმაც იგი თავისი ძუძუთი გამოზარდა? ჩვენ ამას ვერ ვიზამდით, რადგან, უმადურობა კი არა, უგუნურობაც იქნებოდა“.**

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მშვიდობისა და წინსვლის საწინდარი

**რუს და ქართველ ხალხთა მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს 60-იანელებს (თერგდალეულებსა და ხალხოსნებს), რომელთა უმრავლესობამ სწავლა-განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო და რუსეთის დემოკრატიულ იდეებს ეზიარა. თუმცა ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვა თერგდალეულები, ისევე, როგორც ა. ფურცელაძე, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის გაგებაში ერთსულოვანნი იყვნენ. ჩვენი სამოციანელები და ხალხოსნები მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შეუნელებელ ინტერესს იჩენდნენ რუსეთის მიმართ, რადგან მასთან იყო დაკავშირებული საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი. „რუსეთის საკითხი“ მათ აინტერესებდა არა განყენებულად, არამედ სამშობლოს ბედთან დაკავშირებით. ისინი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები, უპირველეს ყოვლისა, საქართველოზე ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ, საქართველოს ინტერესებიდან გამოდიოდნენ და ამ პოზიციებიდან განიხილავდნენ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებს.**

დიდძალი მასალა, რომელიც წარმოდგენილია თერგდალეულთა და ხალხოსანთა თხზულებებში, კერძო წერილებსა და ზეპირ გამოსვლებში სწორად და ღრმად აშუქებს ორი ქვეყნის კავშირ-ურთიერთობას ძველად და გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ.

„ოც საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო“, — ასე წერდა თერგდალეულთა აღიარებული ბელადი, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ილია ჭავჭავაძე და საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ **რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მტკიცდებოდა, მშვიდობისა და პროგრესის გადამწყვეტი ფაქტორი იყო.** მას წარმოუდგენლად მიაჩნდა თავისი სამშობლოს განვითარება რუსეთთან ძმური კავშირის გარეშე. ამ მხრივ გამოირჩევა სტატია „ასის წლის წინათ“ (1899 წ.), რომელშიც იგი მიმოიხილავს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, დაწვრილებით აღწერს, თუ როგორი საყოველთაო სიხარული გამოიწვია საქართველოში რუსეთის მხედრობის შემოსვლამ, როგორ საზეიმოდ მოირთო თბილისი იმ ისტორიული დღისათვის — 1799 წლის 26 ნოემბრისათვის. „ქალაქის ბანები მოიჭედა დიდითა და პატარითა, ქალითა და კაცითა, და მოუთმენლად ელოდებოდნენ ჯარსა, ვითარცა ქვეყნის მხსნელს, მშვიდობიანობისა და მოსვენების მომვლინებელსა. ბოლოს მოვიდა ჯარიცა... სიხარულის კიჟინა ხალხისა, ზარბაზნის სროლა, ზარების რეკა ერთს დიდს ყოფას და ამბავს წარმოადგენდა... მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია, საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე არ ენახა ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას“.

„ამ ღირსახსოვარი დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა... დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დაუდუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე. გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამაპაპათა მიწას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა, დაუდგა ახალი ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა...“ (ტ.. IV. გვ. 216-217).

სხვა წერილებში ი. ჭავჭავაძე სწორად აღნიშნავს, ქართველებს მტკიცედ სწამთ, რომ რუსეთი მოევლინა მათ მხსნელად და მფარველადო.

ანალოგიურ აზრს ხშირად გამოთქვამდნენ სხვა თერგდალეულნიც.

„ჩვენმა სამშობლომ, — წერდა **აკაკი წერეთელი** 1872 წელს, — მრავალი საუკუნის განმავლობაში მტრებთან ბრძოლის, სისხლის ღვრის, ტანჯვის და ბევრი უბედურების გამოცდის შემდეგ, თავის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, გადაწყვიტა თავისი ბედი მით, რომ მონახა სასურველი პატრონი, რომელსაც შეავედრა და მიანდო თავისი თავი. იმ ახალ პატრონს, ცხადია, იმ დროის საქართველოს სიკეთე ჰსურდა და მიტომაც მიიღო ის თავის მფარველობაში“.

**ა. წერეთელი უაღრესად დიდ მნიშვნელობას აძლევდა იმ ფაქტს, რომ რუსეთმა საქართველო დაღუპვას გადაარჩინა, ბოლო მოუღო ჩვენს მიწა-წყალზე დამპყრობთა ველურ თარეშს და მშვიდობა დაამკვიდრა.**

უნდა შევნიშნოთ, რომ აკაკი წერეთელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ხშირად ეხებოდა არა მარტო თავის პუბლიცისტურ წერილებში, არამედ მხატვრულ ქმნილებებშიც.

გავიხსენოთ, მაგალითად, მისი პოემა „თერთმეტი ენკენისთვე“ (1895). დიდი მგოსანი აგვიწერს ასი წლის წინათ მომხდარ კრწანისის ტრაგედიას, მოგვაგონებს უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ გმირთა სისხლით დაწერილ ანდერძს რუსეთთან კავშირის აუცილებლობის შესახებ.

**ნიკო ნიკოლაძის აზრით, საქართველო რუსეთთან კავშირში «უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებისაც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის»**

**„კავშირი ძმური და
მეგობრული...
და, ვინც იფიქროს
მისი გაწყვეტა,
იყოს წყეული, ხვთისგან
და კრული...
...ასე ჰფიქრობდნენ,
რომ გვიანდერძეს
მათი განზრახვა
სახელმძღვანელოდ,
და მათი ღირსი აღარ
ვიქნებით,
ეგ გრძნობა გულში რომ
გავინელოთ“.**

თვით აკაკის გულში ის გრძნობა არასოდეს განელებულა. პოეტი ხშირად ლაპარაკობდა რუსეთთან ძმური კავშირის აუცილებლობაზე.

„როცა ჩვენმა წინაპრებმა თქვენ, რუსები, მოგიწვიეს, — თქვა მან კ. ბალმონტის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე 1914 წელს, — მაშინ ჩვენ, შვილიშვილებს, გვიანდერძეს: არ დავივიწყოთ სტუმართმოყვარეობა, გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ერთი გზით“.

ჩვენს რევოლუციურ ხალხოსნებსაც სწამდათ, რომ „საქართველო მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან“, რომ „რუსეთის ცხოვრების კულტურული ზემოქმედება ჩვენსაზე მეტად დიდია და აუცილებელი“.

## „ორი რუსეთი“

**„გარეშე მტრებისაგან დაცვის გარდა, რომელიც იყო თავდაპირველი მიზეზი ჩვენი სამშობლოს რუსეთთან შეერთებისა,** — წერდა ა. წერეთელი, — **უკანასკნელის მოვალეობა მოითხოვდა, შესდგომოდა, აგრეთვე, ჩვენში მოქალაქეობისა და განათლების შემოტანას“.**

როგორ ასრულებდა რუსეთი ამ მოვალეობას? როგორ დამოკიდებულებას იჩენდა იგი საქართველოსადმი?

ეს იყო მეტად რთული საკითხი, რომელზეც ილია ჭავჭავაძე სამართლიანად მიუთითებდა:

**„რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამაპაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგა და შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითოოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან“** (ტ. V, გვ. 20).

საქმე ისაა, რომ რუსულ საზოგადოებაში შეხედულებათა სხვადასხვაობა იყო როგორც საქართველოზე, ისე სხვა ქვეყნებზე და თვით რუსეთზეც.

ჩვენი სამოციანელებისა და ხალხოსნების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი შესანიშნავად ერკვეოდნენ ამ რთულ საკითხებში. **მართალია, მათს ნაწერებში არსად გვხვდება გამოთქმა „ორი რუსეთი“, „ორი კულტურა“, მაგრამ მთელი მათი მოღვაწეობა და შემოქმედება იმაზე მეტყველებს, რომ ისინი მკვეთრად განასხვავებდნენ მეფის რუსეთსა და რუს ხალხს, რომელიც იბრძოდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხთა შორის თანასწორობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის დასამყარებლად.**

**„ერი,** — წერდა ილია, — **როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანისა და ჭკუათმყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება — დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა“** (ტ. VIII, გვ. 97).

ილია ჭავჭავაძე კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს, რომ ამ ჯანსაღ და კეთილშობილ აზრს ეროვნულ საკითხზე იზიარებს თვით „რუსეთის დაწინაურებული საზოგადოება“, რომ „ეს აზრი თანდათან ფეხს იდგამს და ფრთასა ჰშლის თითონ რუსეთშიაც. ამას გვიმტკიცებს თითონ რუსეთის ლიტერატურაცა“ (ტ. V, გვ. 81-83).

აქ ავტორი, ცხადია, პირველ რიგში რუს რევოლუციონერ დემოკრატებს გულისხმობს, მაგრამ საცენზურო პირობების გამო მათ არ ასახელებს. ილია თვითონვე მიუთითებდა: „ამ წერილს თირკმლები განგებ ამოვაცალეთ და შუა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა“ (ტ. V, გვ. 84).

თავის სამშობლოს აწმყოსა და მომავალს თერგდალეულები და ხალხოსნები ამ პროგრესულ-კულტურულ რუსეთს უკავშირებდნენ, მასში ხედავდნენ კეთილმოსურნე და კეთილშობილ ძალას და ამიტომ ყოველთვის მგზნებარე სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ლაპარაკობდნენ მასზე. ი. ჭავჭავაძის თქმით, „აქედან წარმომდგარი ღრმა მადლიერების გრძნობა წარმოადგენს იმ დაუშრეტელ წყაროს, რომელსაც შეუძლია რუსეთისადმი კეთილგრძნობათა ყლორტები გადააქციოს სიცოცხლის მშვენიერ ხედ, რომელიც ყველას და ყოველივეს გადააფარებს თავის გაშლილ რტოებს“.

**„დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის“, — წერდა ი. ჭავჭავაძე.**

იმავე აზრისაა **აკაკი წერეთელი**. მისი ღრმა რწმენით, საქართველო რუსეთთან შეკავშირებული უნდა იყოს „სიყვარულის ოქროს ჯაჭვით“. (შვიდტ., ტ. VI, გვ. 264).

**„ჩვენ დიდად ვაფასებთ,** — ამბობდა იგი, — **ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსთა შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელთაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“** (თხუთმეტტომ., ტ. XV, გვ. 562).

რაც შეეხება **ნიკო ნიკოლაძეს**, მან ჯერ კიდევ 1865 წელს გერცენის „კოლოკოლში“ აღნიშნა, რომ **საქართველო რუსეთთან კავშირში „უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებისაც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის“.**

უფრო მოგვიანებით ნ. ნიკოლაძემ წერილში „კავკასიის უნივერსიტეტი“ ჩინებულად ჩამოაყალიბა თავისი აზრი „ორი რუსეთის“ შესახებ. „რუსეთი, — წერდა იგი, — და ბნელი მოხელეები, რომლებიც მივარდნილ კუთხეებში მისი სახელით იმუქრებიან, ერთი და იგივე არაა, ოფიციალური რუსეთის უკან დგას ნამდვილი რუსეთი, რომელსაც წინსვლის უნარი შესწევს, რომელსაც შეუძლია განვითარების გზით ადამიანური წესები დაამყაროს“ (ტ. V, გვ. 483).

გამოჩენილმა ქართველმა პუბლიცისტმა, ჩერნიშევსკის თაყვანისმცემელმა და მოწაფემ, კარგად იცოდა, რომ „ჩვენი მამულის ბედი და მომავალი მტკიცედ გადასკვნილია რუსეთის მდგომარეობაზე“ და ღრმად სწამდა, რომ „ჩვენი მხარის დაწინაურება დამოკიდებულია მთელი რუსეთის პროგრესზე, ჩვენ გულწრფელად გაგვახარებს ამ პროგრესის მიერ ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი და მხურვალედ ვისურვებთ, რომ ჩვენი მხარეც მას შეუერთდეს“ (ტ. V, გვ. 278).

**„...ნუ დავივიწყებთ, — წერდა ი. მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში, — რომ ილიაც და ჩვენ, ყველა, იმისი თანამოკალმენი გაზრდილნი ვიყავით რუსეთის მწერლობაზე. ვინ იყვნენ მასწავლებელნი, ჩვენი ჭკუისა და გონების გამწვრთნელნი? ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და რუსეთის მეცნიერნი, ვინ გვაძლევდა საკვებს გრძნობისას და გემოვნების გაღვიძების და განვითარებისათვის? — პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და სხვანი. ჩვენ ვიყავით იმათი ღვიძლნი სულიერნი შვილნი. და განა დასაგმობი არ იქნებოდა ისეთი შვილი, რომელიც შეაგინებს, შეურაცხყოფს თავის დედას, იმ დედას, რომელმაც იგი თავისი ძუძუთი გამოზარდა? ჩვენ ამას ვერ ვიზამდით, რადგან უმადურობა კი არა, უგუნურობაც იქნებოდა“.**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**მომზადდა ვანო შადურის წიგნიდან „რევოლუციამდელი ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტელეეკრანებზე დღენიადაგ ყელყელაობენ უცხოელი ბიძების ძღვენნაჭამი პარტიების ლიდერები და მათი აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საეჭვო ზნეობისა და ინტელექტის მქონე „ექსპერტები“ და „პოლიტოლოგები“. დიდი ჭკუა არ სჭირდება იმის გამოცნობას, რომელი ქვეყნის ძღვენის ჭამით აქვთ გასიებული კისრები და გაბიჟვინებული ლოყები, თანაც, რა დიდ გულზე არიან?!**

# საქართველოს პატრიოტებო, შეერთდით!

## «ქართული მარშის» მიერ დაწყებული მოძრაობა უნდა გაგრძელდეს

**დიახ, ამ სტატიის სათაური მოწოდებაა, თანაც ძალიან ჰგავს ლოზუნგს, რომელმაც მე-20 საუკუნეში მსოფლიოს სოციალურად დაჩაგრულ მილიონობით ადამიანს იმედი ჩაუსახა, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური პროფილი.**

დღეს ეს მოწოდება მიმართულია არა ძალადობისაკენ, არა რევოლუციისაკენ, არამედ იმ ძალების გაერთიანებისკენ, რომლებსაც სამშობლო უყვართ და მზად არიან, დაიცვან იდეალები, რომლებმაც აქამდე მოგვიყვანა, რომლებიც საფუძვლად დაედო დიდ ქართულ კულტურას, ქართველს ქართველობა არ დააკარგვინა ისტორიულ ქარტეხილებში და ღირსეული ადგილი შეუნარჩუნა მრავალსახოვან და მრავალფეროვან საკაცობრიო ოჯახში. დღეს ეს მოწოდება უაღრესად აქტუალურია იმიტომ, რომ ანტიეროვნული, ანტიჰუმანური, უზნეო ძალები გაერთიანებული არიან პარტიებსა და ბლოკებში, ე.წ არასამთავრობო ორგანიზაციებში და სწორედ ამ ერთიანობაშია მათი ძალა.

კაცობრიობის საუბედუროდ, სატანისტური ძალები დასაბამიდან დღემდე ყველაზე დემაგოგიური, ნარკოტიკივით გამაბრუებელი ლოზუნგით მოდიან. ეს არის პიროვნების სრული თავისუფლებისკენ მოწოდება, რაც ყველა რევოლუციის დროშაზე ეწერა ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში.

დიდმა მოაზროვნემ, ჩვენი მედასავლეთეებისგან განსხვავებით, ნამდვილმა ევროპელმა და ევროპული აზროვნების უბადლო მცოდნემ **ჟან პოლ სარტმა** ადამიანს „თავისუფლებით დაწყევლილი“ უწოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც კი სრულ თავისუფლებას მოიპოვებს ადამიანი, უკვე აღარ არის სოციალური ფენომენი და მას, როგორც ბიოლოგიურ არსებას, მომავალი არ აქვს.

აი აქეთ ექაჩებიან ანტიადამიანური ძალები კაცობრიობას. კარამაზოვების უმცროსი ძმისა არ იყოს, „ღმერთი არ არის?! მაშასადამე, ყველაფერი დასაშვებია!“ ღმერთი აქ ზნეობის სიმბოლოა. ჰოდა, თუ ყველაფერი დასაშვებია, მაშინ გავაკეთოთ ის, რაც ყველაზე სასიამოვნოა.

აი ამ იდეოლოგიით აბრუებენ ხალხს კაცობრიობის მტრები. ამიტომაა, ასეთი აღტკინებით რომ მოითხოვენ ნარკოტიკების მოხმარებისა და სქესობრივი ალვირახსნილობის დაკანონებას. მალე კანიბალიზმის დაკანონების მოთხოვნითაც გამოვლენ. რა, ცოტაა ასეთი შემთხვევა?! განა ამ მოთხოვნას მხარდამჭერები და დამცველები არ გამოუჩნდებიან არასამთავროებებისა თუ ე. წ. სახალხო დამცველების (ომბუდსმენების) სახით, რომელთა ნაკლებობას არც ჩვენში და არც სხვაგან არავინ უჩივის?!

**საზოგადოების ერთი ნაწილის სრული გამოთაყვანება აშკარაა. ეს გამოთაყვანება პროგრესირებს, განსაკუთრებით — საზოგადოების უმწიფარ ნაწილში, რომელიც ბრმად მისდევს ლიბერასტების მოწოდებებს, ამიტომ დროა, ვიკივლოთ: სამშობლო საფრთხეშია!**

ერთი კაცის, ანუ ცალ-ცალკე კივილს გაბრუებული საზოგადოება ვერ გაიგონებს, ხმამაღალი შეძახილია საჭირო. ხოლო ერთხმად შეძახება რომ შევძლოთ, პატრიოტული ძალების გაერთიანებაა საჭირო.

გულგატეხილია ხალხი, ხვალინდელი დღისა და ეროვნული შეგნების გამოღვიძებისა აღარ სჯერა. ხშირად მომისმენია გულისტკივილით ამონაკვნესი: აღარაფერი გვეშველება, საქართველო გაყიდულია, ხვალ-ზეგ მკვიდრი მოსახლეობა უცირესობა იქნება სამშობლოში, მკბენარებივით მომრავლებული ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების — ასო-ების გამო.

ასეთი განწყობილება გასაკვირი არ არის. ჩვენს ტელეეკრანებზე დღენიადაგ ყელყელაობენ უცხოელი ბიძების ძღვენნაჭამი პარტიების ლიდერები და მათი აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საეჭვო ზნეობისა და ინტელექტის მქონე „ექსპერტები“ და „პოლიტოლოგები“. დიდი ჭკუა არ სჭირდება იმის გამოცნობას, რომელი ქვეყნის ძღვენის ჭამით აქვთ გასიებული კისრები და გაბიჟვინებული ლოყები; თანაც, რა დიდ გულზე არიან?!

იქნებიან, რატომაც არა?! კოაბიტაციის ხუთწლიანმა სათბურმა სამარისთვის გამზადებული ნაცები და მათი ღვიძლი ძმები ფერზე მოიყვანა და... **„არა სჩანს ხელის შამძლევი, მტრის ამამყრელი ჯავრისა“,** — როგორც ჩივის ვაჟას პოემის ერთი გულდათუთქული პერსონაჟი.

ისეთი შთაბეჭდილება ექმნება ხალხს, უბედურ ტელემაყურებელს, რომ ამ ქვეყნის დაქცევა-გადაშენების მოსურნენი ბევრნი არიან. არადა, ერთი და იგივე პერსონები ჩანან ტელეეკრანზე, მაგრად დაქოქილები და უცხოეთში „ტრენინგგავლილები“, ამიტომ ე. წ. ტელედებატებში ხელისუფლების პოზიციის დამცველებს დიდი ანგარიშით უგებენ ხოლმე ეს ნაძირალა ოპოზიციონერები. ხელისუფლება მამალი ნაცების წინააღმდეგ დებატებში მძინარა და დილეტანტ დეპუტატებს გზავნის და არა მათ, ვისაც ძალა შესწევს, თავზე გადაახიონ უნამუსო ოპოზიციას მათივე შეთითხნილი არგუმენტები.

ამას წინათ „რუსთავი 2“-ის ეთერში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ყველასთვის კარგად ცნობილი ტელეწამყვანი, „ნაცმოძრაობის“ აქტიური ადვოკატი **ეკა კვესიტაძე** (რომელსაც მოქალაქეობრივ პოზიციას ვერ მოვუწონებ, თორემ განათლება არ აკლია) და პარლამენტის დეპუტატი, უმრავლესობის წევრი, როგორც ამბობენ, რეჟისორი **ნუკრი ქანთარია.** წინა მოწვევის პარლამენტში ის ჩემი უბნის დეპუტატი იყო და აქტიურად ვუჭერდი მხარს, ახლა სხვა უბანში აურჩევიათ (ჩვენს უბანს ხომ დიდად „დაამახსოვრა“ თავი?!). **ეს ჩვენი, ასე ვთქვათ, რეჟისორი ისეთ დღეში ჩააგდო ეკა კვესიტაძემ, რომ 2012-ში მისთვის გამოცხადებული მხარდაჭერისთვის სირცხვილით დავიწვი.** რა ჰკითხა კვესიტაძემ ამ ჩვენს ვაჟბატონს? რა და, კონსტიტუციის პროექტში რომ ჩაწერეთ, ეროვნული ღირებულებები სახელმწიფომ უნდა დაიცვასო, ერთი მაინც დამისახელეთ, რომლის დაცვასაც სახელმწიფო იკისრებსო. დეპუტატმა პასუხად ისეთი რალაცები იბჟუტურა, ეკა კვესიტაძე სიცილისგან ჩაბჟირდა. მიხვდა, რომ ჩვენს ვაჟბატონს **ეროვნულ** ღირებულებებზე ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა...




**რა, გაწყდა განათლებული ადამიანი საქართველოში? პოლიტოლოგიის ექსპერტობის ეტალონი მართლა სოსო ცისკარიშვილია? განათლების — ზღაპართმმუსვრელი ალექსანდრე ჯეჯელავა? ეკონომიკის — კაკოია გოგიჩაიშვილი? სამხედრო საქმის — ვინმე სესიაშვილი? კულტურისა და ლიტერატურის — ლაშა ბაქრაძე და ლაშა ბუღაძე? მართლა ისე გაგვიჭირდა, რომ ქვეყანაში კატებს ვაყეფებთ?**

**რა, გაწყდა განათლებული ადამიანი საქართველოში? პოლიტოლოგიის ექსპერტობის ეტალონი მართლა სოსო ცისკარიშვილია? განათლების — ზღაპართმმუსვრელი ალექსანდრე ჯეჯელავა? ეკონომიკის — კაკოია გოგიჩაიშვილი? სამხედრო საქმის — ვინმე სესიაშვილი? კულტურისა და ლიტერატურის — ლაშა ბაქრაძე და ლაშა ბუღაძე? მართლა ისე გაგვიჭირდა, რომ ქვეყანაში კატებს ვაყეფებთ?**

არა და არა!

იმ ჩვენი „კეთილისმყოფელი“ უცხოელების ძღვენით ავსებული ქართული ტელევიზიები სათოფეზე არ იკარებენ ბრწყინვალე ექსპერტ-სპეციალისტებს, რომლებიც საკმაოდ ბევრია ნებისმიერ დარგში — პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურასა და ხელოვნებაში, ლიტერატურასა და ისტორიაში, განათლებასა და სამხედრო საქმეში.

ვინმეს უნახავს ქართულ ტელესივრცეში ალექსანდრე ჭაჭია, იაკობ ლეჟავა ან ლუკა ნემსაძე? სირცხვილი არ არის, ლიტერატურული პროცესების შეფასებას ლაშა ბუღაძეს სთხოვდე, ისტორიულის – ლაშა ბაქრაძეს და ამ დროს ჯანმრთელები იყვნენ თამაზ წივწივაძე და როინ მეტრეველი?

სირცხვილია!

გამიზნულად და უნამუსოდ ატყუებენ ხალხს, განსაკუთრებით უმწიფარ ახალგაზრდებს, თითქოს ქართველი ხალხის აზრსა და განწყობას **თათია დოლიძისნაირი** „მაგრად წარმატებული“ ე.წ პოლიტიკოსები გამოხატავენ. ქართველი ერის აზრსა და განწყობას, უცხოური ძღვენიჭამია მანქურთები კი არა, ის ქართველი პუბლიცისტები გამოხატავენ, რომლებიც საკმაოდ ბევრნი არიან მოუსყიდველ ჟურნალ-გაზეთებში. გული მწყდება, რომ შესანიშნავი პუბლიცისტების — **დავით მხეიძის, გია გაბრიჭიძის, ბაკურ სვანიძის, ალეკო ასლანიშვილის, იზა თამაზაშვილის, გურამ წიკლაურის, ნანა დევდარიანის, გრიშა ონიანისა** და სხვათა პატრიოტული წერილები მკითხველთა ვიწრო წრისთვის არის ცნობილი, ხოლო უცხოური გრანტების (ძღვენის) ჭამით გამაძღარი იდიოტები მილიონებს ელაპარაკებიან ტელეეკრანიდან. ის კი არა, ეჭვი მაქვს, თვით ჩვენი ბრწყინვალე პუბლიცისტების უმრავლესობა ერთმანეთის ნაღვაწსაც არ იცნობს. ცალცალკე არიან და იმიტომ. მათ საერთო სტრატეგია და ტაქტიკა არ აერთიანებთ. ამიტომაა, რომ მათი ხმამაღალი შეძახილი არავის ესმის. „ძალა ერთობაშია!“’ — ამ ქართული ანდაზის სიბრძნე ქართველებმა ვერ გავითავისეთ, წესიერმა ქართველებმა, თორემ უწესოები და ბოროტმოქმედები აუცილებლად ერთიანდებიან და ათკაციანი ბანდები შიშის ზარს სცემენ ასი ათასებს. ტყუილად გვგონია, რომ სიკეთე და ჭეშმარიტება სხვათა მხარდაჭერის გარეშეც გაიმარჯვებს. „Один на поле не войн!“ — ზუსტად აქვთ ნათქვამი რუსებს, ამიტომ მოიგეს მათ ყველა ომი. იქნებ ჩვენც ვირწმუნოთ ეს. ამ სიბრძნის დადასტურება იყო რამდენიმე დღის წინათ გამოვლენილი ერთიანობის ბრწყინვალე მაგალითი — „ქართული მარში“.

ერთიანობა დაინახა და ერთხმად შეძახილი გაიგონა ხელისუფლებამ, მტერმაც და მოყვარემაც, შესაბამისი რეაქციაც გამოავლინეს: მოყვრებმა — მხარდაჭერა, მტრებმა და მტრის „შნირებმა“ — პანიკა.

მეშინია, რომ 14 ივლისის პატრიოტული განწყობა არ გაანელოს და მიანავლოს პერმანენტულმა შემოტევამ ძღვენიჭამია ტელევიზიებისა, რომლებმაც „ქართული მარში“ „მჟავე ნაციონალიზმად“ მონათლეს.

ამიტომ აუცილებელია 14 ივლისს გამოვლენილი ქართველთა ერთიანობა ორგანიზაციულად გაფორმდეს. ამ აქციის ორგანიზატორებს, ალბათ, გააზრებული აქვთ საფრთხე, რომელიც მყისიერ აღტკინებას მოსდევს ხოლმე ჩვენში. მოსდევს კი ის, რომ უცხო ძალების მიერ გულუხვად დაფინანსებული ერის მოღალატეთა ორგანიზებული ბანდები ყოველთვის გვიტევდნენ იქ და მაშინ, სადაც და როცა გვიჭირდა.

ასე იყო ამჯერადაც. აქციის მეორე დღეს „რუსთავი 2“-მა სცადა 14 ივლისის აქციის დისკრედიტაცია, მაგრამ კოვზი ნაგავში (უკაცრავად, ნაცარში) ჩაუვარდა: „რუსთავი 2“-ის ეთერში მიწვეულმა ერთმა კაცმა, **ირაკლი კაკაბაძემ**, ჯაგარაშლილ გუნდს ენა ჩააგდებინა მუცელში. ირაკლი კაკაბაძემ, რომელსაც არც განათლება დაეწუნება, არც აშშ-ში ცხოვრების გამოცდილება და თანაც თავგადაკლული ნეოლიბერალი **ნინია კაკაბაძის** ალალი ძმაა, რუსთავიორელებს გულდასმით მოფიქრებული ანტიქართული სცენარი თავზე გადაახია. „ქართულმა მარშმა“ ელეთმელეთი დაჰმართა ჩვენს ლიბერასტებს, რომლებიც, ვიმეორებ, მტკიცე ფიცით არიან გაერთიანებულნი ძღვენიჭამია ორგანიზაციებში — პარტიებსა და ასო-ებში. ეს კარგად გამოჩნდა მათ გაწიწმატებულ-გაწწირულ ღნავილსა და სასაცილო არგუმენტებში: საქართველოში არალეგალურად მცხოვრები უცხოელებისა და ნაცების მიერ დატოვებული მოღალატური საიმიგრაციო პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა რუსეთის მიერ ინსპირირებული აქცია იყოო. არადა, აშშ-ისა და ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში რომ იმართება ასეთი მარშები (ჩვენსავით მშვიდობიანი კი არა, ჰამბურგში რომ გაიმართა ისეთი!), თვით აშშ-ის პრეზიდენტი **ტრამპი**, თურქეთის პრეზიდენტი **ერდოღანი**, უნგრეთის პრემიერი **ორბანი** და სხვები რადიკალური განცხადებებით რომ გამოდიან მიგრანტების მოძალების წინააღმდეგ, ესეც რუსეთის მიერ არის დაგეგმილ-განხორციელებული?

რა ყოფილა ეს რუსეთი, ვეჟო?!

„ქართული მარშის“ მიერ დაწყებული მოძრაობა უნდა გაგრძელდეს. მისი ორგანიზატორები მამაცი და გულანთებული პატრიოტები არიან და სწორედ მათნაირების მხარდასაჭერად, პატრიოტებო საქართველოსი, შეერთდით!

**ზურაბ ცუცქირიძე**

**ქერის თესლი კონკრეტული ზონისთვის რეკომენდებული ჯიშის უნდა იყოს და გათვალისწინებულ კონდიციას პასუხობდეს. უნდა დაითესოს მხოლოდ სერტიფიცირებული თესლი. სათესლედ გამოიყენება მსხვილი მარცვალი. სათესლე მასალას ჯიშური სიწმინდე უნდა ჰქონდეს 99 %, აღმოცენების უნარი — 95 %, მაღალი სასოფლო სამეურნეო ვარგისიანობა. ასეთი თესლი მაღალ მოსავალს გვაძლევს.**

**ფერმერის სკოლა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# ქერის სელექცია და მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №28 (404)

**ქერის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია ითვალისწინებს ჯიშის პოტენციური შესაძლებლობის მაქსიმალურ რეალიზაციას წარმოებაში. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ქერის აგროტექნოლოგიის ყველა ფაქტორი, წინამორბედის შერჩევით დაწყებული და მოსავლის აღებით დამთავრებული, სრულდება დროულად და მაღალხარისხიანად. ერთი რომელიმე ფაქტორის მთლიანად ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე.**

საშემოდგომო ქერი შეიძლება დაითესოს სხვადასხვა წინამორბედის შემდეგ. საწარმოო პირობებში იგი უფრო ხშირად სიმინდის, მზესუმზირისა და სამარცვლე პარკოსნების შემდეგ ითესება. საშემოდგომო ქერი უფრო ადრე ათავისუფლებს ფართობს და მის შემდეგ შეიძლება ისეთი კულტურების მეორე მოსავლის მიღება, როგორიცაა: სიმინდი, სუდანურა, წიწიბურა, ლობიო და სხვ. მოსავლიანობით საშემოდგომო ქერი სჯობს საგაზაფხულოს.

## ნიადაგის დამუშავება

საშემოდგომო ქერისთვის ნიადაგის დამუშავება იწყება ნაწვერალის აჩეჩვით, რომელსაც უნდა მოჰყვეს ხვნა სრულ სიღრმეზე (25-27სმ.) ზედ მიყოლებული ფარცხვით გარდი-გარდმო მიმართულებით. თესვის წინ ტარდება კულტივაცია ჩათესვის სიღრმეზე. თესვამდე ნიადაგი უნდა დამუშავდეს არანაკლებ 15-20 დღით ადრე.

თავთავიანების ნაწვერალი უნდა დამუშავდეს ბრტყელმჭრელი ღრმად გამაფხვიერებლით 22–25 სმ სიღრმეზე, ხოლო თესვამდე — ბრტყელმჭრელი კუტლივატორით 8-10 სმ-ზე. თესვის წინ ტარდება ფარცხვა.

**ნასიმინდარ და ნამზესუმზირალ მინდორში ჯერ უნდა ჩატარდეს სიმინდისა და მზესუმზირის ღეროების დაქუცმაცება დისკოებიანი ფარცხით, ხოლო შემდეგ დამუშავდეს ღრმად გამაფხვიერებლით 22-25 სმ სიღრმეზე. თესვის წინ ტარდება ფარცხვა. ასეთივე წესით უნდა დამუშავდეს სამარცვლე პარკოსანი კულტურებით (ლობიო, სოიო და მწვანე საკვებად ან თივად ნათესი ერთწლოვანი მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურებით) დაკავებული მინდორი.**

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე მრავალწლოვანი ბალახების კორდის მოხვნა რეკომენდებულია 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე წინმხვნელიანი გუთნით 25-27 სმ სიღრმეზე. ურწყავ ადგილებში კორდი უნდა მოიხნას ბალახნარის პირველი გამოჩენისთანავე. კორდის თესვისწინა დამუშავება, ნასიმინდარის მსგავსად, უნდა ჩატარდეს მხოლოდ მძიმე დისკოებიანი ფარცხით. საგაზაფხულო ქერის დასათესად მზრალი უნდა დაიფარცხოს ხნულის გარდიგარდმო.

წყლისმიერი ეროზიის ზონებში ხვნა, ხნულის დამუშავება, თესვა და ნათესის მოვლის სამუშაოები ტარდება ფერდობის გარდიგარდმო მიმართულებით. 3-44 გრადუსი დახრილობის ფერდობებზე ნიადაგის დასაცავად რეკომენდებულია განივი კონტურული დამუშავება. 5-გრადუსიანი დახრილობის ფერდობზე უფრო ეფექტიანია, ღრმად ხვნასთან ერთად, ბაზოების გაკეთება გუთნის ბოლო ტანზე დაყენებული დაგრძელებული თათით, რომელიც ხნულის ზედაპირზე ყოველი 150 სმ-ის შემდეგ წარმოქმნის შემაღლებულ ბაზოს.

**ქარისმიერი ეროზიის ზონებში სარწყავ მიწებზე მრავალწლოვანი ბალახების კორდი უნდა დამუშავდეს ბელტის გადაუბრუნებლად ბრტყელმჭრელი კულტივატორით 10-12 სმ სიღრმეზე, ზედაპირზე ნაწვერალის შენარჩუნებით, აგვისტოს მესამე დეკადიდან სექტემბრის მეორე დეკადამდე. 8-10 დღის შემდეგ დამუშავება ტარდება ბრტყელმჭრელი ღრმად გამაფხვიერებელით 25-27 სმ სიღრმეზე. თესვის წინ ტარდება ფარცხვა. ურწყავ მიწებზე კორდი პირველი გათიბვისთანავე უნდა დამუშავდეს ბრტყელმჭრელი კულტივატორით 10-12 სმ სიღრმეზე, გაფხვიერება ხდება 25-27 სმ სიღრმეზე ღრმადგამაფხვიერებლით.** თესვის წინ ტარდება ფარცხვა.

## თესლის მომზადება და თესვა

ფესვის სიდამპლისა და სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ მნიშვნელოვანია თესლის თესვისწინა დამუშავება.

თესლი უნდა იყოს კონკრეტული ზონისთვის რეკომენდებული ჯიშის და პასუხობდეს გათვალისწინებულ კონდიციას. უნდა დაითესოს მხოლოდ სერტიფიცირებული თესლი. სათესლედ გამოყენებული უნდა იყოს მსხვილი მარცვალი. სათესლე მასალას ჯიშური სიწმინდე უნდა ჰქონდეს 99 %, აღმოცენების უნარი — 95 %, მაღალი სასოფლო სამეურნეო ვარგისიანობა. ასეთი თესლი მაღალ მოსავალს გვაძლევს.

დათესვამდე რეკომენდებულია თესლის გაწმენდა, დახარისხება და ფიტოექსპერტიზა, ნიადაგის გამოკვლევა მავთულა ჭიების, მღრღნელი ხვატარების რაოდენობის დასადგენად. 1 მ2-ზე 5-8-ზე მეტი ცრუ მავთულა და მავთულა ჭიების აღმოჩენისას ნიადაგი უნდა დამუშავდეს გრანულირებული პესტიციდებით.



**საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიხედვით საშემოდგომო ქერის თესვის ნორმები განსხვავებულია: გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონებში თესვის ნორმაა 4,5-5,0 მილიონი მარცვალი ჰექტარზე (წონითი რაოდენობით 220-240 კგ/ჰა); დედოფლისწყაროს, სიღნაღის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, გორის, ქარელის, ხაშურის რაიონებში — 5,0-5,5; წალკა, ახალქალაქის რაიონებში — 6,0-6.5; დმანისის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, ასპინძის რაიონებში — 5.0-5,5; თეთრიწყაროს, თიანეთის, დუშეთის, სამაჩაბლოს რაიონებში — 5,5-6,0 ; იმერეთში — 5,0-5,5 მილიონი მარცვალი ჰექტარზე**

ითესება შემოდგომაზე, სექტემბერ-ოქტომბერში, ასევე, ადრე გაზაფხულზე. როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო ქერი ითესება მწკრივად. არსებობს მწკრივად თესვის რამდენიმე წესი:

**ა.** ჩვეულებრივი მწკრივი — მწკრივთაშორისი მანძილი 15 სმ;

**ბ.** ვიწრო მწკრივი — მწკრივთაშორისი მანძილი 7,5 სმ;

**გ.** ჯვარედინი დათესვა. ქარისმიერი ეროზიის ზონებში რეკომენდებულია ვიწრო მწკრივად თესვა.

საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიხედვით, საშემოდგომო ქერის თესვის ნორმები განსხვავებულია: გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონებში თესვის ნორმაა 4,5-5,0 მილიონი მარცვალი ჰექტარზე (წონითი რაოდენობით 220-240 კგ/ჰა); დედოფლისწყაროს, სიღნაღის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, გორის, ქარელის, ხაშურის რაიონებში — 5,0-5,5; წალკა, ახალქალაქის რაიონებში — 6,0-6.5; დმანისის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, ასპინძის რაიონებში — 5.0-5,5; თეთრიწყაროს, თიანეთის, დუშეთის, სამაჩაბლოს რაიონებში– 5,5-6,0; იმერეთში — 5,0-5,5 მილიონი მარცვალი ჰექტარზე.

ქერის თესლის ჩათესვის სიღრმე ნიადაგის კონკრეტულ მდგომარეობაზე დამოკიდებულებით მერყეობს 4-6 სმ-ის ფარგლებში. ქარისმიერი ეროზიის ზონაში თესვა წარმოებს 1-2 სმ-ით უფრო ღრმად. თესვა უფრო ღრმად წარმოებს, ასევე, მსუბუქ და მშრალ ნიადაგებში.

## ნათესების მოვლა

თესვის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნათესის მოვლას.

მნიშვნელოვანია ნათესების დაცვა სხვადახვა სახის სარეველა მცენარეებისაგან, მათ შორის არის წიწმატურა, ყანის ჭლექი, მინდვრის ღიჭა, ხვართქლა, შალაფა, ყანის ბირკა, თეთრი ნარი, შვრიუკა, ნაცარქათამა, ღვარძლი, მატრობელა, ველური კანაფი, ქუთქუთა, ძურწა და სხვ.

ჰერბიციდების შესხურება ხდება მცენარის ბარტყობის ფაზაში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა 12-150 C-ს მიაღწევს. ჰერბიციდების ხსნარის ხარჯვის ნორმა მიწისზედა შემასხურებლით შესხურებისას შეადგენს 200-250-350-450 ლ/ჰა;

მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს შემოდგომაზე. გამოიყენება შხამით დამუშავებული მისატყუებელი მასალა: თუთიის ფოსფიდი.

თუთიის ფოსფიდის შემცველობა მისატყუებელ მასალაში 2,5-5%-ია, შეტანა ხდება ბადის მეთოდით ყოველ 5-10 მეტრში, იყენებენ სპეციალურ გრძელტარიან კოვზს ან გამფანტველებს, აქტიურ სოროში შეიტანენ 5-10 გრამ მზა მისატყუებელს. ასევე შეიძლება გამოვიყენოთ პრეპარატი შტორმი 0,7-1,5 კგ/ჰა.

## განოყიერება

ქერის მოსავლიანობაზე დიდ გავლენას ახდენს სასუქების გამოყენება. ძირითად სასუქად ითვლება ნაკელი, რომელიც შეიტანება ხვნის წინ საშუალოდ 20-25 ტონა/ჰა-ზე. ზოგჯერ ნაკელი შეაქვთ ქერის დათესვის წინ.

დადგენილია, რომ მინერალური სასუქები ქერის მარცვლის მოსავალს მნიშვნელოვნად ზრდის. ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების დოზების განსაზღვრისას საჭიროა ნიადაგში აღნიშნული ელემენტების შესათვისებელი ფორმების არსებული რაოდენობის გათვალისწინება. აზოტოვანი სასუქების დოზა უნდა დადგინდეს წინამორბედი კულტურისა და ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. ძირითადი საკვები ელემენტების საშუალო დოზები შემდეგ ფარგლებში მერყეობს: აზოტი — 90-120-150 კგ/ჰა-ზე; ფოსფორი — 90 -120-130 კგ/ჰა-ზე; კალიუმი — 60-90 კგ/ჰა-ზე;

ურწყავ, მშრალ, გვალვიან და ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილ მიწებზე უკეთეს შედეგს იძლევა სამივე ელემენტის მთლიანი დოზის შეტანა ხვნის წინ ან ნიადაგის თესვისწინა დამუშავების დროს.

სარწყავით უზრუნველყოფის პირობებში მიზანშეწონილია ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების მთლიანი დოზის და აზოტიანი სასუქის დოზის 1/3-ის ხვნის ან თესვის წინ შეტანა, ხოლო 2/3-ის გამოკვებაში შეტანა აღერების დაწყებამდე.

ნათესის სავეგეტაციო მორწყვა უნდა ჩატარდეს მაშინ, როცა ნიადაგში ტენი ზღვრული ტევადობის 70-80%-ზე დაბლა დაიწევს. მორწყვა ტარდება მიგდებით, გაჟონვით ან დაწვიმებით მოთხოვნების მიხედვით — მარტის მესამე დეკადიდან მაისის ბოლომდე.

მოსავლის აღების პერიოდი ემთხვევა ჰაერის მაღალ ტემპერატურას. მოსავალი რომ არ დაიკარგოს, აღება უნდა ჩატარდეს კომბაინით, სრული სიმწიფის დასაწყისში. მარცვლის ტენიანობა უნდა იყოს 16-18 %. აღების ვადებისგან დამოუკიდებლად ქერი აღებული უნდა იქნეს 9-10 დღის განმავლობაში.

**ოთარ ლიპარტელიანი,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**
**ზეინაბ სარალიძე,**
**გოჩა წერეთელი,**
**სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები**



# ვულოცავთ დაბადების დღეს!

**საქართველოში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“ ნასწავლი „ფუყე თავთავებისგან“ მაღალი ზნეობა და თავმდაბლობა გამოარჩევს.**



იაკობ გოგებაშვილი, ქართული პედაგოგიკის კორიფე, შემთხვევით არ გვიხსენებია: ის, ვისაც დაბადების დღეს ვულოცავთ, ქალბატონი **ნათელა ვასაძე**, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე, უწინარეს ყოვლისა, ქართული პედაგოგიკური მეცნიერების ღვაწლმოსილი წარმომადგენელია.

წლების განმავლობაში იყო თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, მუშაობდა საქართველოს განათლების მინისტრად, არჩეული იყო საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილ წევრად და პრეზიდენტად, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარედ; რუსეთის განათლების აკადემიის ნამდვილ წევრად; არის პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე.

ეს — მხოლოდ თანამდებობები და რეგალიები და, რაც მთავარია, ის მაღალი ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული, რომელიც მან დაიმსახურა ხალხში, როგორც ყურადღებიანმა, სამართლიანმა, მზრუნველმა ხელმძღვანელმა.

ქალბატონ ნათელა ვასაძის საქმიანობისთვის ყველგან, სადაც კი მუშაობდა, დამახასიათებელი იყო მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით სიახლეების დანერგვა თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე. რეფორმებს, რომლებითაც ზოგიერთი დღევანდელი ხელმძღვანელი თავს იწონებს, ნათელა ვასაძის მოღვაწეობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. ამიტომაც გამოირჩეოდა იმდროინდელი ახალგაზრდობა მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნით და ყოფილ საბჭოთა კავშირში სანიმუშო და მისაბაძ მაგალითად მიიჩნეოდა.

ქალბატონმა ნათელამ ღირსეული კვალი დატოვა პედაგოგიკურ პერიოდიკასა და ბეჭდურ გამოცემებში: იყო „საქართველოს პედაგოგიური აზრის ანთოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და რედაქტორი, „პედაგოგიკის ისტორიის“ სახელმძღვანელოს თანაავტორი და რედაქტორი. მისი რედაქტორობით გამოიცა ენციკლოპედიური ხასიათის ფუნდამენტური ნაშრომი „საქართველოს განათლების მატიანე“, მრავალმხრივ საინტერესო სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია უმდიდრესი ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები, მისი ფესვები, ქართული განათლების ოცსაუკუნოვანი გზის თავისებურებანი.

ეს უნიკალური მოვლენა აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** ასე შეაფასა: „მატიანის შემდგენელთა ჯგუფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა საკითხის გაშუქებისას ზედმიწევნით გაითვალისწინეს წინაპართა ნააზრევი და ამ გზით არაერთი საინტერესო დებულება მოგვცეს; ყურადღება აქვს დათმობილი მემკვიდრეობითობის პრინციპს, რაც მომავალი თაობის განვითარებასა და სრულქმნას ემსახურება. წიგნის ფუძემდებლური პარადიგმაა — განათლების სისტემა გამორჩეულად უნდა სცემდეს პასუხს ეროვნულ ინტერესებთან თანხმობაში მყოფ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს“.

ქალბატონი ნათელას პიროვნების, მისი ადამიანური თვისებების დასახასიათებლად მხოლოდ ერთ შტრიხს გამოვიყენებთ. პოპულარულმა ქართველმა კინომსახიობმა, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის „ნიკას“ პრემიის ლაურეატმა **ელგუჯა ბურდულმა** (ბაბლუანის ფილმში „უძინართა მზე“) ერთ-ერთ ინტერვიუში, თავისი სიყმაწვილის წლები რომ გაიხსენა, თქვა: „ჩემი პატრონი იქ (ბულგარეთში პირველი გასტროლების დროს) ქალბატონი ნათელა ვასაძე იყო. სასწაული ადამიანი, მაგალითი ქართველი დედის, აღმზრდელის“.

ასეთ ადამიანად აღგიქვამდით თქვენ, ქალბატონო ნათელა, იმ დროის ბიჭები და გოგოები, იმ დროის და — მომდევნო დროის ახალგაზრდა თაობები.

გუშინ, 1 აგვისტოს, ქალბატონ ნათელას დაბადების დღე იყო. უნდა მიგველოცა და ვულოცავთ, ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, სიკეთეს!

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია**



# აშშ დეფოლტის წინაშე

**აშშ-ის სახელმწიფო ვალის ბაზარს ერთგვარი ნერვიულობა დაეტყო იმის გამო, რომ ახლოვდება ვადა, რომელიც კონგრესს აქვს მიცემული ვალის მაქსიმალური ზღვრის დასადგენად. თუ ხელისუფლება ვერ მოასწრებს ამის დროულ დადგენას, ქვეყანას ტექნიკური დეფოლტის გამოცხადება მოუწევს.**

აშშ-ის მთავრობის ვექსილები მკვეთრად გაიაფდა. სწორედ ამ ქაღალდების მეშვეობით ადმინისტრაცია იღებს ვალს სამი თვის ვადით, შემოსავალი კი ერთ კვირაში 2009 წლის მაქსიმუმამდე გაიზარდა.

აუქციონზე 24 ივლისს 9 წლის განმავლობაში მინიმალური მოთხოვნა აღინიშნა სამთვიან ქაღალდებზე — 39 მილიარდი აშშ-ის დოლარი, ფსონმა კი 2008 წლის შემდგომი პერიოდის რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და გადააჭარბა ექვსთვიანი ქაღალდების შემოსავლიანობას, თუმცა, ჩვეულებრივ, ისინი უფრო მომგებიანია.

ადრე კონგრესმა გააუქმა სახელმწიფო სესხის ლიმიტი წელიწად-ნახევრისთვის, მაგრამ 2017 წლის მარტიდან მაქსიმალური ზღვარი კვლავ ძალაშია და 19,808 ტრილიონი დოლარის ნიშნულზეა გაჩერებული.

ამ ზღვარის შენარჩუნებაში ხაზინას ხელს უწყობს ადრე დაგროვებული რეზერვები, თუმცა ბოლო ოთხ თვეში მათი მოცულობა ორჯერ შემცირდა — 405-დან 197 მილიარდ დოლარამდე. აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ სასწრაფო ზომების რეჟიმი შემოიღო, იგი შეამცირებს მთავრობის ვალის ოდენობას, რომელიც მას სახელმწიფო სტრუქტურებისა და საპენსიო ფონდებისგან აქვს აღებული.

მსგავსი ხრიკები დაეხმარება ხელისუფლებას, ვალის ზრდა ოქტომბრამდე რომ დაამუხრუჭოს. შემდეგ კი აუცილებელია ვალის ჯამური ლიმიტის მომატება, რადგან სხვა შემთხვევაში მთავრობა იძულებული იქნება, გამოაცხადოს ტექნიკური დეფოლტი. ასეთი სცენარის ალბათობა პრაქტიკულად ნულის ტოლია, მაგრამ ბაზარს მაინც ეტყობა შეშფოთება.

# ბოსტნეული 34%-ით გაძვირდა

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა მიხედვით, 2017 წლის ივნისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბოსტნეულისა და ხილის ფასმა საგრძნობლად მოიმატა. ბოსტნეული თითქმის 34%-ით გაძვირდა.**

2017 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ინფლაციამ 7.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო ფასების საერთო დონე 0.4 პროცენტით შემცირდა.

სამომხმარებლო ბაზარზე ფასების მატება უმთავრესად თამბაქოსა და საწვავზე აქციზის მატებით და, ასევე, მსოფლიოში ნავთობის გაძვირებით არის გამოწვეული.

ივნისში ბოსტნეულსა და ხილზე, საერთო ჯამში, ფასმა საგრძნობლად მოიმატა. ბოსტნეული თითქმის 34 პროცენტით გაძვირდა, ხოლო ხილის ფასმა 16 პროცენტით მოიმატა. თითქმის 10 პროცენტით გაძვირდა ხორცი და ხორცის პროდუქტები.

ეროვნული ბანკის ექსპერტების აზრით, გაძვირება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ამ პროდუქტების ექსპორტის ზრდის შედეგად ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების შემცირებას.

# «განდიდების მანიით შეპყრობილი სააკაშვილი მსოფლიოს ატყუებს»



**განდიდების მანიით შეპყრობილი სააკაშვილი მსოფლიოს ატყუებს! — ეს რეპლიკა „მწვანეთა პარტიის“ ლიდერმა, პარლამენტარმა გია გაჩეჩილაძემ სოციალური ქსელში გამოაქვეყნა.**

„ტყუილების კორიანტელი „ბი-ბი-სი“-სთან ინტერვიუში, მოქალაქეობის ჩამორთმევაზე: „პოროშენკო ქვეყანაში თავისი და ოლიგარქების ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ყველაზე დიდ პრობლემად მე აღმიქვამდა!“

„ყველა გამოკითხვის მიხედვით, მე უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი ვარ!“

სინამდვილეში, კვლევების მიხედით, მას უკრაინაში მოსახლეობის 1,2%-ც არ უჭერს მხარს:

NDI-ის (აშშ-ის დემოკრატიული ინსტიტუტი) 2016 დეკემბრის კვლევა – a party led by saakashvili (სააკაშვილის პარტია) – 1%;

უკრაინის სოციოლოგიური კვლევის ჯგუფი „რეიტინგი“, 2017 ივნისის კვლევა Рух нових сил (М.Саакашвілі) — 1,2%“, — წერს გია გაჩეჩილაძე.



# «არის კი ამერიკა მზად პასუხისთვის, რუსეთი მცოცავიდან ღია აგრესიაზე რომ გადავიდეს?»

**პარლამენტარი სალომე ზურაბიშვილი აშშ-ის სამხედრო ტექნიკის საქართველოში შემოყვანას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.**

„ვერ ვხედავ, რატომ გვიხარია, დაძაბულობა რომ მატულობს ჩვენს ირგვლივ და ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს... ამერიკული სამხედრო ტექნიკის გამოჩენა თავისთავად რას ემსახურება და რისი მომტანია, ჩემთვის ნათელი არაა... ეს არ არის, ჩვენ რომ გვგონია ან გვინდა, გვჯეროდეს ისეთი მკაფიო განაცხადი — „ხელი არ ახლოთ, თორემ აქ ვართ და ნახავთო“... ამ ტექნიკის დემონსტრირების უკან რა დგას და, საერთოდ, რამე ჩანაფიქრი თუ დგას, ცოტა არ იყოს, მეეჭვება. არის კი ამერიკა მზად პასუხისთვის, მცოცავი ქმედებებიდან ღია აგრესიაზე რომ გადავიდეს ჩვენი ისედაც აღგზნებული მეზობელი? ვშიშობ, ახალ ადმინისტრაციას არც გამოცდილება აქვს და არც შორსმჭვრეტელური ხედვა ამ რეგიონის კონფლიქტების მოსაგვარებლად, არც მიდგომა, რუსეთი რომ შეაჩეროს. ამ დღეებში გავრცელებულ კადრებს აშშ უყურებს, როგორც კინოს, — აი რა მაგრები ვართ და რუსების არ გვეშინიაო... მაგრამ ამის იქით გარანტია არ ჩანს“, — დაწერა სალომე ზურაბიშვილმა სოციალურ ქსელში.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894